# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 21 იანვარი, 2009 წელი.

№ 10 (6111)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


სპეცრეპორტაჟი ვაშინგტონიდან




გუშინ თბილისის დროით, საღამოს რვა საათზე ვაშინგტონში ფიცი დადო აშშ-ის 44-ე პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ.

3-4

# ამერიკა ახალი ეპოქის ზღურბლზე



რამაზ საყვარელიძე:

## მოსკოვში ქართველთა ყრილობის ორგანიზებით კრემლი ქართული საზოგადოებისა და ხელისუფლების დაპირისპირებას ცდილობს

2

## ლატვიაში, საზოგადოებრივი ურთიერთობების დროს, არასახელმწიფო ენაზე ლაპარაკი ჯარიმდება! ჩვენთან?

9



# მატყუარა მინისტრის მოადგილის კომენტარი

ნანა ლეჟავას მწარედ მართალი რეპორტაჟის თანხლებით

6

## კანონი, რომელიც ხელს უშლის თაღლითებს



6

## „ომისთვის გვამზადებენ, მალე ომს ელოდეთ!“

5

## „საქართველოს დიდი ათეული“ – გასართობი თოქ-შოუ თუ პროვოკაცია?



7

ინფორმაცია

## საბერძნეთის დელეგაცია და საპარლამენტო ოპოზიცია

**საქართველოში** არსებულ კონფლიქტებსა და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებზე ისაუბრეს საბერძნეთის საპარლამენტო დელეგაციასთან შეხვედრისას ქართველმა ოპოზიციონერმა დეპუტატებმა.



როგორც შეხვედრის შემდეგ დეპუტატმა პაატა დავითაიამ ჟურნალისტებს განუცხადა, საბერძნეთი საქართველოს სერიოზული მხარდამჭერია და იმედია, ეს მხარდაჭერა გაგრძლდება.

მისივე თქმით, კონფლიქტებზე საუბრისას შეეხნენ ე.წ. სამხრეთ ოსეთში ეუთოს მანდატს, კერძოდ, ისაუბრეს საბერძნეთის ინიციატივაზე ფორმატის ცვლილებასთან მიმართებაში.

ჩვენთვის მთავარია, რომ სამშვიდობო ფორმატით მუშაობა გაგრძლდეს, — დასძინა პაატა დავითაიამ

რაც შეეხება სხვა საკითხებს, ოპოზიციონერი დეპუტატი იმედოვნებს, რომ საქართველოს მხარდაჭერა იქნება ევროკავშირის მანდატის გაფართოებასთან დაკავშირებითაც.

საბერძნეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერის გეორგიოს სურლასის მტკიცებით, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარებას ეუთოს თავმჯდომარე ქვეყანა საბერძნეთი მაქსიმალურად შეეცდება.

ასეთ პოზიციას ვიცავდით ყოველთვის და დავიცავთ განსაკუთრებით დღეს, როცა ეუთოს თავმჯდომარე ქვეყანა ვართ, — დასძინა მან.

## რუსთაველს კვლავ გადაკეტავენ

**მოძრაობა** „შვიდი ნოემბრის" წევრებმა პარლამენტის წინ გამართული ბრიფინგი საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის წლისთავს მიუძღვნეს. მოძრაობის წევრების განმარტებით, ერთი წელი გავიდა, რაც თვითმარქვია პრეზიდენტმა არჩევნების შედეგები გააყალბა და ინაუგურაცია მოუწყო თავის თავს. მოძრაობის წევრის ჯაბა ჯიშკარიანის განმარტებით, 28 იანვარი სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების დღეა და იმის მიუხედავად, რომ უკვე სამი წელი გავიდა, ჩინოვნიკები, რომლებიც გირგვლიანის მკვლელობის საქმეში იყვნენ გარეულნი, ამ დრომდე თანამდებობებზე რჩებიან. მოძრაობა 28 იანვარს აქციების ტალღას ხელისუფლებისათვის დისკომფორტის შექმნის მიზნით დაიწყებს. აქციები, როგორც ამას თავად მოძრაობის წევრები განმარტავენ, საკმაოდ რადიკალური და მწვავე იქნება.

„7 ნოემბრის" წევრები 28 იანვარს რუსთაველის გადაკეტვას აპირებენ. აქცია 14 საათზე დაიწყება.

## აფეთქება ახალგორში

**ახალგორის** რაიონის სოფელ ახმაძში, რუსი ოკუპანტების პოსტის სიახლოვეს აფეთქება მოხდა. როგორც სააგენტო „რეს"-ი იუწყება, აფეთქების შედეგად ორი რუსი სამხედრო დაიჭრა.

ე.წ. ლენინგორის რაიონის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ ნაღმი სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 12:30 საათზე ამოქმედდა.

ინტერპრესნიუსი, ХИ-ЭЙВ-ЭНИ

საგანგებო პრესკონფერენცია

# ხელისუფლება სოციალურ პროგრამებს აუქმებს

**ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა თემაზე „საქართველოში დაკანონებული მკვლელობები" და მთავრობის 2009 წლის დადგენილებით გაუქმებულ სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე ილაპარაკა. მისი თქმით, ხელისუფლებამ, ახალი წლიდან დაფინანსება შეუწყვიტა თითქმის ყველა პროექტს, რომლებიც სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების რეაბილიტაციას ითვალისწინებდა და სამედიცინო მომსახურების ფასი მკვეთრად გაიზარდა.**



„როდესაც პარლამენტმა ბიუჯეტი მიიღო, სააკაშვილი ამაყად აცხადებდა: ჩვენი ბიუჯეტი თითქმის შვიდმილიარდიანიაო... ეს საკმაოდ დიდი თანხაა, მაგრამ საკითხავია, რას ემსახურება იგი?..

... ის, რაც 2009 წლამდე უფასო იყო, ვგულისხმობ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებს, 2009 წლიდან ფასიანი გახდა. შესაბამისად, ოთხმოცი პროცენტით შემცირდა სასწრაფო დახმარების გამოძახებისა და ექიმთან პაციენტების მისვლის ინტენსივობა (იმის მიუხედავად, რომ აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შემდეგ მოსახლეობაში ავადმყოფობის რიცხვმა იმატა).

მთლიანად გაუქმდა უმწეოთა სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც, ასევე, ბიუჯეტი აფინანსებდა, გაუქმდა ონკოლოგიურ ავადმყოფთა დაფინანსება და, მათ შორის, ნარკოტიკების გაცემაც ფასიანი გახდა...

ერთადერთი პროგრამა, რომელიც არ გაუქმებულა და დღემდე ძალაშია, სიღატაკის პროგრამაა, თუმცა მასში მოხვედრა ფაქტობრივად შეუძლებელია...

... ხელისუფლება გვეუბნება, სახელმწიფო დაზღვევას მიმართეთო... ეს, რა თქმა უნდა, კარგი გამოსავალია, მაგრამ სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიები მხოლოდ დასაქმებულ მოქალაქეებს აზღვევენ, საქართველოს მოსახლეობის სულ ცოტა ოთხმოცი პროცენტი კი უმუშევარია. თანაც, სამოც წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე დაზღვევის პოლისი არ გაიცემა, რაც ჯამში ერთ რამეზე მიუთითებს — ხელისუფლება ცდილობს ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დააკანონოს მოსახლეობის ჟლეტა, მკვლელობა და ამოწყვეტა. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ზემოხსენებული ფაქტებიც ამას ადასტურებს, — დასძინა შატბერაშვილმა.

მან 2009 წლიდან სამედიცინო მომსახურების გაძვირებული ტარიფებიც წარმოადგინა, სადაც ძირითადი ოპერაციების ღირებულებებია მოცემული. შატბერაშვილის თქმით, 1 იანვრიდან ჯანდაცვის სფეროში ცვლილებებმა მკურნალობის ფასები, საშუალოდ, გაასამმაგა, რაც მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობაზე უარყოფითად იმოქმედებს.

**ჯაბა ჟვანია**

პოზიცია

# რამაზ საყვარელიძე: მოსკოვში ქართველთა ყრილობის ორგანიზებით კრემლი ქართული საზოგადოებისა და ხელისუფლების დაპირისპირებას ცდილობს

**საზოგადოებრივი ორგანიზაციის „რუსეთში ქართველთა კავშირის" პრეზიდენტის მიხეილ ხუბუტიას ინიციატივით მოსკოვში დაგეგმილ „ქართველთა ყრილობის" რეალურ მიზნებსა და ამოცანებზე „ინტერპრესნიუსი" პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებთ „რუსეთში ქართველთა კავშირის" პრეზიდენტის ინიციატივას მოსკოვში ქართველთა ყრილობის ჩატარების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა ქართული ინტელიგენციისა და საპატრიარქოს წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ? ყრილობის ორგანიზატორები მოსკოვში უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიწვევასაც გეგმავენ.**

— ამ ინიციატივაში რომ არ იკითხებოდეს რუსეთის ხელისუფლების მიზანი — სხვადასხვანაირად მიუდგნენ საქართველოს მოსახლეობასა და ხელისუფლებას, მაშინ ეს ინიციატივა დადებითადაც შეფასდებოდა. მაგრამ ამ ყრილობაში თავად ორგანიზატორის ხუბუტიასა და რუსული პოლიტელიტის მონაწილეობა მათი მხრიდან სულ მცირე უტაქტო პოლიტიკაა და თუ ხმამაღლა შევაფასებთ, ეს საქციელი რუსეთის მხრიდან დანაშაულებრივია.

სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ მას ქართველი ხალხის მიმართ კეთილი დამოკიდებულება აქვს, მაგრამ სააკაშვილის მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი. მოსკოვის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებისა და ხალხის გაყოფის პოლიტიკა მინიმუმ უტაქტობაა. ჩვენც სხვადასხვა დამოკიდებულება გვაქვს რუსეთის მოსახლეობისა და რუსეთის ხელისუფლების მიმართ. რუსეთის მოსახლეობას საქართველო არ დაუბომბავს, არც ტერიტორიები წაურთმევია და არც ადამიანები დაუხოცავს. მაგრამ ყველაფერი ამის გამო, საქართველოს მოსახლეობას რუსეთის ხელისუფლების მიმართ ძალიან კრიტიკული დამოკიდებულება აქვს და სამართლიანადაც.

თბილისში რუსული ინტელიგენციის იმ ლოგიკით და შეთავაზებით ჩამოყვანა, რომ პუტინს გაემიჯნეთო, როგორც მინიმუმ უტაქტოც არის და წესით არც უნდა გაემიჯნოს ადამიანი გაწურჩევლად იმისა, რა დამოკიდებულებაც არ უნდა ჰქონდეს მას საკუთარი ხელისუფლების მიმართ.

საქართველოს ხელისუფლება საქართველოს მოსახლეობის მიერაა არჩეული და ვიდრე ამ ხელისუფლების მიმართ მოსახლეობა სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს, რუსეთის მხრიდან ამგვარი პოლიტიკის გატარება თავად ქართული მოსახლეობის მიმართ უპატივცემულობის გამოხატულება იქნებოდა. ქართული ინტელიგენციის მონაწილეობით მოსკოვში ქართველთა ყრილობის ორგანიზებით კრემლი ქართული საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთმანეთთან დაპირისპირებას ცდილობს.

რუს და ქართველ ხალხებს ერთმანეთისა და ასევე კულტურის მიმართ საკმაოდ კარგი დამოკიდებულება აქვთ, მაგრამ ხალხის დაპირისპირებაში გარევა, რუსეთის მხრიდან, უბრალოდ, არაეთიკური ნაბიჯია. ეს პოლიტიკოსების გადასაწყვეტია და სადავო საკითხები პოლიტიკური მოლაპარაკებების მაგიდასთან უნდა გადაწყდეს.



**— შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ყრილობის ჩატარებით რუსეთი საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას ღიად გეგმავს?**

— საშინაო საქმეებში ღიად ჩარევის აშკარა ნიშნები რომ არის, ფაქტია. თანამედროვე მსოფლიოში აღარ ხდება ასეთი რამეები. რუსეთს უნდა, რომ მასზე ორიენტაცია ჰქონდეს საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, მაგრამ ამისთვის იგი საქართველოს ინტერესების მიმართ თავად უნდა იქცეოდეს სხვანაირად. რუსეთს სურს, რომ მან საქართველო თან ბომბოს და თან მას საქართველოში მეხოტბეები ჰყავდეს. ამიტომ ეპატიჟება იგი ქართულ ინტელიგენციას მოსკოვში. ახლა ინტელიგენციის გადასაწყვეტია, მიიღებს თუ არა იგი რუსეთის ხელისუფლების ამ მიწვევას.

**— რამდენად რეალურია იმის ალბათობა, რომ მოსკოვმა შეძლოს ქართული ინტელიგენციის ნაწილის „გადაბირებით" მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსში და შეცვალოს მისი დასავლური ვექტორი?**

— მე მგონი საქართველოში ამის არანაირი რესურსი არ არსებობს. რუსული პოლიტიკა იმის ანალოგიურ შეცდომას უშვებს, როგორც ეს იგორ გიორგაძის შემთხვევაში ჰქონდა. რუსეთი გიორგაძეზე წლების განმავლობაში ფსონს დებდა, მაგრამ ამისგან ხომ არაფერი გამოვიდა. რუსეთს ხშირად ეჩვენება და გადაჭარბებით აფასებს ხოლმე იმ ფიგურებს, ვისაც მათზე ორიენტაცია აქვთ. ხშირად რუსეთი ვერ ხვდება მის მიმართ ქართული მოსახლეობის დამოკიდებულებას.

ამიტომ, ხუბუტიას აქტიურობით ქართული პოლიტიკის ორიენტაციის შეცვლა არა მგონია რეალური იყოს. საქართველოს ხელისუფლებას საკუთარ ხალხთან ურთიერთობაში ბევრი პრობლემა აქვს, მაგრამ ეს რუსეთის გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი არ არის.

**— რამდენად გაიზიარებდით ქართულ პრესაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ამ ყრილობით რუსეთს ხუბუტიას პოლიტიკურ ფიგურად წარმოჩენა სურს და შემდგომ იგეგმება მისი ქართულ პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობა?**

— არ არის გამორიცხული. რუსული სპეცსამსახურები დიდი მონდომებითა და დაბეჯითებით ცდილობდნენ იგორ გიორგაძის ქართულ პოლიტიკაში შემოყვანას, მაგრამ ამას ხომ რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

**— რა რჩევას მისცემდით ქართული ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მოსკოვში დაგეგმილ ქართველთა ყრილობის მიწვევას მიიღებენ?**

— ამ მიპატიჟებაზე ნამდვილად არ ღირს დათანხმება, ვინაიდან, ამ შემთხვევაში მიმპატიჟებელი მხარის ამოცანაც და მოქმედების სტილიც ქართველი ხალხისა და ხელისუფლების დაპირისპირებაა. ასეთ პოლიტიკურად წამგებიან ნაბიჯზე წასვლა არ ღირს. მით უმეტეს, რომ რუსეთის ჯარები ჯერ კიდევ საქართველოში დგანან. მოსკოვს რუსეთსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლისა და ვიზების გაცემის აღდგენა რომ სურდეს, ამას მოსკოვში ქართული ინტელიგენციის ჩაუსვლელადაც გააკეთებდა. თუ რუსეთი ამის გაკეთების პირობად მოსკოვში ქართული ინტელიგენციის ჩასვლას აყენებს, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთს ქართული ინტელიგენციის ყიდვა საჰაერო მიმოსვლისა და ვიზების გაცემის აღდგენის ფასად უნდა.

ჩემი აზრით, პირობა და საკითხის ასე დაყენება მეტისმეტად ცუდ დღეში ჩააგდებს თავად ქართული ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ამ მიწვევას მიიღებენ. გადაწყვეტილებას, ალბათ, ყველა ინდივიდუალურად მიიღებს, მაგრამ რეალობა ასეთია.

**კობა ბენდელიანი**

◉ ინაუგურაცია

# ამერიკა ახალი ეპოქის ზღურბლზე

***20 იანვარს აშშ-ის 44-ე პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვის დასრულებისთანავე იელის უნივერსიტეტის პროფესორმა, ობამების ახლო მეგობარმა, კარტერის ადმინისტრაციის თავდაცვის მინისტრისა და აფრო-ამერიკული ისტორიის პროფესორის 46 წლის შვილმა, ელიზაბეთ ალექსანდერმა თავისი ლექსი წაიკითხა. მისი პოეზია ობამას ეძღვნება, ხოლო ოპუსის სათაური მიახლოებით ასე ჟღერს „იყო ბიჭი სახელად ობამა“. ამერიკის ისტორიაში ალექსანდერი მეოთხე პოეტია, რომელსაც ამდაგვარი პატივი ერგო. ამერიკის არსი არჩევანის თავისუფლება და თავისუფალი არჩევნებია, ამიტომ ელიზაბეთ ალექსანდერიც „არჩევით პოზიციაზეა“. იგი კონგრესის საინაუგურაციო ცერემონიალის კომიტეტმა შეარჩია (თუ აირჩია).***

რეპ-სიმღერა ობამას დიდებულებაზე რონ კლარკის აკადემიის თინეიჯერმა მოსწავლეებმა შექმნეს და მერე youtube-ზეც განათავსეს. ობამას დამფინანსებელი მულტიმილიონერი ოფრა უინფრი ისე აღფრთოვანდა ამ საქციელით, რომ თითქმის ნახევარი მილიონი დოლარი აკადემიას უსაჩუქრა, ბიჭებმა და გოგონებმა კი ინაუგურაციაზე დასწრების უფლება მოიპოვეს. ბავშვები კვირა საღამოს ბრიუს სპრინგსთინთან, სთივ უანდერსა და ბონოსთან ერთად კაპიტოლიუმის წინ შეკრებილ ხალხსაც ათბობდნენ. ოღონდ სცენიდან კი არა, არამედ – „მასოვკაშივე“.

არჩევან-არჩევნების გარდა ამერიკის უახლოესი ისტორიის არსს ამჯერად ყბადაღებული პოლიტკორექტულობაც შეემატა, რომელიც ამ უკანასკნელის გაჩენისთანავე, პოლიტელიტისა და სხვათა გამოყენებითი სამშვენისი გახდა, ისევე როგორც ამერიკული „სოციალური ღიმილი“. არ ვიცი, რატომ ამოიღეს სასაუბრო ლექსიკიდან ჩემთვის პირადად აბსოლუტურად უწყინარი ასოთშეთანხმება „შავკანიანი“ ან „ზანგი“. ალბათ, მისი ისტორიული თუ მხატვრული ასოციაციური დატვირთვის გამო. მაგრამ ამ პრინციპს თუ გავყვებით, სამეტყველო რეპერტუარი საგრძნობლად გაღარიბდება. ჩემთვის სიტყვა „ფერადკანიანი“, რომელიც არც ისე შორეულ ბავშვობაში მხვდებოდა, უფრო ღიმილის მომგვრელი იყო, ვიდრე რაიმე დატვირთვის მატარებელი. ისე, ობამა წარმოშობით შავკანიანი ინგლისელი რომ ყოფილიყო და არა კენიიდან, ნეტავი როგორ მოიხსენიებდნენ? ალბათ, „პირველი ინგლისელ-ამერიკელი პრეზიდენტი“. ბელგიასა და საფრანგეთში პოლიტკორექტულობის დონისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გამოდის, იქ მცხოვრებ ზანგს აფრო-ბელგიელი ანდა აფრო-ფრანგი უნდა უწოდონ? რბილად, რომ ვთქვათ, ინფორმაციის ნაკლებობის ბრალია თუ მავანს ჰგონია, რომ შავკანიანები მხოლოდ აფრიკაში ცხოვრობდნენ, ცხოვრობენ და აპირებენ ცხოვრებას... რა ვუყოთ თეთრკანიანებს, რომლებიც აფრიკის კონტინენტზე, მეტადრე კი ჩრდილოეთ აფრიკაში დაიბადნენ? სხვათა შორის, ამერიკაში ეკონომიკური მაქინაციების დანაშაულს ოფიციალურად „თეთრ კრიმინალს“ უწოდებენ და ამერიკის მთავარ პოლიტიკურ სახლსაც „თეთრი სახლი“ ჰქვია.

ცნობისთვის, ობამას დედა თეთრკანიანი გახლდათ. ამიტომაც ბარაკ ობამა მულატია და არა შავკანიანი. გადაჭარბებულ აქცენტირებას იმაზე, რომ მისი მამა შავკანიანი იყო, ხოლო დედამისის კანის ფერი საყოველთაო ზეიმის ორომტრიალში თითქმის და რატომღაც იგნორირებულია, ვფიქრობ, არა მარტო გენდერული მგრძნობელობის მქონე ადამიანი შეამჩნევდა, მით უმეტეს, როცა ირკვევა, რომ ბარაკის მამამ ცოლი და მცირეწლოვანი შვილი მიატოვა და მომავალი პრეზიდენტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ლომის წილი ნამდვილად არ მიუძღვის. მწერალმა ენ ქაულტერმა, რომელიც ბესტსელერის „დამნაშავე“ ავტორია, ამას წინათ განაცხადა, რომ ჰოლივუდი და თანამედროვე საზოგადოება წარმატებით ტირაჟირებს მარტოხელა ქალის კულტს, ხატს და ამასთან დაკავშირებით ობამას წიგნის სათაური და ტექსტი „მამაჩემისგან გადმოცემული ოცნებები“ გააკრიტიკა.

ასეა თუ ისე, თეთრმა სახლმა უკვე მიიღო ახალი მეპატრონე. იქ ახალი პრეზიდენტი მეუღლე მიშელთან, შვილებთან მალია ენთან და საშასთან და სიდედრთან ერთად დასახლდა. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჩვეულებრივი ამერიკელები ბინ ლადენის ტრადიციად ქცეულ მუქარებს ყურს აღარ უგდებენ. რამდენიმე დღის წინათ მსოფლიოს მთავარმა ტერორისტმა ინტერნეტით უკვე 48-ე მუქარა გაავრცელა, მაგრამ, როგორც ჩანს, თავის პირდაპირ ადრესატებზე ისრაელსა და ამერიკაზე ექსტრაორდინალური შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ამერიკელებს ახლა ტერორიზმზე უფრო მეტად ეკონომიკური შეჭირვება აწუხებთ.

წინა კვირას ლორა ბუშმა მიშელ ობამას თეთრი სახლის 136 ოთახი დაათვალიერებინა და მათ შორის ის უნიკალური სასადილო ჭურჭელი, რომელიც არსებული ტრადიციით მას ჰილარი კლინტონისგან ერგო (მას კი თავის მხრივ ლორას დედამთილისგან ბარბარა ბუშისგან). ჯორჯ ბუშის მეუღლემ უკვე ყიდვის მომენტისთანავე სამუზეუმოდ ქცეული თეფშები პირველი ლედის მოვალეობის შესრულებისას შეიძინა და შემდგომი პრეზიდენტის მეუღლეს ანუ თავის კოლეგას (პროფესია პირველი ლედი) მანვე უნდა გადაულოცოს. ცნობილია, რომ ლორა სამ ულამაზეს სერვიზს ტოვებს. იგი ავსტრიელი ემიგრანტი უცნობი მხატვრის ანა ვეზელის მიერაა მოხატული. ცნობილია ისიც, რომ მისი ანალოგი არასოდეს შეიქმნება.

ამერიკამ ასევე მოისმინა ბუშის საპრეზიდენტო გამოსამშვიდობებელი სიტყვა. ეს ტექსტი ისეთი სახითა და ტონით იქნა წარმოთქმული, ბევრს ეგონა, რომ ამერიკის 43-ე პრეზიდენტს რამდენიმე თუ არა, ერთი კურცხალი მაინც გადმოუგორდებოდა. თვითმხილველები ამბობენ, დარბაზში ცხვირსახოცი ბევრმა მოიმარჯვაო. რასაკვირველია, ყველა აკვირდებოდა ბუშის გოგონებსა და მის ცოლს, რომლებიც შეძლებისდაგვარად მედგრად ისმენდნენ ოჯახის წევრის სევდიან სიტყვებს. 4 ანდა 8 წლის შემდეგ ობამას ბაგეთაგანაც მისი ოჯახი და მთელი ამერიკა ამდაგვარ რეზიუმე-დამშვიდობებას მოისმენს. ბუშმა განაცხადა, რომ მას მძიმე გადაწყვეტილებების მიღება მოუხდა, შეცდომებიც დაუშვა, მაგრამ, როცა მათ იღებდა, მაშინ ისინი მართებულად ეჩვენებოდა. ახალმა პრეზიდენტმაც არ დააყოვნა და განაცხადა „მეც არ ვარ დაზღვეული შეცდომებისგან, რადგანაც შეიძლება დადგეს მომენტი, როცა გადაწყვეტილება სწრაფად უნდა იქნას მიღებული. ამიტომ ჩვენ მოთმინება და კვლავ მოთმინება გვჭირდებაო...“ 44-ე პრეზიდენტი არ დაესწრო 43-ის გამოსათხოვარ სიტყვას. ცოლთან ერთად საპრეზიდენტო ესკორტით უფრო სასიამოვნო საქმისთვის მოიცალა. თეთრი სახლიდან არც ისე შორს მდებარე რესტორან „ბინიაობაში“ გაემგზავრა...




თეთრი სახლის პრესმდივანი დანა პერინო, ალბათ, ერთადერთი იყო, ვისაც საჯარო ლონისძიებაზე სიმწრის ცრემლები წამოსცვივდა და ესეც არ მოუვიდოდა, ჯორჯ ბუშივით სხარტი რომ ყოფილიყო. დეკემბერში იგი ერაყში გამართულ პრესკონფერენციაზე „ფეხსაცმელიადის“ (ბაღდადში ბუშის პრესკონფერენციის დროს ერაყელი ჟურნალისტის ნასროლი „მესიჯის“ გარშემო ატეხილი ლოკალური აურზაური) დროს დაშავდა, როცა მიკროფონი სახეში მოხვდა. ბუშმა მისკენ ნასროლი „ინფორმაციით დატვირთული“ ფეხსაცმელი აიცილა, დანა პერინო კი მანევრირების საკითხში არც ისე გამოცდილი აღმოჩნდა და ამიტომაც ახლაც მარჯვენათვალჩალურჯებული დადის.

როგორც ჩანს, კონკიასა და მისი კიდურის სამოსელის ისტორიის სხვაგვარი ინტერპრეტაციაც არსებობს.... ამას წინათ თეთრი სახლის ძველი და ახალი პრესმდივნების შეხვედრაზე დანა პერინომ თავისი პროფესიული ილეთ-ეშმაკობებიც გაუზიარა დამსწრე საზოგადოებას. აღმოჩნდა, რომ იგი მფრინავ უცხო სხეულებს შეიძლება თავს ვერ არიდებდეს, მაგრამ პრესის „უხერხულ კითხვებს“ – საკმაოდ ოსტატურად. პერინომ თქვა, თუ გინდათ რაღაც ნაწყვეტი არ შევიდეს სატელევიზიო სიუჟეტში, კითხვის დამსმელ ჟურნალისტს ხშირად სახელით უნდა მიმართოთ და ისიც თავის სახელიან წინადადებებს ამოიღებსო....

ბოლო 10 დღე ვაშინგტონში საინაუგურაციო ფესტივალი მიმდინარეობდა. იგი ზეიმისთვის მზადების, ტრანსპორტირების, საინაუგურაციო ველის მოწყობის, უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომების მიღების, ალლუმის, მეჯლისის, ჰოლივუდის ვარსკვლავებისა და მომღერლების გამოსვლის ორგანიზებისა და სხვა ათასგვარი წვრილმან-მსხვილმანის გარდა, ლოცვებისა და ფსალმუნების წაკითხვას გულისხმობს. მანამ, სანამ ბარაკ ობამა ოჯახთან და 50 Everydey Americans („ყოველდღიური ამერიკელები“ ანუ ჩვენებურად „ჩვეულებრივი ამერიკელები“) 137 მაილის (სიგრძის საზომი) ფილადელფიიდან ვაშინგტონში მატარებლით დაფარვას შეუდგებოდა (იგივე გზა 1861 წელს ა. ლინკოლნმა განვლო), მან ერს მიმართა. ობამას სიტყვაში კვლავ გაისმა შემაგულიანებელი შეძახილი ამერიკელი ერის ერთიანობისა, სადაც ყველა: რესპუბლიკელი, დემოკრატი თუ დამოუკიდებელი, დასავლეთი თუ აღმოსავლეთი, სამხრეთი თუ ჩრდილოეთი; თეთრი თუ შავი; გეი (ჰომოსექსუალი) თუ Straght (ქართულად – სწორი, პირდაპირი, მოწესრიგებული. ამ შემთხვევაში – ჰეტეროსექსუალი), უნარშეზღუდული და კიდევ მრავალი სხვა ამერიკას კვლავ ამერიკად გახდის. „დიახ, ჩვენ შეგვიძლია!“, „ჩვენ ვართ მომავალი!“, „მე ჩემთან ერთად მიმყავხართ!“ შიგა და შიგ შესძახებს ხოლმე ბარაკ ობამა. ყველას აქვს უფლება დანიშნულების ადგილის მისამართის თავისეული ვერსია იგულისხმოს.

100-პროცენტიანი სიზუსტით შემიძლია ვამტკიცო, რომ საბოლოო სადგურად პირადი და საყოველთაო ბედნიერება და კეთილდღეობა მოიაზრება. ცნობილია ობამას სიყვარული ზღაპრული გმირის „სპაიდერმენის“ მიმართ. იგი დიდი ხანია ობობა-კაცის შესახებ წიგნებსა და კომიქსებს აგროვებს. ბეტმენი, სუპერმენი, კაცი-კატა, ქალი-კატა, კაცი-მგელი და კიდევ სხვა უამრავი გმირი სამართლიანობისა და „ჰეპი ენდის“ მქმნელნი არიან. ობამას ცვლილებების პროგრამა იმდენ სასწაულს ჰპირდება ამერიკელებს, თავისი პრეზიდენტობის დროს რომ მოასწროს და შეასრულოს, სასწაულთა რაოდენობით მხოლოდ სუპერმენს თუ ჩამოუვარდება და აი, რატომ. სუპერმენმა საყვარელი ქალისთვის დედამიწა უკან დაატრიალა.

ინაუგურაციის დაწყებამდე ლოცვების წაკითხვის პატივი ამჯერად გეი ეპისკოპოსს ჯენ რობინსონს ერგო, ხოლო უშუალოდ ინაუგურაციის დასრულებისას – ქალ ეპისკოპოსს შარონ ოუტკინსს. კოვზი ნაცარში ჩაუვარდა ერთ ჯენტლმენს, რომელიც აგერ უკვე რამდენი წელია სასამართლოში ჩივილით ცდილობს აშშ-ის პრეზიდენტის საინაუგურაციო ტექსტიდან სიტყვების „ღმერთი ჰფარავდეს ამერიკას“ ამოღებას, მაგრამ ამაოდ. იგი თვლის, რომ ამგვარი ბოლოსიტყვაობა ათეისტებს შეურაცხყოფს. ვერაფერს გეტყვით, ასაჩივრებს თუ არა იგი არა მარტო კაპიტოლიუმის წინ, არამედ სასამართლოს დარბაზშიც ბიბლიაზე ფიცის დადების რიტუალს.

ობამამანიამ სატელევიზო არხებსა და მაღაზიებში გადაინაცვლა. საყურეებზე, თეფშებზე, მაისურებზე ყველგან ობამაა... მას მერე, რაც პრეზიდენტი საპრეზიდენტო მატარებლით ვაშინგტონისკენ დაიძრა (ეს დღე მიშელ ობამას დაბადების დღეს დაემთხვა), CNN-მა ნებისმიერს შესთავაზა „გახდეს ისტორიის ნაწილი“ და თავისი ნარატივი თუ ფოტოსურათი, რომელიც რაღაცნაირად ობამას უკავშირდება, CNN-ის ვებ-გვერდს გაუზიაროს. ამისთვის სპეციალური მისამართებიც კი შეიქმნა. 19 იანვარი მარტინ ლუთერ კინგის დაბადების დღეა და მთელი ამერიკა ისვენებს. ამბობენ, 20-ში ობამას საინაუგურაციო სიტყვები კინგის „მე მაქვს ოცნების“ სტილში წარმოითქვაო. არავინ აქცევს ყურადღებას პოლიტკორექტულობის გამო CNN-ზე გამოსულ შავკანიან, უკაცრავად, აფრო-ამერიკელ ფსიქოლოგს, რომელიც შეეცადა აჟიტირებული ხალხისთვის ცივი წყალი გადაესხა, მოუწოდა კიდეც მათ არ მიეწერათ ობამასთვის იმაზე მეტი, რაც ამ კაცს რეალურად შეუძლია.

იხ. 4 გვ.

◉ ინფორმაცია

## 2010 წლამდე მშობლიურ კერას ვერ დაუბრუნდებიან

**ევროკომისია რუსული ოკუპაციის შედეგად დაზარალებულთა დაბინავებისთვისა და სოციალური რეაბილიტაციისთვის 2008-2010 წლებში 500 მილიონი ევროს ოდენობის დახმარებას გამოყოფს.**

**ალნიშნული თანხა მიკროსაფინანსო სტაბილიზაციასა და საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარებასაც მოხმარდება.**

**როგორც საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობაში აცხადებენ, ევროკომისია კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობასაც გააგრძელებს.**

**1990-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული ევროკომისია აქტიურად უჭერს მხარს ეკონომიკური რეაბილიტაციისა და ნდობის აღდგენის ღონისძიებებს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონებში. სწორედ ასეთი ძალისხმევა უწყობს ხელს ნდობის აღდგენას კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაში.**

*ХО-ЭОВ-ЭБО*

**ინაუგურაცია**

(მესამე გვერდიდან)

# ამერიკა ახალი ეპოქის ზღურბლზე

ასევე გააფრთხილა ისინი პარანოიას აშკარა ნიშნების შესახებ, რადგან ხალხის არც ისე მცირე ნაწილი ლამის ობამას არჩევის დღიდან ლაპარაკობს იმაზე, რომ მან, შესაძლოა, ჯონ კენედის ბედი გაიზიაროს. ანდა კინგის დაბადების დღეზე სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლოს... 2009 წლის ინაუგურაციის ცერემონიალს უსაფრთხოების 58 სტრუქტურა ადევნებდა თვალ-ყურს. თუმცა ეს წონიანი არგუმენტი მაინც არ ამშვიდებს ფატალისტებს...

ამერიკის 44-ე პრეზიდენტის იდეალი მე-16 პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნია. ლინკოლნი ამერიკის სივრცეებში გაბნეული მონების განმათავისუფლებლად ითვლება. იგი პირველი პრეზიდენტია, რომელსაც ხალხმა „საკუთარი თავის შემქმნელი“ უწოდა (ამერიკული ოცნება: „ნულიდან ვარსკვლავებამდე“, ანუ პოლიტიკურ-სოციალური კონკიაძ, მაგრამ ასევე იგი პირველი ამერიკელი პრეზიდენტია, რომელიც მოკლეს. 20 იანვარს ობამამ სწორედ იმ ბიბლიაზე დაიფიცა, რომელსაც 147 წლის წინათ ლინკოლნმა დაადო ხელი. ლინკოლნიცა და ობამაც შტატ ილინოისის „პარლამენტარები“ იყვნენ და მერე ამერიკის დედაქალაქის მთავარი სახლის მასპინძლები გახდნენ.

150 მლნ. დოლარად შეფასებული საინაუგურაციო ცერემონიალი, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უცნაურად გამოიყურება შეუჩერებელი რეცესიის პროცესში მყოფი ამერიკისთვის. 16 იანვარს ამერიკის ორი უზარმაზარი კონკურენტი ბანკი Bank of America და City Bank ლამის გაკოტრდა. ამერიკელი ექსპერტების მონაცემებით 2008 წელს ამერიკის სახაზინო დეფიციტი 1 ტრლ. 200 მლრ. დოლარი გახლდათ, ხოლო ობამას პრეზიდენტობის პირველ წელს იგი 2 ტრლ. 600 მლრ. იქნება. ეს ის თანხაა, რომელიც მდიდარმა არაბულმა ქვეყნებმა ბოლო 4 თვის განმავლობაში დაკარგეს. კატასტროფულად ეცემა უძრავი ქონების ფასი. სახლები, რომელთა ფასი 1-2 მლნ. დოლარი იყო, ახლა 50-70 000-ადაც ვეღარ იყიდება. მთელმა ამერიკამ იხილა კრედიტის გადაუხდელობის გამო აუქციონის წესით 14 ათას დოლარად როგორ გაიყიდა მარტოხელა სამსახურდაკარგული ქალის ორსართულიანი, ეზოიანი სახლი. რომ არა უცნობი, გულმოწყალე და თანაც შეძლებული ქალბატონის კეთილი ნება, რომელსაც ატირებული მეპატრონის დანახვაზე გული აუჩუყდა, სახლი იყიდა და მას გადასცა, ამერიკელ უსახლკაროთა რიგს კიდევ ერთი ადამიანი შეემატებოდა. ბომჟებისთვის შექმნილი სპეციალური ფონდი პირდაპირი მნიშვნელობით ცენტებს აგროვებს. ამ ორგანიზაციის მოხალისეები ნიუ-იორკისა და სხვა ქალაქების ხალხმრავალ ადგილებში დგანან, პატარა ზარი უჭირავთ ხელში და ჩამოჰკრავენ ხოლმე. მაგრამ ნირწამხდარი ამერიკელები თავის საქმეებზე მიიჩქარიან და კალათში წვრილ ფულს თუ ჩაჰყრიან ხოლმე. ჰო, მართლა, ზემოხსენებულმა კეთილმა ქალბატონმა შეჭირვებულ ქალს სახლი იმ პირობით გადასცა, რომ როცა იგი სამსახურს იშოვის, ნელ-ნელა ამ ვალსაც გაუსტუმრებს.

აშშ-ის ფედერალურმა მთავრობამ არაძალადობრივი დანაშაულისთვის ციხეში მჯდომი რამდენიმე ათასი პატიმრის გაათავისუფლება გადაწყვიტა, რადგანაც ქვეყანას მათი საკანში შენახვა აღარ ძალუძს. ფიქრობენ, რომ ასე 30 მლნ-ზე მეტი დოლარი დაიზოგება. იმედია, „ზემოთ“ ამგვარი „ამნისტიის“ შესაძლო შედეგებიც გაითვალისწინეს. ამ დროს კი ამერიკაში იაფი საქონელი სულ უფრო მოდური ხდება. იხურება უამრავი რესტორანი და სუპერმარკეტი. ამერიკის ყველაზე ცნობილი და ტრადიციულად კარგი ბრენდებით მოამარაგე მაღაზიათა ქსელის Macy's-ის 11 ფილიალი გაკოტრდა, 3 მათგანი — ყველაზე შეძლებულ ფალმ-ბიჩში. გაკოტრდა პიანინოებისა და როიალების რამდენიმე სავაჭრო ცენტრი, სადაც ბოლო თვეების განმავლობაში მუსიკის მოყვარულთ თუ კოლექციონერებს 300-500 დოლარად სთეინვეების შეძენა შეეძლოთ. გარკვეული დროის განმავლობაში მაღაზიათა ქსელი Stop and Shop (მაღაზიებს, როგორც წესი, თავისი აფთიაქი აქვთ) იმათ, ვინც ექიმის მიერ გამოწერილი ანტიბიოტიკის რეცეპტს წარადგენდა, მედიკამენტს უფასოდ აძლევდნენ. მიზეზი: ადამიანებს, უბრალოდ, არ შეეძლოთ წამლის ყიდვა. კოტრდება ელექტრონიკისა და კომპიუტერული ტექნიკის უდიდესი მაღაზია Circuit City. რესტორანსა და „ფასტ-ფუდის“ მოყვარული ამერიკელები ცდილობენ სახლში ისადილონ და ამ გზით 5-20-50 დოლარი დაზოგონ. ყოველდღე სხვადასხვა არხზე „ფულის დაზოგვის ექსპერტები“ სასარგებლო რჩევებს გვაძლევენ. მათ შორის ასეთიცაა: როცა გაბრაზებული ხართ ანდა დეპრესიამ შემოგიტიათ, სავაჭროდ არ წახვიდეთ. ცნობისთვის, „შოპინგი“ ამერიკაში სულიერი დაძაბულობის მოხსნის გავრცელებულ ხერხად ითვლება.

ობამამანიის სცენარზე დაკვირვებისას ჩემნაირი „ისტორიული გამოცდილების“ მქონე ადამიანს რა შეიძლება შეშურდეს? ალბათ, ორი რამ: აქ ძალაუფლების მშვიდობიანად გადასვლა-გადმოსვლა; ბძ რესპუბლიკელებისა და დემოკრატების სურვილი, ერთიანნი იყვნენ და ერთმანეთს დაეხმარონ, როცა საქმე ქვეყანასა და ხალხს ეხება. თითქოს ქართველის გულში იხედებოდაო, ობამამ დასძინა: „ერთი ლიდერიდან მეორეზე ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა ამერიკული დემოკრატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია“. გამარჯვების დღიდან ობამას გუნდი ძალაუფლების მდორედ გადანაცვლებაზე ზრუნავს. ამას მუსიკალურ თეორიაშიც და პრაქტიკაშიც ლეგატო ჰქვია. სტოკატოებს საქართველო კი არა, მყარი ამერიკაც ვერ გაუძლებს. ახალმა პრეზიდენტმა გულისწყრომით ისიც აღნიშნა, რომ „ძალაუფლების გადაცემის მშვიდობიან პროცესს სათანადო შეფასება არ მიენიჭა, არადა მილიარდობით ადამიანს ლიდერის შეცვლა სისხლისღვრისა და ომის გარეშე არ წარმოუდგენია“.

„ტრანზიშენ თიიმ“, ანუ „გარდამავალი გუნდი“ უკვე შერჩეულია. ახლა კი დაპირებულის ასრულების დაწყების დრო დადგა. ობამამ თქვა, რომ მისი ადმინისტრაციის პირველი სამი წლის განმავლობაში განახლებადი ენერგომატარებლების წილი ორჯერ მოიმატებს და ეს დამატებით ერთ მილიონ სამუშაო ადგილს შექმნის. ასევე იგი 4 მილიონ უმუშევარ ამერიკელს არ მიატოვებს და დაასაქმებს, აქედან 90 პროცენტი კერძო სექტორს გააძლიერებს. დღეს კი მომუშავე პოპულაციის 8 პროცენტი უმუშევარია, ხოლო ზაფხულის დასასრულისთვის ამ ციფრის ლამის გაორმაგებას ელიან. ამბობენ, ეკონომიკური კრიზისის პიკი აგვისტოზე მოვა, ხოლო ამერიკის ექვსი თვისწინანდელი მდგომარეობის დასაბრუნებლად კიდევ სამი თუ არა, ორი წელი მაინც იქნება საჭირო. ქართველს აგვისტოთი ვეღარ შეაშინებ. აგვისტო პირველად კი არ დაგვემართა, რადგანაც ქართული ეკონომიკა ძირითადად საზღვარგარეთ, როგორც წესი, ამერიკაში წასული ოჯახის წევრებით სულდგმულობს. სამწუხაროდ, ამერიკელებთან ერთად, სამსახური ქართველმა არალეგალებმა უკვე დაკარგეს და დაკარგავენ. ეს კი, უდაოდ, საქართველოში ქართველთა მსყიდველობით უნარზე მტკივნეულად აისახება.

ექსპერტები 20 იანვრის შემდგომ პერიოდს „თაფლობის თვის“ დასასრულის დასაწყისს უწოდებენ. ახლა, როცა პრეზიდენტის პირველი სამუშაო დღე გათენდა, თეთრი სახლის მასპინძელსა და მის გუნდს უამრავი საგარეო და საშინაო პრობლემის ნუსხით აუტკივდა თავი. „პურისა და სანახაობის“ მომთხოვნთა გემოვნება სამშაბათს პერფომანსით დაკმაყოფილდა. ოთხშაბათს კი კვლავ პურის ჯერი დადგა.

**ია მერკვილაძე.**
**„სრ“ საკ. კორ. აშშ**



**პარტიებსა და მოძრაობებში**

# ოპოზიცია ლიდერს ეძებს

**პრეზიდენტი დემოკრატიის ახალ ტალღაზე აკეთებს აქცენტს, ოპოზიცია კი ახალ არჩევნებზე. დღეს გაერთიანებული ოპოზიცია მხოლოდ სამი პარტიისა და ერთი სუბიექტისგან შედგება: კონსერვატიული პარტია, ხალხის პარტია, მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის და ლევან გაჩეჩილაძე.**

რაც შეეხება დანარჩენ ოპოზიციურ სპექტრს, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი გადაჯგუფების ეტაპი უკვე დასრულებულია, მაგრამ საბოლოო პროცესი არც აქ არის დამთავრებული. მათ არც მოთხოვნები აქვთ ჩამოყალიბებული. ჯერ ერთხმად ამბობდნენ, რომ საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს, შემდეგ ბურჯანაძემ განაცხადა, საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩავატაროთო. ეს არ გაიზიარეს დანარჩენმა ოპოზიციონერებმა და თქვეს, რომ საპარლამენტო არჩევნებიც უნდა ჩატარდეს. მოგეხსენებათ, ოპოზიციის ნაწილს მისცეს დაფინანსება, ნაწილს — არა. ამ საკითხთან დაკავშირებითაც არასაპარლამენტო ოპოზიციურ სპექტრში გარკვეული უთანხმოებაა.



ერთი სიტყვით, ოპოზიციაში გადაჯგუფება, ახალი იდეების ჩამოყალიბება მიმდინარეობს, ზოგიერთ ორგანიზაციაში — ლიდერის ძებნაც.

კონსტრუქციული ოპოზიციის ნიშა, შეიძლება ითქვას, ირაკლი ალასანიამ თავისი მოზომილი განცხადებებით უკვე დაიკავა. მან პირველ ბრიფინგზე არ დააკონკრეტა, ვისთან ერთად ან როდის დაიწყებდა პოლიტიკურ აქტიურობას. ეს ყველაფერი, ალბათ, იანვრის ბოლოს გახდება ცნობილი.

კულუარებში ლაპარაკობენ, რომ ალასანია მემარჯვენეებისა და რესპუბლიკელების ალიანსთან არ ითანამშრომლებს. საერთოდ, ირაკლი ალასანიას მიმართ თითქმის არც ერთი ოპოზიციური ძალა კრიტიკულ განცხადებებს არ აკეთებს. გამონაკლისი მხოლოდ ლეიბორისტები არიან.

როგორც ოპოზიციონერთან შეგვიძლია ირაკლი ალასანიასთან დიალოგი ვიქონიოთ, მაგრამ თუ ალასანიას საპრეზიდენტო ამბიციები გააჩნია, ჩვენ მასთან არანაირი დიალოგი არ გვექნებაო, — აცხადებენ ლეიბორისტები.

გაერთიანებული ოპოზიციის ნაწილი, კონსერვატორების მეთაურობით, აცხადებს, რომ რაღაც ბლოკის შექმნას აპირებს. ჯერჯერობით გაურკვევლობაა კონსტანტინე გამსახურდიას, ტრადიციონალისტებისა და ეროვნული ფორუმის მიმართულებაში, თუმცა, რაღაც ცვლილებები მაგ მიმართულებითაც მოხდა. არის აზრი, რომ პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიცის ძირითად ბირთვს ახალი მემარჯვენეები და რესპუბლიკელები შეიერთებენ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მცდელობა შეინიშნება. სავარაუდოდ, მათი მიზანია პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციის კუთხით ალტერნატივა შექმნან. საპარლამენტო ოპოზიცია კი, მოგეხსენებათ, რესპუბლიკელებისა და მემარჯვენეების ალიანსს ეჭვის თვალით უყურებს. ქრისტიან-დემოკრატები ამბობენ, ვერ გაგვიგია ამ ორმა პარტიამ რა საერთო პლატფორმა აღმოაჩინაო. მათი აზრით, პოლიტიკური თვალსაზრისით ცოტა რთულია ლიბერალური რესპუბლიკელებისა და ტრადიციებზე, ქართულ ღირებულებებზე ორიენტირებული ახალი მემარჯვენეების კოალიციის წარმოდგენა. ურწმუნო თომების ჯინაზე მემარჯვენეები და რესპუბლიკელები ამბობენ, რომ მათ ბევრ საკითხზე მოახერხეს შეთანხმება და ბევრი საერთოც გამოძებნეს.

სავარაუდოდ, თებერვლიდან პარლამენტში საარჩევნო კოდექსზე მუშაობა დაიწყება. ოპოზიციას ეჭვი აქვს, რომ უმრავლესობა ამ პროცესს გაჭიმავს. იმიტომ, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, არჩევნები არ უნდა ჩატარდეს ცვლილებებიდან ერთი წლის განმავლობაში, ანუ, როცა კოდექსში ცვლილება შევა, არჩევნები ერთი წლის განმავლობაში არ უნდა ჩატარდეს. შეგახსენებთ, საარჩევნო კოდექსზე მუშაობის დაწყების ინიციატივა პარლამენტის თავმჯდომარეს ეკუთვნის. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ სულაც ახალი საარჩევნო კოდექსი დაიწეროს. უმრავლესობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, არასაპარლამენტო ოპოზიციას თავისი მოთხოვნები აქვს, ხოლო საპარლამენტო ოპოზიციას თავისი. იმედია, შეთანხმდებიან. ჯერჯერობით კი მხოლოდ იმისი თქმა შეიძლება, რომ შესაძლოა საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, საპარლამენტო ოპოზიციამ სპეციალური კომისიის ან ჯგუფის შექმნა მოითხოვოს.

**მზია გელენავა**

ცხელი რეპორტაჟი

# რა ხდება ფიჩორის ბაზაზე

## „ომისთვის გვამზადებენ, მალე ომს ელოდეთ!“

***აფხაზეთში** სიტუაცია დღითი დღე იძაბება. აგვისტოს მოვლენების შემდეგ, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა, საქართველოსთან საზღვრებს ინტენსიურად ამაგრებს. დაბალი ზონის სოფლებში აფხაზურ-რუსული სამხედრო შენაერთების გადაადგილებამ ბოლო დღეების განმავლობაში აქტიური სახე მიიღო. სამხედრო ბაზების მშენებლობა უკვე დასრულებულია ნაბაკევში, ჭუბურხინჯში, თაგილონში, საბერიოსა და ფიჩორში. იანვრიდან აფხაზეთში მასობრივ პასპორტიზაციას ელოდებიან, ეს პროცესი უკვე დასრულებულია გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონში. ადგილობრივების პრობლემებისა და ბაზებთან დაკავშირებული საკითხების გასარკვევად „სამეგრელოს ქრონიკა“ შემოვლითი გზებით აფხაზეთში, სოფელ ფიჩორში გადავიდა.*

ფიჩორში რუსულ-აფხაზური სამხედრო ძალების გააქტიურება განსაკუთრებით იგრძნობა. აქ დაჩქარებული ტემპით ზღვასთან ახლოს სამხედრო ბაზა ააშენეს. ასევე დაჩქარებული ტემპით დაიწყო ახალი რუსული არმიის ჩამოყალიბება. განახლებული სამხედრო ტექნიკა, მობილიზებული ჯარი, თანამედროვე იარაღები და ამ ბოლო დროს ისრაელისგან ნაყიდი უპილოტო თვითმფრინავები რეორგანიზებული რუსული ჯარის ახლებური რეალობაა. ახლებური რეალობა ფიჩორის ბაზაზეც იგრძნობა, ის თავისი მასშტაბურობით დაბალი ზონის სხვა ბაზებზე ბევრად დიდია. ფიჩორის ბაზა უახლოეს მომავალში საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო კონტროლის დამყარებას შეძლებს უახლესი სამხედრო აპარატების საშუალებით. ფიჩორის ბაზა 3 ჰექტრამდე მიწის ფართობზეა გაშენებული და 6-7 მეტრის სიმაღლის მიწაყრილით არის გარშემორტყმული. ამჟამად ფიჩორის ბაზაზე 50-მდე რუსი და აფხაზი სამხედრო მაღალჩინოსანია განლაგებული. სამხედრო ბაზაში დგას ოფიცრების საცხოვრებელი ვაგონები, კარვები და საველე სამზარეულო. უახლოეს დღეებში აქ ბატალიონსაც ელოდებიან. სამხედრო ობიექტის ირგვლივ გათხრილია სანგრები. ადგილობრივების თქმით მთლიანად დანაღმულია ზღვის სანაპირო. ისინი თავად ხედავდნენ თუ როგორ დანაღმეს ტერიტორია რუსმა ოკუპანტებმა. ბაზის მშენებლობისას 60-ტონიანი ცისტერნები დაჭრეს და მიწის ქვეშ მოათავსეს, მოსახლეობის თქმით იქ სამხედრო ტექნიკა და იარაღები ინახება. იარაღი და საკვები ასევე განთავსებულია სახელდახელოდ აგებულ მიწისქვეშა საცავებში.

ჩვენი ყოფნის დროს ბაზაზე 6 ბეტეერი, 1 ტანკი და რამოდენიმე ურალის ტიპის სამხედრო მანქანა იმყოფებოდა. ადგილობრივები აცხადებენ რომ ამ ტექნიკით რუსები სოფელში ხშირად გადაადგილდებიან. ბაზასთან მიახლოება და სანაპიროზე გასვლა მოსახლეობას მკაცრად ეკრძალება.

მთავარი სამხედრო ბაზისგან მოშორებით ფიჩორის ცენტრში, ყოფილი გამგეობის შენობაში რამდენიმე კვირის წინათ აფხაზმა სეპარატისტებმა სამხედრო შტაბი გახსნეს. შტაბში 30-მდე აფხაზი ეროვნების სამხედრო პირი და მძიმე ტექნიკაა მობილიზებული. აფხაზურ და რუსულ სამხედრო დაჯგუფებებში ომისთვის სრული მზადყოფნაა გამოცხადებული. ჩვენთან საუბარში ფიჩორის მკვიდრმა **ნ.ბ**-მ აღნიშნა (რესპონდენტის უსაფრთხოებიდან გამომდინარე ანონიმურობა დაცულია.) – **„რისთვის სჭირდებათ ამდენი ტექნიკა და ცოცხალი ძალა ვერ ვხვდებით, ყოველდღე შემოაქვთ იარაღები, ბაზეზე დატვირთული ურალები შეჰყავთ. როგორც ამბობენ, ამ დღეებში ბატალიონსაც ელოდებიან. თქვენც ნახეთ თუ რა ხდება ბაზის გარეთ, რამხელა ტერიტორია უკავიათ, რა მობილიზაციაა გამოცხადებული – წარმოიდგინეთ რა იქნება შიგნით ბაზაში. ესენი რაღაცისთვის სერიოზულად ემზადებიან. ამას წინათ მეზობლის სახლში იყვნენ არყისთვის მოსულები და რუს სამხედროს უთქვამს –** ***ომისთვის გვამზადებენ, მალე ომს ელოდეთო.*** **ბალაფში კი ამბობს, საზღვრებს ვამაგრებო, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით ამხელა ბაზა და სამხედრო ტექნიკა საზღვრის გამაგრებისთვის საჭირო არ არის. ომის გვეშინია, აქედან გასაქცევი არსად არ გვაქვს, თუ ომი იქნება, აქ ჩაგვხოცავენ.“**

ფიჩორის ცენტრში არსებული აფხაზური შტაბი სოფლის სკოლიდან 10 მეტრში მდებარეობს. ადგილობრივების თქმით, ხშირია შემთხვევა, როცა მთვრალი სამხედროები სკოლაში იჭრებიან და ბავშვებს აშინებენ. ამიტომაც ფიჩორის სკოლაში მშობლები შვილებს სასწავლებლად არ უშვებენ. სკოლაში მხოლოდ სეპარატისტებთან დაახლოებული პირების შვილები დადიან.

რუსულ ჯარში არსებულ პრობლემებზე გასული თვეების განმავლობაში არაერთხელ დაწერილა. დაიწერა იმის შესახებაც, რომ რუსულ არმიაში კომუნიკაციის, დისციპლინის და კვების პრობლემებია. ყველას კარგად გვახსოვს **„ძია საშას“** სატელევიზიო „გამოჭენება“ ბომჟურ ჯარზე კომენტარებით, ტიტრებით და მათ გარეშეც. „ძია საშას“ არმია ამჟერად აფხაზ სამხედროებთან ერთად სთხოვს საკვებს, დაბალი ზონის სოფლების მოსახლეობას. ითხოვენ ყველაფერს: ქართულ ჭაჭას, თეთრ ღვინოს, ბოსტნეულობას და ტუალეტის ქაღალდსაც კი. დაღამდება თუ არა მოსახლეობა გარეთ ვერ გამოდის, მუდმივი სროლებით და მთვრალი სამხედროების თარეშით ხალხი შეშინებულია.

**მ.ლ.** (ფიჩორის მკვიდრი) – **„დაღამდება თუ არა, სახლებში ვიკეტებით, თუ გავიგეთ აფხაზების მანქანის ხმა, შუქსაც კი ვაქრობთ, არადა ყოველ ღამე ასე დათარეშობენ. საჭმელი ან სასმელი რომ უნდათ, კი არ გვეძახიან, ჭიშკართან ავტომატს გაისვრიან და ასე სროლა სროლით შემოდიან სახლში და თან იგინებიან, ყვირიან – ჩვენ მოვედითო. რაც გვაქვს და რისი მიცემაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაძლევთ. ამას წინათ ჩვენს მეზობლებს მოხუც ცოლ-ქმარს ღამით სახლში შეუვარდნენ. მოითხოვეს მაინცდამაინც თეთრი ღვინო მოგვეცითო, მათ კი არ ჰქონდათ. თურმე 5 კაცი სცემდა საწყალ მოხუცებს, რატომ არ გაქვთ თეთრი ღვინოო. ფაქტობრივად განუკითხაობაა. დღისით შიშში ვართ, ღამე ვერ ვიძინებთ და არც უკეთესობის იმედი გვაქვს.“**

შემოდგომაზე რუსული არმიის „საამაყო“ სამხედროები თხილის ბიზნესით იყვნენ დაკავებულნი. მოსახლეობას სოფლიდან თხილის გატანის საშუალებას არ აძლევდნენ და აიძულებდნენ მოსავალი დაბალ ფასად, მათთან ჩაებარებინა. ბიზნეს ინტერესებმა თავი აქაც იჩინა. რუს ჯარისკაცებს კონკურენტებად აფხაზური სამხედრო დაჯგუფებების წარმომადგენლები გამოუჩნდნენ. სწორედ ამას უკავშირდებოდა აფხაზურ-რუსული ძალების დაპირისპირება ნოემბერში. არსებული მდგომარეობის განმუხტვა მხოლოდ დე ფაქტო ხელისუფლების მაღალმა თანამდებობის პირებმა შეძლეს. ამ დაპირისპირებამაც კარგად აჩვენა თუ რისთვის და როგორ იბრძვის რუსული არმია.

აფხაზეთში პასპორტიზაციის პროცესი თითქმის დამთავრებულია. იანვარში აფხაზურ პასპორტებს გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლების მოსახლეობასაც დაურიგებენ. პენსიონერები სეპარატისტულ „ღირსებას“ ადგილზევე მიიღებენ, ხოლო სხვებს რაიონულ ცენტრებში მოუწევთ პასპორტის აღება. ვინც პირადობის დამადასტურებელ მოწმობას არ აიღებს, უნდა დატოვოს საცხოვრებელი ადგილი – ასე ახმოვანებენ მოსალოდნელ შედეგს აფხაზების მიერ დანიშნული სოფლის გამგებლები. მოსახლეობის უმეტესობა აფხაზური პასპორტის აღებას აპირებს. ჩვენთან საუბარში მათ აღნიშნეს, რომ – **„აფხაზური პასპორტის აღება არ გვინდა, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, რომ არ ავიღოთ, გაგვყრიან. აქედან რომ წავიდეთ ჩვენი ხელისუფლება საარსებო პირობებს ვერ შეგვიქმნის. 28 ლარად კი ღია ცის-ქვეშ ვერ ვიცხოვრებთ. ამიტომაც იძულებულები ვიქნებით, მონებად ვიქცეთ. თუ ხელისუფლება უკეთეს გამოსავალს შემოგვთავაზებს, უარს ნამდვილად არ ვიტყვით. იმედია, ქართველი ხალხი გაგვიგებს. ამ ყველაფერს ძალიან განვიცდით, თქვენც ხედავთ რომ ვტირი... ალბათ ქართველები მოღალატეებად არ ჩაგვთვლიან. ჩვენთვის სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს.“**



ადგილობრივები თავიანთ თავს „დამონებულებს“ უწოდებენ. ადამიანები მუდმივი შიშის გამო ხშირად სტრესულ მდგომარეობაში ვარდებიან. აფხაზებს **„დამონებულები“** ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დაჰყავთ სხვადასხვა სოფელში თხილისა და ციტრუსის მოსავლის ასაღებად. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ ფიჩორის მცხოვრებლებს პროდუქტის ზუგდიდიდან გადმოსატანად 7-10 კმ-ის ფეხით გავლა უწევთ. თუ განმუხურიდან არსებული შემოვლითი გზაც ჩაიკეტა, მოსახლეობა ჰუმანიტარული კატასტროფის საშიშროების წინაშე დადგება. ამ პრობლების გამო ადგილობრივები საქართველოს მთავრობას თხოვნით მიმართავენ – **„რამენაირად მოახერხეთ ევროკავშირის დამკვირებლების კონფლიქტის ზონაში შემოყვანა, მხოლოდდამხოლოდ იმისთვის, რომ უსაფრთხოდ გადაადგილება შევძლოთ. ჩვენ არაფრისთვის არ ვაწუხებთ მთავრობას, ამაში მაინც დაგვეხმარონ. გაერო კი ჩვენთვის არაფერს აკეთებს“.**

ჩვენს კითხვაზე – ელის თუ არა აფხაზეთის დაბრუნებას, ფიჩორის მკვიდრი ასე გვპასუხობს: – **„როცა სააკაშვილი მოვიდა, მჯეროდა, რომ აფხაზეთს დააბრუნებდა, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ ამის იმედიც გამიქრა. შეიძლება ათეული წლების შემდეგ რაღაც მოხდეს, მაგრამ უახლოეს მომავალში ეს შეუძლებელია. სხვათა შორის, გეტყვი ერთ რაღაცას, აფხაზები უკვე ამბობენ – მალე ჩვენ და ქართველებს პარტიზანული ომებით ერთად გვექნება საბრძოლველი რუსების წინაალმდეგო – ისინი უკვე კარგად ხვდებიან, რაც სჭირთ.“**

კონფლიქტის ზონაში მცხოვრებლები, პრეტენზიებს ქართველი ჟურნალისტების მისამართითაც გამოთქვამენ და ფაქტების პროვოცირებისგან თავის შეკავებას თხოვენ.

**გ.შ.** (ფიჩორის მკვიდრი) – **„ტელევიზიით ისეთ რაღაცეებს იტყვიან, ხოლმე, რაც საერთოდ არ ხდება. რისთვის ძაბავენ სიტუაციას, ვერ გავიგე. ერთხელ ჩვენს სოფელზე გადმოსცეს ინფორმაცია, თითქოს აქ ყველაფერი დაიქცა, არადა არაფერი მომხდარა – აფხაზებს ეს ძალიან აღიზიანებთ და გვეუბნებიან, ხომ ხედავთ, როგორ გექცევათ თქვენი ხელისუფლება?! ასეთი ცრუ ინფორმაციები უფრო ძაბავს ურთიერთობას. ყველა ჟურნალისტს ვთხოვთ, ნუ იტყვით ტყუილს, თქვენს ჯავრს მერე ჩვენზე იყრიან.“**

ენგურს გამოღმა მოსალოდნელ ომზე საუბარი, ენგურს გაღმა რეალობა ხდება. ახლადაშენებული სამხედრო ბაზები, ტექნიკის და სამხედრო პირების მობილიზაცია თვითაღიარებული რესპუბლიკის საზღვრების გამაგრებას ნამდვილად არ ჰგავს. ეს უფრო ომის წინა პირობაა, ომისა, რომლის შესახებაც უკვე ღიად საუბრობენ მოსკოვში, ვაშინგტონში, ბრიუსელში, გაეროს შტაბ-ბინაში, თბილისში, ჰერევში და ფიჩორში. ფიჩორში სადაც ყველაზე კარგად ჩანს, რომ მორიგი რუსული აგრესიისთვის მზადება უკვე სრულდება. ახალი მოქმედების ფაზის დაწყება-არ დაწყების საკითხზე კონკრეტულ თარიღებს კრემლის მოოქროვილ აპარტამენტებში სიამის დაუმორჩილებელი ტყუპები ადგენენ.

**პაატა ლაგვილავა**

***P. S. ფიჩორის** სამხედრო ბაზაზე მდგარ რუს სამხედროებს წერილები და დეპეშები შემდეგ მისამართზე მოსდით – კრასნოდარის ოლქი, სოფელი ფიჩორი.*

***პ. ლ.***

ინფორმაცია

### ხელშეკრულება ძალაში შევიდა

**რუსეთის** საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრს მურატ ჯიოევს შეხვდა. რუსული მედიის ინფორმაციით, ლავროვისა და ჯიოევის შეხვედრის შედეგად რუსეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის გაფორმებული ე.წ. მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება ძალაში შევიდა.

გუშინ სერგეი ლავროვმა და მურატ ჯიოევმა მოსკოვში გამართული შეხვედრისას ხელი მოაწერეს ოქმს რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის გაფორმებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შესახებ, რითაც რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის გაფორმებული ე.წ. მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება ძალაში შევიდა, – იუწყება რუსული მედია.

### ნაბაკევში ექვსას ოკუპანტს ჩაასახლებენ

**რუსი** აგრესორები გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში ორი საცხოვრებელი კორპუსის აშენებას აპირებენ.

ამის შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მედიაცენტრიდან იტყობინებიან.

მოსახლეობის განცხადებით, კორპუსებში, რომელთა აშენებაც სოფლის ცენტრში იგეგმება, 600 რუსი სამხედრო მოსამსახურის ოჯახი დაბინავდება.



რუსი აგრესორებისთვის კორპუსების ასაშენებლად გალის დე ფაქტო ადმინისტრაციამ 2 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გამოყო.

ინტერპრესნიუსი და ჩი-ეიჩ-ენი

ჭირი დანახული ჯობს

***უკვე რამდენიმე კვირაა, რაც „კავკასიის" ეკრანზე ჟურნალისტ ნანა ლეჟავას უაღრესად მართალ რეპორტაჟებს ვნახულობთ. ყველას ერთიანად ჩვენი მწარე სინამდვილე უდევს საფუძვლად. ეს არ არის მარტოოდენ ოპოზიციონერი ჟურნალისტის თვალით დანახული სიმართლე. ეს უფრო მეტად მოყვრისთვის პირში ძრახვის პოზიციაა. ასე რომ ამ რეპორტაჟებმა ვინმე (ამ შემთხვევაში ხელისუფლება თავის თბილ სკამებს ჩაბღაუჭებულ მოხელეებიანად) კი არ უნდა გაალიზიანონ და შურისძიებისთვის კი არ უნდა განაწყონ, არამედ ყველა თავის გულში უნდა ჩაახედონ და ბევრი მართლაც სამარცხვინოდ ჩასვრილი დარგის გამოსასწორებლად დააფიქრონ.***

# მატყუარა მინისტრის მოადგილის კომენტარი

## ნანა ლეჟავას მწარედ მართალი რეპორტაჟის თანხლებით

ერთ-ერთი ასეთი სამარცხვინოდ ჩასვრილი დარგი კი, რომელსაც გამოსწორების პირი არა და არ უჩანს, მედიცინაა (ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სად არის ის ასი თანამედროვედ აღჭურვილი საავადმყოფო, რომელთაც ვარდების ხელისუფლება გვპირდებოდა თავისი ჩაუქი პრეზიდენტის ენა-პირით?!ძ...

მედიცინა საქართველოში რომ თავად კარგა გვარიანად სამკურნალო და ისიც ფულს გამობმული დაინახა, მიქელგაბრიელსაც მეტი რა უნდოდა და, იცოცხლეთ, მკლავებდაკაპიწებული ამუშავდა, მაგრამ რა ამუშავდა!.. უფულო სიცოცხლეს ნამდვილად გაუჭირდა თავის ნებაზე მიშვებულ სიკვდილთან მკლავჭიდი...

აი სწორედ სიცოცხლის ამ გაჭირვებაზე მოგვითხრო უკვე ხსენებული ჟურნალისტის ამ გასული კვირის რეპორტაჟმა, რომელსაც გზადაგზა კომენტარს უკეთებდა ვითომ ჩვენი ჯანმრთელობის დაცვისა და ასევე ვითომ ჩვენი შრომის (ალბათ, უფრო უმუშევრობის თქმა იქნებოდა უპრიანი!ძ მინისტრის მოადგილე, თვითონ მართლაც ვარდივით გაფურჩქნილი **ნიკოლოზ ფრუიძე**.

განუკურნებელ სნეულებათაგან რომ იღუპებიან ადამიანები, კი, ბატონო, ამას წინ ვერავინ ვერ აღუდგება. მაგრამ, აბა, ნახეთ რამდენი ადამიანი კვდება ძალიან ხშირად სულ უბრალო ავადმყოფობისგან (ალბათ, თვლა არა აქვს!ძ, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ბევრს (თანაც ძალიან ბევრს!ძ უბრალოდ წამლის ფული არა აქვს, ხოლო კერძო სამედიცინო მომსახურება რაც ღირს, ყველას კარგად მოეხსენება როგორც სიღარიბის ზღვარს მიღმა, ისე ზღვარს გამოღმა მყოფთაც (ორსავე მხარეს თითქმის ერთნაირი სიდუხჭირეა.ძ.

აი სწორედ აქ ჩაიჭრა ჩვენი პატივცემული მინისტრის მოადგილე. კერძო, ფასიან მედიცინას დაუჭირა მხარი. შველა მხოლოდ სადაზღვევო სისტემაში უნდა ვეძიოთო, სახელმწიფო მედიცინას ვერ დააფინანსებსო, ეს ძალიან ძვირი სიამოვნებააო. მსოფლიოში ვერც ერთ ქვეყანას ვერ ნახავთ, რომ ხელისუფლებამ ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები თავის თავზე აიღოსო...

მე პირადად, მართალი გითხრათ, როგორ გავივლებდი გულში, რომ ეს ჩვენი ვარდივით გაფურჩქნილი მინისტრის მოადგილე გვატყუებდა. ვერც წარმოვიდგენდი. ალბათ, მთელ მსოფლიოში მართლაც ასეთი მდგომარეობაა-მეთქი, ვფიქრობდი.

არადა თურმე სულ სხვა მდგომარეობა ყოფილა. გუშინ, იმ რეპორტაჟის ნახვის შემდეგ, ერთ ჩემს ნაცნობ ექიმს დავურეკე. კითხული კაცია და ვკითხე, ნუთუ მსოფლიოს არც ერთ ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში ხალხზე, უბრალო, უფულო ადამიანებზე არ ფიქრობენ და ვინც კი სიღარიბის მიღამოებშია, ანუ სიღარიბის ზღვრის გაღმა-გამოღმაა, ყველა ნაადრევი სიკვდილისთვის არის განწირული-მეთქი.

ჩემსას არაფერს დავამატებ. ქვემოთ მხოლოდ ჩემი კითხული ნაცნობი ექიმის სიტყვებს მოვიყვან:



**— სადაზღვევო მედიცინა იმიტომ არ ამუშავდა ჩვენთან და კიდევ დიდხანს იმიტომ არ ამუშავდება, რომ საშინლად მახინჯი სახე მიიღო. სადაზღვევო მედიცინა XIX საუკუნის ბოლოს იმ ქვეყნებში გაჩნდა, სადაც მთელი სამედიცინო დაწესებულებები კერძო მფლობელთა ხელში იყო. ეს სამედიცინო დაწესებულებები მალე ამ სადაზღვევო კომპანიების მძევლებად იქცნენ, ეს კომპანიები კი პასუხს არაფერზე არ აგებენ.**

**ამიტომ მსოფლიოში დღეს სულ სხვა ტენდენციასთან გვაქვს საქმე.**

**ნორვეგიაში, მაგალითად, ჯერ კიდევ 2001 წელს გამოისყიდა სახელმწიფომ უკანასკნელი კერძო კლინიკა და მთელ ქვეყანაში გამოაცხადა, რომ ბოლოსა და ბოლოს დამთავრდა კერძო მედიცინა, სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ერის ჯანმრთელობის მთელი პასუხისმგებლობა.**

**ამ გზას ადგას დღეს თითქმის ყველა თანამედროვე ასე თუ ისე დაწინაურებული ქვეყანა. ნორვეგიის გარდა მედიცინა სახელმწიფოს ხარჯზეა დიდ ბრიტანეთში, სინგაპურში, ავსტრალიაში. მე იქნებ ცოტა ძველ ცნობასაც გაწვდით. ახლახან ერთ-ერთ უცხოურ არხზე მოვისმინე, რომ მედიცინა სკანდინავიის ქვეყნებში თითქმის ყველგან უფასო გამხდარა.**

**რაღა შორს მივდივართ, — განაგრძობდა ჩემი ნაცნობი კითხული ექიმი, — გუშინ ჩემი ქალიშვილი ესპანეთიდან ჩამოვიდა, ერთ-ერთ კონგრესის მუშაობაში იღებდა მონაწილეობას, და ბევრ სხვა ამბავთან ერთად ასეთი ამბავიც ჩამოიტანა: 65 წლის შემდეგ ესპანელთათვის, უფრო სწორად, ესპანელ მოქალაქეთათვის, უფასოა ყველა სასურველი პერიოდული გამოცემა, აგრეთვე ყველანაირი წამალი, ფასისდა მიუხედავად, აგრეთვე მკურნალობა და ტრანსპორტი. პენსია, რასაკვირველია, თავისთავად იგულისხმება. არადა ესპანეთი მაინცდამაინც მდიდარ ქვეყნად არ ითვლება.**

სხვაც კიდევ ბევრი რამ მითხრა ჩემმა ნაცნობმა კითხულმა ექიმმა, მაგრამ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ჩვენი ვარდივით გაფურჩქნილი მინისტრის მოადგილის გასაგონად კი ვიტყვი: შე კაი დედმამიშვილო და მართლა უპასუხისმგებლო მოხელევ, დაპირებულ პენსიას 100 დოლარამდე არა და არ მიზრდი, წამალს უფასოდ მაძლევ კი არა, ყოველდღე მიძვირებ და მიძვირებ, ექიმთან საოპერაციოდ კი არა, გასასინჯად ვერ მივსულვარ, მარტო „მობრძანდის" თქმაში ათი ლარი უნდა გადავიხადო, ანალიზებს ხომ ნუღარ იტყვი!.. და იმის მაგივრად, რომ სიმართლე მითხრა და იმედიანად დამამშვიდო, მატყუებ კიდეც, მთელ მსოფლიოში ასეაო?!.

როგორც ჩანს, სიღარიბის გაღმა-გამოღმა მყოფთ თქვენს ხელში კიდევ დიდხანს მოგვიწევს ფუჭი ძახილი: საქართველო ევროპაა, ქართველები ევროპელები ვართო... ჩვენ ვიკითხოთ, ბატონო, თორემ თქვენ დიდი ხანია, უკვე მეექვსე წელიწადია, გაევროპულეფულებიცა ხართ და გაამერიკულეფულებიც და ქერის ორმოდან უსინდისოდ გვმოძღვრავთ...

გურამ გოგიაშვილი

ნაკლული სამართალი

# კანონი, რომელიც ხელს უმართავს თაღლითებს

***იმ თაობის ადამიანებს, რომლებსაც კომუნისტური რეჟიმის წლებში მოუწიათ ცხოვრებამ, ახლაც ახსოვთ მაშინდელ ყოფასთან კარგად მორგებული და აპრობირებული სახლმმართველობები, რომლებმაც კომუნალური ბინების საკუთრებაში გადაცემის (1992 წ.) შემდეგ, ბინათმშენებლობის მტკივნეული პრობლემების მოგვარებას თავი ვეღარ გაართვეს და სამუდამოდ დაგვემშვიდობნენ. მათ შემდეგ შექმნილმა სერვისულმა ცენტრებმაც მხოლოდ ერთხანსღა იარსებეს და საქმე შუაგზაზე მიატოვეს. აბა ამჟამად ქვეყანაში რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე ხდება ბინათსარგებლობის არც თუ მარტივი, ჯერაც მოუთელავი და ახლართულ-ჩახლართული საკითხების გადაწყვეტა? ამ კითხვით მივმართეთ დამოუკიდებელ ექსპერტს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს ანზორ მესხიშვილს:***

— ვიდრე ამის თაობაზე კანონს მიიღებდნენ, ხელმძღვანელობდნენ 1997 წელს გამოსული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომლის მეოთხე თავი არეგულირებს ისეთ ურთიერთობებს, როგორიცაა ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლებში. თუმცა აღნიშნულმა კოდექსმა არა თუ ამომწურავად, ძალზე ზოგადადაც ვერ მოაწესრიგა ბინათსარგებლობის საკითხები, რამაც აუცილებელი გახადა 2007 წლის ივლისში მიეღოთ სპეციალური კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ". კანონი არეგულირებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს დასახელებული ამხანაგობისა და მის წევრთა საკუთრების ფორმებს, აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წარმოშობის, ჩამოყალიბების, საქმიანობისა და ლიკვიდაციის ძირითად სამართლებრივ პირობებს.

**— ბატონო ანზორ, ამ საკითხებთან დაკავშირებით რედაქციაში უამრავი წერილი შემოდის. მკითხველებს განსაკუთრებით აინტერესებთ კანონის ის ნაწილი, რომელიც ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას განსაზღვრავს. ამიტომ იქნებ დავაზუსტოთ, კონკრეტულად კანონი რას მიიჩნევს საერთო ქონებად?**

— ასეთებია: მიწის ნაკვეთი, ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მომსახურებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობები, საინჟინრო-კომუნიკაციური მოწყობილობა და გაყვანილობა, საძირკვლები, კარკასი, კედლები, საერთო სარგებლობის აივნები, სართულშუა გადახურვები, მოაჯირები, საწვიმარი მილები, მრავალბინიანი სახლის ვესტიბიულები, სადარბაზოები, დერეფნები, კიბის უჯრები, სარდაფები, სხვენები, სახურავები, ლიფტები და ასე შემდეგ, რომლებიც არ იმყოფება ინდივიდუალურ საკუთრებაში.

**— ეს გასაგებია, მაგრამ როგორ განისაზღვრება თავად ბინის მესაკუთრის წილი საერთო ქონებაში?**

— მესაკუთრის წილი ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით მრავალბინიანი სახლის ბინათა საერთო ფართობთან, ხოლო საერთო ქონების მეწილეთა რაოდენობა განისაზღვრება ბინების რაოდენობის შესაბამისად.



იხ. 8 გვ.

**— არც თუ იშვიათად მობინადრეთა გაუთავებელი დავის საგანი საერთო სათავსოებია. საინტერესოა, როგორ ხდება ასეთი სათავსოების დადგენა?**

— ამხანაგობის წევრები, როგორც წესი, კრებაზე აფიქსირებენ მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსოების (სარდაფები, სხვენები და ა. შ.ძ მფლობელობის ამ კანონის ძალაში შესვლის დროს არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და ხმათა ორი მესამედით იღებენ გადაწყვეტილებას, რომლის თაობაზეც დგება შესაბამისი ოქმი, თუ რა თქმა უნდა, წესდებით არ განისაზღვრება განსხვავებული კვორუმი.

## ◉ განველი ჩვენგან, მაცდურო!

# „საქართველოს დიდი ათეული“ – გასართობი თოქ-შოუ თუ პროვოკაცია?




**იმის მიუხედავად, რომ წერილის სათაურში კითხვის ნიშანი დავსვი, პირადად ჩემთვის, მას შემდეგ, რაც 16 იანვარს ვუყურე „საქართველოს დიდი ათეულის“ თოქ-შოუს დასკვნითს გადაცემას, რომელიც, რბილად თუ ვიტყვით, სკანდალურად დასრულდა, პირადად ჩემთვის აღარაფერია საორჭოფ-საკითხვისნიშნო.**

არ ვიცი, საზოგადოებრივი მაუწყებლის ამ პროექტის დასაწყისშივე იყო თუ არა გათვალისწინებული ის, რითაც დასრულდა ეს თოქ-შოუ, თუ შემდეგ შეიტანეს ამ „უწყინარი“ შოუს სცენარში კორექტივები, მაგრამ ფაქტი ერთია – **გადაცემის ფინალი ძალიან ჰგავდა საქართველოს დედაეკლესიის, მისი უწმინდესობის ილია II-ის, სრულიად საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ „ტერორისტულ აქტს“, გამიზნულ პროვოკაციას.**

თავისთავად თითქოს რა იყო ამ პროექტში ცუდი? არც არაფერი და უფრო მეტიც – მზად ვარ არ დავეთანხმო უკანასკნელი გადაცემის მონაწილე სასულიერო პირებს იმაში, რომ გამოკითხვაში წმინდანების ჩართვა მკრეხელობა და ცოდვაა იმიტომ, რომ ეკლესიისთვის ამა თუ იმ წმინდანისთვის უპირატესობის მინიჭება მიუღებელია.

სამღვდელოების მიმართ დიდი მოწიწებით და პატივისცემით – კი, მაგრამ ქართველ მორწმუნეთა დიდი ნაწილი, მათ შორის თქვენი მონა-მორჩილიც, სამწუხაროდ ვერ ვცხოვრობთ ეკლესიურად. ამიტომ ბევრმა იქნებ არ ვიცოდით და არ ვიცით ამ დოგმის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა და არა მარტო ამის გამო, **პირადად ჩემთვის, მაგალითად დავით აღმაშენებელი, პირველ რიგში საქართველოს უდიდესი გმირი ხელმწიფეა და შემდეგ აღვიქვამ მას, როგორც წმინდანს. უფრო მეტიც, ეს „შემდეგ“, სულაც არ ვიცოდი მაშინ, გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს, როცა პირველად წავიკითხე გამსახურდიას რომანი „დავით აღმაშენებელი“. მხოლოდ მოგვიანებით, ზრდასრულ ასაკში გავიგე, რომ ის მართლმადიდებელი ქართველების წმინდანი ყოფილა. ისევე როგორც: ვახტანგ გორგასალი, თამარ მეფე და სხვა მრავალი.**

არც ის მიმაჩნია დიდ ცოდვად თუ ჩემს გულში, რომელიმე წმინდანს პირველი, მეორე და ა.შ. ადგილები უკავია. მაგალითად, ცნობილი ამბავია, რომ ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნომერ პირველი წმინდანი წმინდა დიდმოწამე გიორგია. ამის დასტურია საქართველოში არსებული 365 წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ტაძარში შესვლისას, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატების შემდეგ, როგორც წესი, წმინდა გიორგის ხატს ვუნთებ სანთელს. **ზოგჯერ, როცა საკმარისი ფული არ მქონია, უფრო დიდი ცოდვაც ჩამიდენია – ერთადერთი სანთელი წმინდა გიორგის ხატისთვის დამინთია.**

**მიუხედავად ამისა, უყოყმანოდ ვიტყვი: ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო ამ ამაზრზენი კადრების ხილვა, რითაც უხვად გახლდათ გაჯერებული ზემოთ ხსენებული „საქართველოს დიდი ათეულის“ უკანასკნელი გადაცემა.**

რატომ? იმიტომ რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა (ქეთი დოლიძე, მიშა ჭიაურელი, გია მურღულია... თუ ვინმე გამომრჩა, ბოდიში ყველანი, გადაცემის წამყვანებიდან დაწყებული, დამსწრე საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობით დამთავრებული, ლამის მთელი სტუდია წარმოჩნდა, როგორც

### „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა“

დავიწყოთ იმით, რომ ხსენებული გადაცემა ადრე ჩანაწერის სახით გადაიცემოდა და მხოლოდ 16 იანვარს გავიდა პირდაპირი ეთერით ??? თუ რატომ დავსვი კითხვის ნიშანი, და თანაც სამი, იმ მკითხველისთვის, ვინც უყურა ამ გადაცემას, დარწმუნებული ვარ, გასაგები და ცხადია. ვინც ვერა, იმისთვის ქვემოთ გახდება გასაგები.

თავიდან თითქოს არაფერი ისეთი არ ხდებოდა. გაცხადდა სამღვდელოების პოზიცია, გამოკითხვაში წმინდანების ჩართვის მიზანშეუწონლობის შესახებ. რასაც ემოციური კამათი და აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა, მაგრამ სკანდალურ ფინალს თითქოს მაინც არაფერი განაპირობებდა. **მდგომარეობის დაძაბვის პირველი ნიშნები მას შემდეგ გაჩნდა, რაც მანანა არჩვაძის მიტინგის კადრები აჩვენეს, რომელიც ამ ქალბატონს საპატრიარქოსთან გაუმართავს, საპატრიარქოს პოზიციის იდენტური მოთხოვნით.** ქარიშხალი მაშინ ამოვარდა, როცა მოკლე სარეკლამო ჭრის შემდეგ I არხის ერთ-ერთმა შეფმა, თოქ-შოუს დახურვის შესახებ გააკეთა განცხადება, რაც, მისი თქმით, საპატრიარქოს ცნობილი პოზიციის გამო მიუღია სარედაქციო საბჭოს. და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო!

ჯერ, აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის „წვრილფეხობაზე“ მოგახსენებთ.

**მსახიობი ნინო ბურდული,** როგორც ქართული კინოს ვარსკვლავი, ისე იყო იქ მიწვეული. მისი პათოსი მოკლედ ის იყო, ეკლესიას და პატრიარქს ვინ ჰკითხავსო. იქვე გაგვაფრთხილა, საქართველოში არამართლმადიდებლებიც ცხოვრობენ და მაგათ რომ გვიჩივლონ სტრასბურგში, მერე სად მივდივართ, ხომ შევრცხვით ევროპული მასშტაბით.

**ბასა ჯანიკაშვილი:** ასე იწყებოდა ირანშიც. ირანისკენ მივდივართ? ანუ, რელიგიური, ამ შემთხვევაში, მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმისკენ?

**და ირმა სოხაძე:** რა ვქნათ, პატრიარქთან ვიყავით და ეგრე ადვილი არ არის მასთან საუბარი და უარის თქმა.

**დავით პაიჭაძე** ყველაზე აგრესიული იყო, მაგრამ აქ იმას აღვნიშნავ მხოლოდ, როგორ „აწვებოდა“ ირმა სოხაძეს: თქვი, რატომ არ ამბობ, რომ ეკლესიისგან, პირადად პატრიარქისგან იყო თქვენზე ზეწოლა, პირდაპირი ეთერია **(აი, რატომ გავიდა მხოლოდ ეს გადაცემა პირდაპირი ეთერით!),** რისი გეშინია, თქვი!

და იქვე დასძინა – ადრე არ მრცხვენოდა, ახლა მრცხვენია, I არხზე რომ ვმუშაობ! კანონი გვაძლევს უფლებას, რომ ეკლესიაც და პატრიარქიც ფეხებზე დავიკიდოთო!!! და ამას ამბობდა.

### დავით პაიჭაძე

„თავისუფლების ინსტიტუტის“ ღვიძლი შვილი, რადიო „თავისუფლების“ ყოფილი თანამშრომელი, ახლო წარსულში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი, ამჟამად ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ერთ-ერთი იდეოლოგი, მაღალჩინოსანი, აგრეთვე I არხის რადიოს ხელმძღვანელი თანამშრომელი. **ამ კაცის, ქართული ჟურნალისტიკის „მანათობელი ვარსკვლავის“ შესახებ, სრულიად მოულოდნელად, უფრო „ღრმაშინაარსიანი“ ინფორმაცია მოვიპოვე, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი ბიოგრაფიული ცნობებია.** რასაც ქვემოთ ვიტყვი, მისმა ნასტუდენტარმა ყმაწვილმა მიამბო.

თურმე ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანობისას, სადაც იგი ე.წ. ვარდების რევოლუციაში შეტანილი წვლილისთვის დაინიშნა, ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მეტრი, გალაკტიონის ძმისწული ნოდარ ტაბიძე გაუნთავისუფლებია თანამდებობიდან... უნივერსიტეტის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებო და მის ადგილზე წერა-კითხვის მცირემცოდნე, ავად სახსენებელი „კმარას“ აქტივისტი თეა თუთბერიძე მიუყვანია!!!

**ჰა, როგორია, ჩემო მკითხველო? „კეკელკა“, ვისაც პროფესორმა დალი ფანჯიკიძემ, მიუხედავად, უკაცრავად და ამ დედაკაცის მიერ თავხედური მუქარისა, გერმანულში დადებითი ნიშანი არ აღირსა; თავის დროზე ეს გახმაურებული სკანდალი იმით მოაგვარეს, რომ თეკუნას, გერმანული რუსულით შეუცვალეს. მეტი არ არის თქვენი და ჩემი მტერი, ამ ქალმა საყველპურო რუსული იცოდეს, მაგრამ რუსულში ალბათ უფრო მაღალი რევოლუციური შეგნების ლექტორი შეხვდა;** ის თეა თუთბერიძე, რომელიც ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად, ბავშვობიდან „ჩამშვებიც“ (თვითონ თქვა ერთხელ საჯაროდ, კლასში პირველი მაბეზღარა ვიყავიო) ყოფილა... იქნებ მისი გავლენაც იყო, რომ დავით პაიჭაძემ ფაკულტეტზე ე.წ. „ჩაშვების ინსტიტუტის“ დაკანონებაც სცადაო. თუ არ ვცდები. **„შრომის და თავისუფლების ქარტია“** ერქვაო იმ დოკუმენტს, რომლითაც იგი სტუდენტებს ჯგუფელების ჩაშვებას აიძულებდა და ავალდებულებდა. მართალია ამ ე.წ. ქარტიაზე სტუდენტებისთვის იძულებით ხელის მოწერა ვერ მოუხერხებია, რადგან პრესაში ატყდა ხმაური, მაგრამ სამაგიეროდ არაოფიციალურად ამუშავდა ეს „მექანიზმი“ – **ყველა ჯგუფში 2-3 სტუდენტი ჰყოლია პაიჭაძეს, რომელთაც ასი თვალი და ყური ებათ, ვინმეს რამე ცუდი ხომ არ წამოსცდებაო ჩვენს ხელისუფლებაზე.**

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანობა ეცოტავებოდა თურმე და როცა „რეფორმის“ შედეგად ჰუმანიტარული ფაკულტეტები გაერთიანდა, ამ გაერთიანების „დირექტორობა“ მოინდომაო.

დღეს აღარც დავით პაიჭაძეა იქ და აღარც თეა თუთბერიძე. ეს ზემოთ თქმული ამბები „გაუბაზრდათ“ და ორივე სხვაგან დააწინაურეს. **თეა რაღაც მასწავლებელთა გაერთიანებული „კანტორის“ ხელმძღვანელად დაუნიშნავთ, დავით პაიჭაძე კი, როგორც ზემოთ ვთქვი, ჭავჭავაძის უნივერსიტეტშია, სადაც წარმატებით ხრწნის მომავალ თაობას.**

ბოლოს ამ კაცის გასაგონად, ვინც იძახის, ადრე არ მრცხვენოდა, ახლა მრცხვენია I არხზე მუშაობაო, მინდა ორიოდე კითხვა დავსვა: საერთოდ იცის სირცხვილი რა არის? ვითომ კანონის უზენაესობას რომ იცავს, არავის (პატრიარქს – **დ.მ.**ძ აქვს სარედაქციო მუშაობაში ჩარევის უფლებაო, **გიგა ბოკერიას, გიგი უგულავას და სხვებს აქვთ თითქმის ყველა ტელეკომპანიის მაკონტროლებელი უფლება? იმისი არ რცხვენიათ, რომ 5 წელიწადია მიშა მაგარია და პოლიხრონიონ-ოსანა ისმის რადიო-ტელევიზიებიდან?**

### და ყველაფრის მიუხედავად

ანუ ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, რომ, თუ წინასწარ არ იყო დაგეგმილი, დავით პაიჭაძემ და მისმა დოსტებმა იმ სტუდიაში მომენტი გამოიყენეს და დაუფარავი იერიში მიიტანეს ზოგადად ქართულ ეკლესიაზე და პირადად ილია II-ზე. **სწორად აღნიშნა გია მურღულიამ, რომ იმ დღეს იყო მცდელობა სიტუაციის სხვა სიბრტყეში გადატანისა, რათა სულ ცოტა, ჩრდილი მიეყენებინათ ქვეყნის ერთადერთი შეუვალი ავტორიტეტის, ქართული ეკლესიის და მისი წინამძღოლისთვის.**

რაც შეეხება ათეულს, ამ პროექტის მიმართ ჩემი ზოგადად დადებითი დამოკიდებულება უკვე აღვნიშნე: გაგრძელდება თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს. ერთი კითხვაც ჩნდება ამ მიმართებით – **რამდენად იყო და არის დღეს საჭირო ასეთი პროექტები? რა, მეტი საქმე და სადარდებელი აღარა გვაქვს ამ დაქცეულ ქვეყანაში?**

**დაბოლოს, მინდა ბოდიში მოვუხადო მის უწმინდესობას, თუ კი რამ წამომცდა სარწმუნოებისთვის მიუღებელი.** რა ვქნა, ვერ ვცხოვრობ ეკლესიურად და, ვეჭვობ, როდესმე შევძლო ეს. მაგრამ ერთი რამ კი დანამდვილებით ვიცი – **მე გენეტიკურად ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი და ვერანაირი სექტების ფოჩიანი კამფეტები ვერ დამატოვებინებს მამა-პაპათა რჯულს.**

**ცოდვილთა შორის უცოდველესი, მონა ღვთისა**

**დავით მხეიძე.**

## ◉ ინფორმაცია

### ჩვენთვის იარაღის გადმოცემას არავის აპატიებენ

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ თუკი რიგი ქვეყნები საქართველოსათვის იარაღის მიწოდებას გააგრძელებენ, ეს ფაქტი რუსეთისა და ამ ქვეყნების ურთიერთობებზე აუცილებლად აისახება.**

**ჩვენ იმის მიხედვით ვიმოქმედებთ, თუ როგორ მოიქცევიან ესა თუ ის ქვეყნები მომავალში. იმ შემთხვევაში, თუკი სხვა ქვეყნები საქართველოსათვის იარაღისა და სხვა სახის თავდასხმითი ხასიათის საბრძოლო მასალის მიწოდებას გააგრძელებენ, ჩვენ გავაკეთებთ შესაბამის დასკვნებს, რომელიც რუსეთის ამ ქვეყნებთან ურთიერთობებს შეეხება, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, მურატ ჯიოევთან გამართული შეხვედრის შემდეგ.**

### პარლამენტის ბიუროს სხდომა გადაიდო

**პარლამენტის ბიუროს გუშინდელი სხდომა პარასკევისთვის გადაიდო. ბიუროს გადადების მიზეზი არ სახელდება.**

**ბიუროს სხდომაზე საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებს საგაზაფხულო სესიაზე მუშაობის გეგმები უნდა წარედგინათ; დაგეგმილი იყო უკრაინის მხარდამჭერი განცხადების მიღებაზე მსჯელობაც.**



**პარასკევს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე შვებულებიდან ბრუნდება და, შესაბამისად, წელს პირველ ბიუროს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე წარუძღვება.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

ნაკლული სამართალი

(მეშვიდე გვერდიდან)

# კანონი, რომელიც ხელს უმართავს თაღლითებს

აღნიშნული ოქმი და ნახაზი მობინადრემ უნდა წარადგინოს სამეურნეო სათავსზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად, რათა შესაძლებელი გახდეს ამ სათავსოს ადგილმდებარეობის დადგენა.

**— აქვე არ შემიძლია არაფერი გკითხოთ ავტოფარეხის პრივატიზების თაობაზე, რაც ხშირად მობინადრეებში ბევრ გაუგებრობას იწვევს. ბატონო ანზორ, როგორ ხდება საერთო სარგებლობის ეზოში განთავსებული ავტოფარეხის პრივატიზება — მიწის ნაკვეთთან ერთად თუ უმიწოდ?**

— კანონი საერთო საკუთრების ობიექტად მოიაზრებს მიწის ნაკვეთს, რომლის განკარგვა ხდება ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით. ამ მხრივ საინტერესოა ამხანაგობის წევრთათვის ავტოფარეხების საკუთრების უფლებით პრაქტიკაში დამკვიდრებული გადაცემის წესი, რომელიც პირობითად შეიძლება ორად დავყოთ: ერთ შემთხვევაში ავტოფარეხის საკუთრებაში გადაცემა ხდება მიწაზე საკუთრების უფლების მოუპოვებლად, ხოლო მეორე შემთხვევაში — ორივეზე საკუთრების უფლებით. პირველი შემთხვევა აშკარად ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლს, სადაც აღნიშნულია, რომ შენობა (ნივთი) მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონი კი მსგავს მუხლს არ შეიცავს. ამგვარად, არ შეიძლება ავტოფარეხი მოიაზრო იმ მიწის გარეშე, რომელზეც დგას ავტოფარეხი... და მეორე მხრივ, ავტოფარეხის საკუთრების უფლების გადაცემა იმ მიწითურთ, რომელზეც დგას ეს ავტოფარეხი. პირველ შემთხვევაში უფლების მოპოვებისათვის საჭიროა ამხანაგობის წევრთა ორი მესამედი, ხოლო მეორე შემთხვევაში — წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის (100-პროცენტიანი) მხარდაჭერა.



**— იმ შემთხვევაში, თუ ბინის ერთ მესაკუთრეს გადაეცა ავტოფარეხი საკუთრებაში მიწის ნაკვეთთან ერთად, ეს გამოიწვევს თუ არა საერთო კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთის წილობრივ ცვლილებას?**

— რა თქმა უნდა, ეს გამოიწვევს საჯარო რეესტრის ჩანაწერში შესაბამის ცვლილებას. კერძოდ, ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ფართობის ცვლილებების შემთხვევაში მოხდება ამ წევრთა წილების ხელახალი გადაანგარიშება და რეგისტრაცია საჯარო რეესტრში იმ წევრის ან წევრთა ხარჯზე, რომელთაც ფართობის ცვლილებების შედეგად შეუმცირდათ წილი.

**— ბატონო ანზორ, გულახდილად გვითხარით, ეჭვი არ გეპარებათ ამ კანონის სრულყოფილებაში?**

— რა თქმა უნდა, და ამას არც ვმალავ. კანონში ბევრი რამ გაურკვეველი და დასაზუსტებელია. მაგალითად, გაურკვეველია კანონის 2/3-ე მუხლი გულისხმობს ამხანაგობის წევრთა 2/3-ს თუ კრებაზე დამსწრე წევრთა 2/3-ს. კანონის 28-ე მუხლის თანახმად, კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება ამხანაგობის წევრთა 2/3. ზემოთ ნახსენები მუხლის თანახმად კი გამოდის, რომ წევრთა 2/3-ის მოწვევის შემთხვევაში, შესაძლებელია სამეურნეო სათავსების განხილვა და გადაწყვეტა დამსწრე წევრთა 2/3-ის მხარდაჭერით. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში, თუ კრება არ ჩატარდა კვორუმის უკმარისობის გამო, განმეორებითი კრების მოწვევისას უკვე აღარაა გადამწყვეტი დამსწრე წევრთა ოდენობა და მათი უბრალო უმრავლესობის სურვილით შეიძლება საკითხის განხილვა და გადაწყვეტა, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება კანონის მე-10 მუხლის 1 ნაწილს.

**— ვთქვათ პირდაპირ, კანონის ასეთი ლაფსუსები ზოგზოგებს თაღლითობისა და დანაშაულისკენ ხომ არ უბიძგებს?**

— სწორედ მაგის თქმა მინდოდა და დამასწარით. არის შემთხვევები, როდესაც ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას საერთო საკუთრების ქონების გასხვისებაზე, კრების ჩაუტარებლად ადგენს ოქმს, აწერს ხელს, ამტკიცებს ნოტარიუსთან და არეგისტრირებს საჯარო რეესტრში მისთვის სასურველ პიროვნებაზე ან პირად საკუთრებაში. ასეთ შესაძლებლობას კანონი აძლევს არა მარტო ამხანაგობის თავმჯდომარეს, არამედ ნებისმიერ ამხანაგობის წევრსაც. ამ დანაშაულებრივ ქმედებაში ჩართული არიან სარეგისტრაციო სამსახური და ნოტარიუსი, რომლებიც ამოწმებენ მხოლოდ ამხანაგობის თავმჯდომარისა და კრების მდივნის ხელმოწერის სინამდვილეს და არ ითხოვენ საერთო კრების მონაწილეთა ხელმოწერებს. თვითონ განსაჯეთ, ასეთი ნაკლული კანონი, რომელიც თავად მოითხოვს კანონს, მობინადრეთა ინტერესების დამცველად გამოდგება?!

ესაუბრა
**ოთარ ხუციშვილი**

კრიმინალი

*მართალია, ჩვენი პრეზიდენტი საჯარო გამოსვლებში ბიზნესმენებს, მეწარმეებს ხელშეუხებლობას აღუთქვამს და ომახიანად აცხადებს, რომ საქმოსნების შევიწროების შემთხვევაში სასტიკად დაისჯება ნებისმიერი თანამდებობის პირიო, მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება, ხელისუფლება ერთს ლაპარაკობს და მეორეს აკეთებს. საზოგადოებაში კარგა ხანია გავრცელდა ხმა, რომ გამოცარიელებული ბიუჯეტისა და მაღალჩინოსანთა პირადი ანგარიშების შესავსებად ვანო მერაბიშვილის უწყების ბიჭებმა ფულიანი ხალხის „შემოვლის" მესამე წრე დაიწყეს.*

# გატაცებული ბიზნესმენი „პატრულმა" გზაში მოკლა?

### ფირმის დირექტორი ნარკოლოგიურში მიჰყავდათ თუ გაიტაცეს?

**გასული წლის 30 ნოემბერს ფირმა „რედ ბულის" კავკასიაში წარმომადგენლობის დირექტორი ზურაბ მათნაძე რუსთავის ავტოდრომზე ავტორალს დაესწრო.** შეჯიბრის დამთავრებისთანავე იგი თავისი „ფოლკსვაგენ პასატით" თბილისისკენ გამოემართა. მათნაძე მანქანაში მარტო იჯდა. რა მოხდა შემდეგ არავინ იცის. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ „რედ ბულის" კავკასიის ოფისის ხელმძღვანელი პატრულის მანქანაში მძიმე მდგომარეობაში იპოვეს. პოლიციის მანქანა განათების ჩაბეტონებულ ბოძს იყო დაჯახებული. „პატრულის" ეკიპაჟმა უმნიშვნელო სახის დაზიანება ბი მიიღო. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი მათნაძე თბილისი-რუსთავის გზატკეცილიდან რუსთავის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. დაზარალებულს თავის ქალის ფუძის მოტეხილობა აღენიშნებოდა, იგი საავადმყოფოში გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, მათნაძე „ფოლკსვაგენ პასატით" დიდი სიჩქარით მიდიოდა. გადამეტებული სიჩქარის გამო „პატრულის" ეკიპაჟმა იგი გააჩერა. მძღოლმა სამართალდამცავებს უარი განუცხადა საბუთების წარდგენასა და ალკოტესტის გავლაზე. ამის საფუძველზე პოლიციელებმა მათნაძე დაუმორჩილებლობისა და ხულიგნობის მოტივით დააკავეს ადმინისტრაციული კანონმდებლობის სრული შესაბამისობით. ამის შემდეგ პიროვნების ვინაობის დადგენისა და მისთვის სათანადო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი დაკავებულთან ერთად გაემართა პოლიციის განყოფილებისაკენ. მგზავრობის დროს დაკავებულსა და დამკავებლებს შორის საპატრულო მანქანაში მოხდა კონფლიქტი, რა დროსაც ავტომანქანა შეეჯახა ბეტონის ბოძს, რასაც მოჰყვა საუბედურო შედეგი, ვგებულობთ სამინისტროს ოფიციალური წყაროებიდან.

დაღუპულის ახლობლებს კი სულ სხვა ვერსია აქვთ. ისინი ამტკიცებენ, რომ მათნაძე ვითომდა ნარკოლოგიურში წაყვანის მომიზეზებით, მანქანაში გადაისვეს და გაიტაცეს.

### რა იყო გატაცების მიზანი?

**როგორც ცნობილია, ბიზნესმენებს მორიგი „ხარკის" ასაკრეფად პირდაპირ იბარებენ შსს-ში. ოდნავ ურჩებს პერსონალურად უკავშირდებიან სოდ-ისა და კუდ-ის მაღალჩინოსნები და აფრთხილებენ, თუ რა ცეცხლს ეთამაშებიან დაუმორჩილებლები.** მათს მიმართ, კი ვინც ამ გაფრთხილებას არად აგდებს, აქტიურ ზომებზე გადადიან. იწყება თვალთვალი (ოჯახის წევრებისაც), დევნა, შანტაჟი. ყველაფერი კი იმით მთავრდება, რომ ათვალისწინებულს ჯიბეში ხან ნარკოტიკს „აღმოუჩენენ", ხან — არარეგისტრირებულ იარაღს. სამართალდამრღვევი სამართალდამცავები მაინც აღწევენ შედეგს. ბიზნესმენი იძულებული ხდება არათუ ხარკი გადაიხადოს, არამედ ქონების დიდი ნაწილი (მთლიანად თუ არა) „ნებაყოფლობით" გადასცეს სახელმწიფოს.

ირკვევა, რომ მათნაძე სწორედ მესამე კატეგორიის დაუმორჩილებელთა არც თუ მრავალრიცხოვან საქმოსანთა წრეს განეკუთვნებოდა. ზოგიერთთა გადმოცემით, მას არაერთგზის დაუკავშირდნენ შსს-დან, სოდ-იდან, კუდ-იდან. მისი მოთოკვა და დამორჩილება ვერ შესძლეს. მაშინ მერაბიშვილის უწყება სიტყვიდან საქმეზე გადავიდა. აწ გარდაცვლილზე დაწესდა მუდმივი თვალთვალის რეჟიმი. იმ დღესაც, როდესაც „რედ ბულის" დირექტორი რუსთავის ავტოდრომზე რბოლებს აკვირდებოდა, აკვირდებოდნენ მასაც. მაშინ კი, როდესაც მათნაძემ მეგობრებთან ერთად ლუდი მიირთვა და მანქანის საჭეს მიუჯდა, „პატრულმა" მითითება მიიღო გაეჩერებინა მისი მანქანა და მძღოლისთვის სიმთვრალეზე ტესტირება ჩაეტარებინა, აცხადებს გარდაცვლილის ზოგიერთი ნაცნობი. გაუწია თუ არა პოლიციელებს მათნაძემ წინააღმდეგობა, მათთვის უცნობია. ფაქტი ერთია, რომ მას სიმთვრალის რაიმე ხარისხი დაუდგინდა. ახლობელთათვის ისიც ცნობილია, რომ პატრულს მათნაძე პოლიციის განყოფილებაში კი არ მიჰყავდა, როგორც შსს ოფიციალურად აცხადებს, არამედ თბილისში ნარკოტესტირების ჩასატარებლად.

ამგვარი ინფორმაციების არსებობის პირობებში ბუნებრივია ჩნდება კითხვები — რატომ მიჰყავდათ დაკავებული თბილისი-რუსთავის მაგისტრალიდან თბილისში და არა რუსთავში. რა საჭირო გახდა ნარკოტესტირების ჩატარება, როდესაც მძღოლს სიმთვრალე დაუმტკიცდა. მისთვის საჯარიმო ქვითრის გამოწერა ხომ ადგილზევე შეიძლებოდა და სხვა.

მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა ბადებს ეჭვს, რომ მათნაძე ტრასიდან ნარკოლოგიურში კი არ მიჰყავდათ, არამედ შსს-ს რომელიმე მაღალჩინოსანთან შესახვედრად, რათა ურჩი ბიზნესმენისთვის ჭკუა ესწავლებინათ. ტესტი იყო მიზეზი, მიზანი კი მათნაძის მოტაცება, — ასკვნიან ახლობლები.

მომხდარი ავტოავარიის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება. პრაქტიკოსების აზრით, მისგან არ უნდა ველოდოთ პასუხს თუ სად, ვისი ბრძანებითა და ვისთან შესახვედრად მიჰყავდათ ბიზნესმენი. გამოძიება მხოლოდ ავტოავარიის გამომწვევ მიზეზებს შეისწავლის. ყველაფერი ალბათ იმით დამთავრდება, რომ დაისჯება მეისრე (პატრულის ეკიპაჟის საჭესთან მჯდომი წევრი). თუმცა, პროფესიონალები არც იმას გამორიცხავენ, რომ გამოძიება ტენდენციურად წარიმართოს და ყველაფერი გარდაცვლილს დაბრალდეს (მანქანაში კონფლიქტის წამოწყება, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, გაქცევის მცდელობა და ა. შ.).




**ზაზა ბილიხოძე**

ვულოცავთ!

# დირსეული მამულიშვილის სახელობის პრემია – დირსეულთ!



**დიდი ქართველი მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატებს ახლახან კიდევ ორი შეემატა. როგორც ცნობილია, პრემია საქართველოს კულტურის ფონდთან დაარსდა 1998 წელს ფონდის თავმჯდომარის, გამოჩენილი ხელოვანის მერაბ ბერძენიშვილის წინადადებით და იგი სამ წელიწადში ერთხელ ქველმოქმედებისა და ეროვნული კულტურის გადარჩენააღორძინების საქმეში გაწეული ღვაწლისათვის ენიჭება — კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში გამორჩეულ მოღვაწეს. ჯილდოს — ექვთიმე თაყაიშვილის გამოსახულებიანი ბრინჯაოს მედალიონის ავტორია მერაბ ბერძენიშვილი.**





პრემიის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში არიან მეცნიერებისა და კულტურის დარგის გამოჩენილი მოღვაწენი. პირველი პრემია 1998 წელს მიენიჭა გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს, შემდეგ წლებში ლაურეატები გახდნენ მთარგმნელი ბაჩანა ბრეგვაძე, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი მიხეილ ნიკოლეიშვილი, არქეოლოგი ჯუმბერ კოპალიანი, ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაწე ანზორ ერქომაიშვილი და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

და აი მათ რიცხვს წლეულს ორი პიროვნება შეემატა — ტელედოკუმენტალისტი **გელა ქოქიაშვილი** და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ხვთისავარ არჩემაშვილი.**

ქართულ პრესაში და სატელევიზიო სივრცეში გელა ქოქიაშვილი ოთხი ათეული წელია რაც მოღვაწეობს. მეტადრე ნაყოფიერია მისი მოღვაწეობა ქართულ ტელევიზიაში. იგი 90 ტელედოკუმენტური ფილმის ავტორია, რომელსაც მაყურებელი იცნობს სერიალებით: „საქართველო არის ესე“ და „მოგზაურობა სამშობლოში“. ეს პროექტი დაიწყო პირველ არხზე და დღეს გრძელდება საპატრიარქოს ტელევიზიით. გელა ქოქიაშვილმა ოპერატორ სოსო გულბანთან ერთად ფირზე აღბეჭდა 800-ზე მეტი ქართული ისტორიული თუ კულტურული ძეგლი, რითაც დაიწყო ძეგლების უნიკალური ვიდეოარქივის შექმნა.

ხვთისავარ არჩემაშვილი წლების მანძილზე მოღვაწეობდა როგორც ჟურნალისტი. დღეს იგი ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწეა და არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთის პრობლემების შემსწავლელი კომისიის წევრი. ფშავის პრობლემების დიდი ჭირისუფალი არაერთი მნიშვნელოვანი საქმის მოთავეა. მაგალითად, იგი ფშავის მთავარი სალოცავის ლაშარისჯვრის საკულტო ნაგებობის კომპლექსის აღდგენის ერთ-ერთი თაოსანია, ქ. სოჭში დააარსა ქართული კულტურის ცენტრი და მრავალი სხვა.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის ახლახან გამართულ სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, ჯილდოები და ფულადი პრემიები გადაეცა ამ ორ პიროვნებას.

— დღეს, როცა მიმდინარეობს ეროვნულ ფასეულობათა გადაფასება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ადამიანების დაფასებას, რომლებიც ქართულ კულტურას ემსახურებიან, — ბრძანა დაჯილდოების ცერემონიალზე აკადემიკოსმა მარიკა ლორთქიფანიძემ.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

SIC!

**სულ ახლახან, 10 იანვარს, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლატვიის რესპუბლიკა, მკაცრი ენობრივი პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით, „ეროვნული უმცირესობის უფლებათა დარღვევის გამო“ ოფიციალურად მკაცრად გააფრთხილა(!!).**

რუსეთის განრისხების მიზეზი გახდა ის გარემოება, რომ ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ვალდის ზატლერსმა** დაამტკიცა თავისი ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებული შესწორება, რომლის თანახმად საზოგადოებრივ საქმიანობაში არასახელმწიფო ენის გამოყენებისათვის საჯარიმო სანქციები მნიშვნელოვნად იზრდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოებრივ საქმიანობაში ლატვიურის გარდა სხვა ენის გამოყენება იკრძალება.

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ანდრეი ნესტერენკომ** განაცხადა, რუსეთი ადანაშაულებს ლატვიის პარლამენტსა და პრეზიდენტს იმაში, რომ მათი ასეთი ნაბიჯი აშკარად არის მიმართული საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროდან, მათ შორის ბიზნესიდან, რუსული ენის გამოძევებისაკენ, რამდენადაც რუსული ენა ლატვიის მოსახლეობის მესამედის მშობლიური ენაა.

რუსეთის მხრივ მკაცრი დიპლომატიური დემარშის წინა დღეს, **9 იანვარს, ლატვიის რადიოს ეთერში ჟურნალისტების მიერ რუსულ ენაზე დასმულ კითხვებზე ლატვიის პრეზიდენტმა ვალდის ზატლერსმა მხოლოდ ლატვიურ ენაზე გასცა პასუხი. ამასთან, პრეზიდენტმა მიუთითა, რომ ყველა ქვეყანას თავისი ჰიმნი, დროშა და ენა აქვს და იგი ნებისმიერ ოფიციალურ ღონისძიებებზე, მათ შორის ევროპარლამენტის სხდომებზეც, მხოლოდ ლატვიურ ენაზე ილაპარაკებს, რომელიც ამავე დროს, ევროკავშირის ერთ-ერთი ოფიციალური ენაცაა.**

გარდა ამისა, **პრეზიდენტის სიტყვებით, ლატვიური ენა უზარმაზარ გამაერთიანებელ უნარს ფლობს — იგი აკავშირებს ლატვიის მოქალაქეებს სახელმწიფოსთან და უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან მონაწილეობას სახელმწიფოს ცხოვრებასა და პოლიტიკაში.** პრეზიდენტმა დასძინა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში, მოსახლეობასთან ურთიერთობისას, ვინც ლატვიური ენა კარგად არ იცის, მას შეუძლია მოისმინოს ამ მოქალაქის აზრი და უპასუხოს რუსულ ენაზეც, ისევე როგორც, სხვათა შორის, შეუძლია ეს გააკეთოს ინგლისურ ენაზეც.

## ლატვიაში, საზოგადოებრივი ურთიერთობების დროს, არასახელმწიფო ენაზე ლაპარაკი ჯარიმდება! ჩვენთან?

რუსი პოლიტიკოსები ლატვიის ამ ნაბიჯს რუსოფობიის გამოვლინებად თვლიან.

ამ საინტერნეტო ინფორმაციამ გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკის“** გასული 2008 წლის 3 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული **მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტის მეუფე ანანია ჯაფარიძის** ფრიად საყურადღებო წერილი გამახსენა **(„ენა და სახელმწიფო: საქართველოში რუსული კულტურის ქართული კულტურით გადაფარვის აუცილებლობის შესახებ“),** რომელსაც იმავე გაზეთში შემდგომ გამოხმაურებაც მოჰყვა (იმავე წლის 10 ოქტომბრის ნომერში — **„სახელმწიფოს განმტკიცებისა და ხალხის ერად ჩამოყალიბების უპირველესი ფაქტორი დემოკრატიაა და არა ენა და რწმენა“** და 29 ოქტომბრის ნომერში — **„საქართველო: დემოკრატია თუ ენა და რწმენა?“**).

მეუფე ანანია ჯაფარიძე თავის წერილში სინანულით აფიქსირებდა ჩვენში ჯერ კიდევ შემორჩენილი რუსული ენისა და კულტურის კულტს და საჭიროდ მიიჩნევდა ქვეყანაში ისეთი ეროვნული პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ქართული კულტურით მის „გადაფარვას“ შესძლებდა. მეუფე ანანიას აზრით, ქართული ენის საყოველთაობასა და წარმმართველ როლს უნდა მივაღწიოთ განათლების, კულტურის და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში ღრმად გააზრებული რეფორმების თანმიმდევრული გატარებით.

ცხადია, ჩვენი პრობლემა ლატვიის სატკივარისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. იქ თუ **რუსი მოსახლეობის** რიცხვი ქვეყნის მოსახლეობის **მესამედს** აღწევს, ჩვენთან ასეთი პრობლემა ნამდვილად არ არის. ყველა **არაქართველის** ხვედრითი საქართველოს მოსახლეობის 16 პროცენტამდე აღწევს, მათ შორის რუსულენოვანი მოსახლეობისა — 1,5 პროცენტია.

საქართველოში ძირითადი პრობლემა რუსეთის ორსაუკუნოვანი ბატონობით გამოწვეული ეროვნული ცნობიერების დამახინჯება და **ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკურ ჯგუფებს შორის ძირითად საურთიერთობო ენად ჯერ კიდევ რუსული ენის შემორჩენა გახლავთ** (თუმცა, მეორე მხრივ, დღეს უკვე თავი იჩინა ინგლისურით ახალგაზრდობის გატაცებისა და მშობლიური ენის მივიწყება–დამახინჯების მანიამ, რასაც მრავალი სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს და მას ამთავითვე ყურადღების მიქცევა სჭირდება).

აი, ის საკვანძო ნიშები, რომლებშიც ქართულმა ენამ, როგორც მეუფე ანანია ბრძანებს, რუსული ენა უნდა „გადაფაროს“. ყველა ეს საკითხი თავის ზემოთ ნახსენებ წერილში მას მშვენივრად აქვს გაანალიზებული.

ცხადია, რუსულენოვანი სსრკ-ს ნაანდერძევი ეს ფეთქებადსაშიში ბომბი ძნელი და ფრიად საშიში გასანაღმია, მაგრამ თუ ეროვნულ (და არა კვლავ რუსულძ სახელმწიფოს ვამკვიდრებთ, ეს განაღმვა აუცილებელია.

ახლადშექმნილი ეროვნული სახელმწიფოების თვითდამკვიდრების ეს პროცესი რუსეთისათვის უსაშველოდ ძნელად შესაგუებელია! აკი, ლატვიის ზემოთ ხსენებულ ნაბიჯსაც, რომელიც სავსებით ნორმალურია, მან რუსოფობია უწოდა. სწორედ ეს არის რუსული იმპერიული აზროვნების ნიმუში.

**ამირან გაბისონია**



ინფორმაცია

### ეუთოს მისიის წარმომადგენლებს ცხინვალში არ უშვებენ

**მთავარი საკითხი, რომელიც ეუთოს უმაღლესი კომისრის წინაშე დაისვა, გალის რაიონის მოსახლეობის მდგომარეობა იყო. ამის შესახებ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლეს კომისარ კნუტ ვოლებეკთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.**

**ჩვენ ყოველდღე ვართ იმის მოწმენი, თუ როგორ ირღვევა ამ რაიონში ქართული მოსახლეობის უფლებები. ქართველების უფლებები ირღვევა სხვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სადაც რუსი ოკუპანტები ძარცვავენ და დევნიან მათ, — აღნიშნა თემურ იაკობაშვილმა.**

**სიმპტომატურია ის ფაქტი, რომ ცხინვალის მარიონეტულმა რეჟიმმა კნუტ ვოლებეკს ცხინვალში ჩასვლის საშუალება არ მისცა. იაკობაშვილის თქმით, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს, თუ რატომ ბლოკავს რუსეთი საქართველოში ეუთოს მისიის გაგრძელებას.**

**მათ სურთ, რომ სამხედრო დანაშაულებები საერთაშორისო თანამეგობრობისგან დამალონ, — განაცხადა თემურ იაკობაშვილმა.**

**მისივე თქმით, ბოლო პერიოდში ადმინისტრაციულ საზღვრებთან გახშირებული პროვოკაციები და ქართველი პოლიციელების მიმართ სროლა რამდენიმე ფაქტორით არის მოტივირებული.**

**მათ სურთ, ჩვენგან საპასუხო რეაქცია მიიღონ. გამოგვიწვიონ შეიარაღებულ დაპირისპირებაში და შემდეგ განაცხადონ, რომ ჩვენ შეთანხმებებს ვარღვევთ. ასევე, ჩემი აზრით, მეორე მოტივია, რომ შეინარჩუნონ კონფლიქტის ზონებში დაძაბულობა და ამ გზით ცდილობენ, დაიყოლიონ საერთაშორისო თანამეგობრობა უსაფრთხოების საკითხზე გარიგებაზე რაიმე გზით, რათა რუსეთის ძალების ლეგალიზება მოახდინონ, — განაცხადა თემურ იაკობაშვილმა.**

ინტერპრესნიუსი

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**



# ულიარებელი ენგურჰესი

**სამშაბათს სასწრაფო ვიზიტით სოხუმში ჩავიდა რუსეთის სახელმწიფო ღია სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო ეესის“ ხელმძღვანელი ევგენი დოდი.** ორშაბათს აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა გამოთქვა მწვავე უკმაყოფილება ენგურჰესის ერთობლივი გამოყენების შესახებ რუსეთის კომპანიასა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის ხელმოწერილ შეთანხმებასთან დაკავშირებით. „აფხაზეთის ხელისუფლება არ დაუშვებს რესპუბლიკის ინტერესების შელახვას ექსპლოატაციის დროს“, — განაცხადა აფხაზეთის ლიდერმა.

„მოლაპარაკება საქართველოს ენერგეტიკულ უწყებასა და რუსეთის კომპანიის წარმომადგენლებს შორის ენგურჰესის ერთობლივი ექსპლოატაციის საკითხებზე გაიმართა გასული წლის ბოლოს, და ამ მოლაპარაკებათა შედეგებით ხელი მოეწერა მემორანდუმს. სრულფასოვანი ხელშეკრულება კი სავარაუდოდ გათვალისწინებული იყო მარტისთვის“, — განაცხადა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელმა.

მოსაუბრემ უარყო ვარაუდი იმის შესახებ, რომ მოლაპარაკებას საიდუმლო ხასიათი ჰქონდა. იგი არ დაეთანხმა იმასაც, რომ ხელშეკრულებამ შეიძლება გააძლიეროს რუსეთისგან ენერგეტიკული დამოკიდებულება. მისი სიტყვებით, ქართული მხარე არავითარ რისკს არ ეწევა, ვინაიდან „ინტერ რაო“, რომელიც ფლობს საქართველოში მთელ რიგ ობიექტებს, იძლევა ვალდებულებათა შესრულების გარანტიას თბილისის ელექტროგამანაწილებელ კომპანია „თელასისა“ და სააქციო საზოგადოება „მტკვარი ენერგეტიკის“ (თბილისის სახელმწიფო-რაიონული ელექტროსადგურის) აქციების გირავნობით. ამას გარდა რუსეთის კომპანია ფლობს ორ მცირე ობიექტს და ახორციელებს „ხრამ-1“ და „ხრამ-2“ ჰიდროელექტროსადგურების მართვას.

ენერგეტიკის მინისტრის წარმომადგენლის განცხადებაში მოლაპარაკებათა გამჭვირვალობის შესახებ მაინც შეიძლება ეჭვი შევეპაროს. საქმე ის არის, რომ ახალი წლის წინა დღით გამართული მოლაპარაკების შესახებ საქართველოს საზოგადოებრიობისთვის ცნობილი გახდა მოგვიანებით. სამაგიეროდ, როდესაც ხმაური ატყდა, ენერგეტიკის მინისტრს ალექსანდრე ხეთაგურს მოუწია გამოსულიყო პარლამენტში განმარტებებით. მაგრამ მისი არგუმენტები იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების დადების შემდეგ აქციების 100 პროცენტი რჩება საქართველოს საკუთრებაში, დარწმუნება იმაში, რომ საკითხი შეეხება მხოლოდ სადგურის ერთობლივ ექსპლოატაციას და რომ ენგურჰესის ქართულ-აფხაზურ კოლექტივზე ეს არ აისახება, და, ბოლოს, გამოთქმული შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიტიკურ და სამხედრო განრიგებასთან დაკავშირებით ელექტროსადგური რეალურად შეიძლება აღმოჩნდეს აფხაზური მხარის განკარგულებაში, დეპუტატებს, მათ შორის ზოგიერთ პროპრეზიდენტულ უმრავლესობაშიც, სარწმუნოდ არ მოეჩვენა. პოზიციონერად თავის წარმომჩენმა საპარლამენტო ოპოზიციამაც, აფხაზეთიდან დევნილების მოძრაობის ლიდერმა „ჩვენ თვითონ“ პაატა დავითაიამ მოითხოვა შეწყდეს მოლაპარაკება რუსეთის კომპანიასთან და გაუქმდეს მიღწეული შეთანხმება. უნდა ითქვას, რომ ამ მოთხოვნაში იგი მარტო არ ყოფილა.

ამჟამად ირკვევა, რომ სოხუმისთვისაც შეთანხმება ენგურჰესთან დაკავშირებით აღმოჩნდა უსიამოვნო მოულოდნელობა. „აფხაზეთის ხელმძღვანელობა მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება „ინტერ რაო ეესთან“ თანამშრომლობის შესახებ ენერგეტიკის დარგში, მაგრამ არ მოაწერს ხელს არავითარ შეთანხმებას, რომელიც ზიანს მიაყენებს ჩვენი რესპუბლიკისა და ხალხის ინტერესებს“, — განაცხადა სერგეი ბაღაფშმა სოხუმში ორშაბათს გამართულ სპეციალურ თათბირზე. პრეზიდენტმა უკმაყოფილება გამოთქვა ხელმოწერილი მემორანდუმის შესახებ რეგიონში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის ერთობლივი ექსპლოატაციის შესახებ და შეახსენა, რომ საქართველოს მხარეს არის მხოლოდ კაშხალი, მაშინ როდესაც აფხაზურ მხარესა — ყველა ძირითადი ნაგებობა და მართვის პულტი. „საქართველოს შეუძლია გააკეთოს განცხადებები იმის შესახებ, რომ არის აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა ობიექტის მფლობელი, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდია. ენგურჰესი ჩვენს ტერიტორიაზეა, გვეკუთვნის ჩვენ და არავითარ ხელშეკრულებას და შეთანხმებას, რომელიც მოხდება ჩვენს ზურგს უკან, ჩვენი ინტერესების გაუთვალისწინებლად, არ ექნება არავითარი ძალა“, — განაცხადა ბაღაფშმა.

სპეციალისტმა კავკასიის საკითხებში, „რია ნოვოსტის“ საექსპერტო საბჭოს წევრმა მამუკა არეშიძემ გაოცება გამოთქვა მომხდარის გამო. „საქართველოს ხელისუფლება, ჩემი აზრით, ახდენს არათანმიმდევრულობის დემონსტრაციას: ლებულობს საკანონმდებლო აქტს ოკუპირებულ ტერიტორიასთან დაკავშირებით, შემდეგ კი მოგვიანებით დებს ხელშეკრულებას. ამ ლოგიკით გამოდის, რომ დებს ხელშეკრულებას ოკუპანტთან სტრატეგიული ობიექტის ერთობლივი ექსპლოატაციის შესახებ“, — განაცხადა მან.

სხვათა შორის, ერთობლივ ექსპლოატაციამდე, ეტყობა, საქმე არ მივა. ყოველ შემთხვევაში, სიტუაციის ბოლომდე გამორკვევამდე. „იმედი გვაქვს, რომ რუსეთის კომპანიის გადაწყვეტილება, დადოს ხელშეკრულება თბილისთან სოხუმის გვერდის ავლით, არ არის ჩვენი სუვერენიტეტის შეუფასებლობა“, — განაცხადა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ. მინისტრი ვარაუდობს, რომ რუსების მოქმედება შეიძლება ნაკარნახევი იყოს ეკონომიკური ინტერესებით, „ამისთვის ისინი აიძულა ქართულმა მხარემ“. „დღეს ჩვენ ველოდებით „ინტერ რაოს“ წარმომადგენლის ჩამოსვლას და იმედი გვაქვს, მივიღებთ ამომწურავ პასუხს. ნებისმიერ შემთხვევაში რაიმე ხელშეკრულება ენგურჰესთან დაკავშირებით შეიძლება ხელმოწერილი იყოს მხოლოდ ჩვენი მონაწილეობით, ჩვენი ინტერესების გათვალისწინებით და არავითარი სხვა პირობებით“, — განაცხადა შამბამ. ამავე დროს აფხაზეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გვაგრძნობინა, რომ თუ ინციდენტი არ იქნება ამოწურული, მაშინ საგარეო საქმეთა სამინისტროს შეუძლია გამოვიდეს საპროტესტო ნოტით. „იმედი მაქვს, რომ აქამდე საქმე არ მივა“, — დაასკვნა მინისტრმა.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ

# რუსეთი საქართველოში ვიზების გაცემას ანახლებს

**გუშინ ცნობილი გახდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განზრახვის შესახებ, განაახლოს ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებზე.** თბილისში ეს გადაწყვეტილება შეაფასეს, როგორც „საზოგადოებრივი დიპლომატიის“ პირველი წარმატება და ელოდებიან, რომ რიგშია ავიამიმოსვლის აღდგენა და რუსეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობების განახლებაც.

საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზების განახლების შესახებ გვაცნობა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წყარომ, რომელმაც ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში უმალვე განაცხადეს, რომ ოფიციალური ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით არ გააჩნიათ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განმარტა, რომ საქართველოს ინტერესების სექცია არის მოსკოვის შვეიცარიის საელჩოში და რუსეთის ინტერესების სექცია კი საქართველოში შვეიცარიის საელჩოში. ორივე გაიხსნება ერთდროულად ყველა საოქმო პროცედურის დამთავრების შემდეგ. ქართველი ჩინოვნიკების აზრით, ეს უნდა მოხდეს იანვრის ბოლოსთვის. შეგახსენებთ, რომ სამხრეთ ოსეთში ომის შემდეგ თბილისმა და მოსკოვმა შეწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა. ერთობლივი მოლაპარაკებით, საქართველოს ინტერესებს რუსეთის ფედერაციაში და რუსეთის ინტერესებს საქართველოში წარმოადგენს შვეიცარია. მიუხედავად ამისა, საქართველომ გააგრძელა ვიზების გაცემა რუსებზე მაშინ, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ შეწყვიტა ვიზების გაცემა ომის დამთავრებისთანავე.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაადასტურეს, რომ ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებზე დაიწყება უახლოეს დროს. „როგორც კი დამტკიცდება ჩვენი ინტერესების სექცია საქართველოში შვეიცარიის საელჩოში, იგი შეუდგება თავისი საკონსულო ამოცანების კომპლექსის შესრულებას, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემასაც“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ იგორ ლიაკინ-ფროლოვმა. თუმცა ზუსტი თარიღის დასახელება დიპლომატმა ვერ შეძლო, ვინაიდან „ამჟამად საკითხი რუსეთის სექციის ოფიციალური გახსნის შესახებ შვეიცარიის საელჩოში შეთანხმების პროცესშია“.

მიუხედავად ამისა, საქართველოში რუსული ვიზების გაცემის განახლება შეაფასეს, როგორც „არსებითი ნაბიჯი წინ საქართველორუსეთის ურთიერთობათა განვითარებაში“. „დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის ვიზების გაცემის განახლება მხოლოდ პირველი ნაბიჯია, — განაცხადა კავკასიაში კრიზისის დაძლევის შერეული კომისიის თანათავმჯდომარემ მალხაზ გულაშვილმა. — შემდეგი უნდა იყოს ავიარეისების აღდგენა რუსეთსა და საქართველოს შორის და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა აღდგენა. როდესაც ჩვენ მოსკოვში ვიყავით, ჩვენს რუს კოლეგებთან ერთად დავაყენეთ ეს საკითხები რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის წინაშე. მისმა ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა ველიხოვმა შესაბამისი წინადადებით მიმართა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას. და აი — შედეგებც“.

ბატონ გულაშვილის სიტყვებით, გადამწყვეტი როლი იმაში, რომ „ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის დაიძრა მკვდარი წერტილიდან“, შეასრულა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II. „ჩვენი პატრიარქის პრეზიდენტ მედვედევთან შეხვედრის დროს მოსკოვში საფუძველი დაედო რუსეთსა და საქართველოს შორის კავშირურთიერთობათა აღდგენას, — დარწმუნებულია საზოგადოებრივი კომისიის თანათავმჯდომარე. თებერვალში ილია მეორე კვლავ ჩავა მოსკოვში და ამ ვიზიტისგან ბევრ რამეს ველოდებით. ჩვენი პატრიარქი — საქართველოს ჭეშმარიტი ლიდერია და ეს იცის არა მხოლოდ ქართველმა ხალხმა, არამედ ბევრმა რუსეთშიც“.

კომისიაში დარწმუნებული არიან, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის ავიამიმოსვლა აღდგება უკვე თებერვლის დასაწყისში. ამ დროს თბილისში ელოდებიან რუსეთის დელეგაციის ვიზიტს, რომელშიც კავკასიაში კონფლიქტების მოწესრიგების კომისიის წევრების გარდა შევლენ სახელმწიფო ჩინოვნიკებიც. „ჩვენი რუსი პარტნიორები გვპირდებიან, ჩამოიყვანონ თბილისში გენადი ონიშენკოც, — ამბობს ბატონი გულაშვილი. — ჩვენი მეღვინეები ძალიან ელოდებიან ამ შეხვედრას“.

მიუხედავად ამისა, ოფიციალური ურთიერთობა თბილისსა და მოსკოვს შორის რჩება დაძაბულად. რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებას იმ ქვეყნების წინააღმდეგ სანქციების შემოღების შესახებ, ვინც აწვდის საქართველოს იარაღსა და სამხედრო ტექნიკას, რასაც თბილისში „არაადეკვატური გადაწყვეტილება“ უწოდეს. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელმა კონსტანტინ კოსაჩევმა კი განაცხადა, რომ რუსეთი მიიღებს „აღმოსავლელი პარტნიორის“ პოლიტიკის რეალიზაციის საწინააღმდეგო ზომებს, რაც გამოწვეულია ევროკავშირის ქვეყნების ინიციირებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, მათ შორის საქართველოსთან დამოკიდებულებაში.

თავის მხრივ თბილისმაც გადადგა მთელი რიგი ნაბიჯები დასავლეთთან ურთიერთობათა გამყარებისთვის. საქართველომ განაცხადა სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ კიდევ 12 სახელმწიფოსთან — ამჟამად მათი რიცხვი გაიზარდა 24-მდე. იმავე დღეს ევროკომისარი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერი ვიზიტით ეწვია საქართველოს, სადაც იგი გაეცნობა ევროსაბჭოს მიერ თბილისისთვის გამოყოფილი 500 მილიონი ევროს ათვისების შედეგებს. დაბოლოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გაიმართა მნიშვნელოვანი მოლაპარაკება ნატოს წარმომადგენლებთან, რომელზეც გადაწყდა, 3 მაისიდან 3 ივნისამდე საქართველოს ტერიტორიაზე გაიმართოს მრავალეროვნული სწავლება ნატოს წევრი 23 ქვეყნის და ალიანსის პარტნიორი ქვეყნების სამხედროების მონაწილეობით.



ამრიგად, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის უქონლობის ფონზე, საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ავითარებს დასავლურ ვექტორს თავისი პოლიტიკისა. სხვათა შორის, თბილისში ვარაუდობენ, რომ რუსეთს კვლავ შეუძლია შეცვალოს სიტუაცია უარესობისკენ. „საქართველოს ხელისუფლებაში არსებობს ორი ფრთა — ქორები და მტრედები. ერთს უნდა ურთიერთობის გამკაცრება, მეორენი კომპრომისს ეძებენ, — მიაჩნია გულაშვილს. — ასეთივე განწყობაა რუსეთის ხელმძღვანელობაშიც. იქ არიან ადამიანები, ვისაც სურს დაიწყოს საქართველოსთან ახალი ომი, არიან ისეთებიც, ვისაც კონსტრუქციული დიალოგი სურს. დიდი იმედი გვაქვს, რომ არც ჩვენი და არც თქვენი ქორები არ შეუშლიან ხელს ჩვენს ხალხებს, მიაღწიონ ურთიერთგაგებას“.

მას შემდეგ, რაც რუსეთის დელეგაცია ჩამოვა თბილისში, კავკასიაში კონფლიქტების მოწესრიგების შერეულ კომისიას განზრახული აქვს ჩავიდეს სოხუმსა და ცხინვალში. მოლაპარაკებას ამის შესახებ, გულაშვილის სიტყვებით, უკვე აწარმოებენ შერეული კომისიის რუსეთის მონაწილეები.

**ოლგა ალიონოვა**

Коммерсантъ

## ღმერთო, შეგვინდე სიშორე!

„...დანიელ, მონაო ღვთისა ცხოველისაო, შეიძლო ღმერთმან შენმან ხსნა შენი ლომებისაგან?
— ღმერთმან ჩემმან მოავლინა ანგელოსი თავისი და მან შეუკრა ლომებს პირი და მათ ვერა რა მავნეს მე!..“
(„დანიელ წინასწარმეტყველი ლომთა მღვიმეში“)

# ახდენილი წინასწარმეტყველება

...მე დანიელ შალელაშვილზე მოგითხრობთ!

ქრისტეშობიდან 1971 წელი იდგა. თბილისური ლამაზი ცა და „მამადავითი“ აცისკროვნებდა ქალაქს. ბარათაშვილზე კვლავინდებურად, მძივებად ილვენთებოდა თვალთსამკურნალო ნაკადულები. „ნარიყალადან“ დედა გვიხმობდა ქართლისა, ხმლითა და თასით. სიონში და სინაგოგაში ნალოცვები ძმანი სიყვარულს ურიგებდნენ შემხვედრთ.

მთავარ მოედანზე მიმავალს გულიდან ამომსკდარი სიხარული შემომაგება ვიღაცამ.

...დანიელი იყო, შალელაშვილი!

თითქმის, ხუთი წელი გასულიყო, არ გვენახა ერთმანეთი. გვერდით თვალებხატულა გოგონები მოჰყვებოდნენ. ქალიშვილების მამები ვართო, ვიხუმრეთ...

შენთან მოვდიოდიო, მითხრა დანიელმა. ვერავინ ვნახე, — ვერც რამინი, ვერც ჯემალი, ვერც ვასკა და ვერც ანზორა, ვერც ბელა და ჩარიტა. ჰოდა, შენთან წამოვედი, წასვლის წინ მინდოდა მენახე... თუმანიანზე ცხოვრობსო, მითხრეს. ამდენ ებრაელებში ერთ მეგრელს როგორ ვერ გიპოვიდი?.. გამოუმშვიდობებლად არ მინდოდა წავსულვიყავი!..

— საით გაგიწევია?

— მამა-პაპათა მიწაზე მივდივარ!

...სამოცდაათიანი წლები იწყებოდა. მაშინ ასე ადვილად ვერ მიდიოდნენ ებრაელები „დიდი საბჭოთა“ ქვეყნიდან აღთქმულ ქვეყანაში...

...დანიელი მაინც მიდიოდა და მიჰყავდა თავისი სული და სილამაზე, თავისი თვალებხატულა ანგელოზები და უდიდესი სიხარულის მიღმა სევდის ნაპერწკალიც შევამჩნიე მაშინ მას.

— მერე?..

— მერე რა? მივდივარ... ხვალ მივდივარ! გამაცილებ?

— რას ამბობ, ბიჭო?.. როგორ არ გაგაცილებ, მაგრამ...

— რა, მაგრამ?

— სჯობს, ვითომ?

— ჯობიაში არ არის საქმე, ზაურ! კი, იცი შენ, თუ რა და ვინ ელოდება ყოველ ებრაელს იქ!..

— კი, მაგრამ...

— ყოველთვის არ იქნება საქართველოსა და ისრაელს შორის ასეთი ჩაკეტილი დარაბები... იქნებ, რამეში გამოვადგე ერთსაც და მეორესაც... ორივე ჩემი სამშობლოა, ბიჭო!..

— ორივე შენია, ჩემო დანიელ, ორივე... ბედნიერი კაცი ხარ!

...მე ვერ გავაცილე მეორე დღეს დანიელი!

სამი წლის შემდეგ ავმა და ავსულმა ავი და ავსული ამბავი მომიტანა თბილისში!..

...სამი წლის შემდეგ სიონში შეველ, სანთელი დავანთე და შევთხოვე უფალს, შეენდო ჩემთვის არგაცილება დანიელისა!

...შორს იყო გზა და ვერც ვანუგეშებდი ვერავის ამსიშორეზე... ოღონდ, ეს იყო, სევდამოწოლილმა იმ ქუჩებში გავიარე კიდევ ერთხელ, სადაც დანიელთან ერთად ვსეირნობდი ზაფხულის იმ მშვენიერ დღეს...

...ოთარ სეფიაშვილთან ვიჯექი კაბინეტში. გვერდი-გვერდ იყო ჩვენი ოთახები ტელევიზიაში. შარავანდედით ჰქონდა სახე მოსილი ამ კარგ ებრაელს, ამ კარგ ქართველს და მიყვებოდა აღთქმულ ქვეყანაში ნანახსა და განცდილს, და მონაყოლში ისე, სხვათა შორის, დანიელიო, შალელაშვილი, ახსენა.

ვინ-მეთქი? — ვკითხე.

— დანიელ შალელაშვილი, საქართველოდან ამოსული ჟურნალისტია, დიდებული ბიჭი!..

— ისრაელში ამოსვლიდან სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა ჩემი მეგობარი...

— მოიცა, კაცო, ვისზე ამბობ?

— დანიელ შალელაშვილზე... უფროსზე! — ვითომ დავაზუსტე მე.

— სხვა დანიელი შალელაშვილი, ისიც საქართველოდან ამოსული და ისიც ჟურნალისტი, არავინ ყოფილა, რამდენადაც ვიცი, იმ ჩემი ნაცნობის გარდა...

მინდოდა დამეჯერებინა!

— ერთ კვირაში მიდიან ნაცნობები! გინდა, წერილი გაატანე, იქნებ შენი მეგობარია ის ჩემი მეგობარი, ა, — მირჩია ოთარმა.

და იმედმა დამაწერინა ეს ბარათი:

„გამარჯობა, ძმაო დანიელ!

თუ შენ ის დანიელ შალელაშვილი ხარ, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების 75-ე ჯგუფში სწავლობდი, გამოგვეხმაურე, შე, კაცო! ავმა ენებმა შენი სიკვდილის ამბავი ჩამოგვიტანა და უარჰყავი ეს უბედურება, თუ ძმა ხარ! და თუ ის დანიელი არა ხარ, ღმერთმა მშვიდობა, ჯანი, ღონე და სიხარული ნუ მოგაკლოს. ქართული მიწიდან დანაბარები მოკითხვა არც შენ გეხამუშება, ალბათ. ერთს კი, გთხოვ, ჩემი მეგობრის სახელი შეავედრე ღმერთს!“

...წერილი წავიდა და დიდი მოლოდინი დამიტოვა.

ლოდინის შემდეგ პასუხი მივიღე:

„რა განვიცადე რომ დამირეკეს, შენთან ზაურ ფიფიას წერილია გამოგზავნილიო? ესეც მითხრეს, იქნებ შენი არ იყოს, იქნებ სხვისიაო. მე კი, ხმა ვერ ამოვიღე! — „არავითარი შეცდომა არ არის-მეთქი“ — ეს ყველაზე ბანალური და მშრალი პასუხი გავეცი, ბოლოსდაბოლოს... წერილი წუხელ მივიღე, რა უნდა მომეწერა წუხანდლიდან დღემდე? შეიძლებოდა უზარმაზარი რომანის დაწერა მაგრამ...“

გეხვევით ყველას!

დანიელი. 2.3.89 წ.“

... იმ დღეს კიდევ ერთხელ გავისეირნე ნაცნობ ქუჩებში, ოღონდ ახლა ჯიბეში დანიელის წერილი მედო!

..ზუსტად ექვსი თვის შემდეგ, ისევე მოულოდნელად, როგორადაც წერილი მივიღე, დანიელ შალელაშვილი, ისრაელის ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალისტი და ჟურნალ „დროშის“ კოლეგიის წევრი, ეწვია თავის საქართველოს. ბატონი ეფრაიმ გური ჩამობრძანდა, დანიელი და მისი მეუღლე, ქალბატონი სულიკო ახლდნენ მას სხვებთან ერთად.

დავიარეთ თბილისი. ვნახეთ მეგობრები. სექტემბრის ბოლო იყო. ქარვისფერი გადაჰკვროდა საქართველოს. ბედნიერი დღეები იდგა!

— გახსოვს აქედან რომ მიყვიროდი დილაუთენია?

— მახსოვს!

— გახსოვს ცეცხლივით აჯიკა რომ მაჭამე?

— მახსოვს!

— გახსოვს, რამდენი ვიცინეთ იმ დღეს?

— მახსოვს!... ვიცინოდით და ვტიროდით კიდეც...

... იმ ღამეს გათენებამდე ვისხედით ებრაელები და ქართველები ოჯახურ სუფრასთან. იყო სიხარული და სიყვარული!

„ჩემო ზაურ, ქალბატონო ნანი!

შუაღამე გადავიდა. თქვენთან ყოფნა, თქვენთან საუბარი, თქვენი ღიმილი, ჩვენი სიხარული ჩემთან შეხვედრისა, ნეტავი გაგრძელდებოდეს უსასრულოდ. მე არ მრცხვენია თქვენი, რომ ხშირად მადგება ცრემლი თვალებზე და შენი ცრემლიც დავინახე არაერთხელ.

ეს ღიმილი და ეს ცრემლი იყოს ჩემი მზე იმ მძიმე დღეებში, რომელიც ცხოვრების უკულმართობამ შეიძლება მარგუნოს ხვალ, თუ ოდესმე, ცრემლი აგშორდებოდეს შენ, ცრემლი აშორებდეს ამ ოჯახს. ღიმილი დაჰფენოდეს ყოველი ქართველის ბაგეს.

სიხარული და ბედნიერება დაჰბედებოდეს ამ ოჯახს. შენს, თქვენს ორ მზეს და სიხარულს — ნინოს და იას!

დანიელ შალელაშვილი, 22.9.89 წ.“

„გაიცანით ისრაელი“ — ასე ჰქვია იმ შესანიშნავად გამოცემულ ალბომს, რომლის თავფურცელზე დამიწერა ეს სამახსოვრო დანიელმა და ჩვენს ოჯახში ინახება იგი, ვით სიამაყე, ახდენილი წინასწარმეტყველებისა და სიმბოლო ებრაელი ხალხის ხორცშესხმული მარადიული რწმენისა.

ამიტომაც დაიწერა ეს მოგონება!

სიხარულის ღიმილი დაჰფენოდეს ყოველი ებრაელის ბაგეს, დანიელ!

* * *

დანიელის ხელახლა „გაცოცხლებიდან“ ექვსი წლის შემდეგ დაიწერა ეს სტრიქონები!

...კიდევ თორმეტი წლის შემდეგ კი... კვლავ მოწვდა ჩემს სმენას „ავი ამბავი“!

მაგრამ... მაინც უნდა გავაგზავნო ბარათი დანიელის კვალზე, რადგან მინდა მჯეროდეს, — ტყუილია ეს „ავი ამბავი!“ და თუ ეს ასეა, ვიცი, პასუხს არ დამიხანებს ჩემი მეგობარი, ჩვენ ხომ ორიათას წელზე მეტია შევიყვარეთ ერთმანეთი!

...თუ არადა... ღმერთო შეგვინდე, სიშორე!

**ზაურ ფიფია.**

**სურათზე:** მარცხნიდან — ბელა დურგლიშვილი, მირონ ხერგიანი, დანიელ შალელაშვილი, ნათელა ქიმერიძე. 1990 წ.



## აკადემია

# ფრაგმენტი შეკრებიდან

**სმეა-ს აკადემიური საბჭოს ბოლო სხდომა რომ გახსნა, აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ იქვე გულთბილად მიულოცა დაბადების 65 წლისთავი აკადემიის პირველ ვიცე-პრეზიდენტს ფრიდონ თოდუას და საბჭოს ყველა წევრის ხელმოწერილი ადრესი გადასცა.**

— სამწუხარო გარემოებებმა ხელი შეუშალა ძვირფასი იუბილარის უფრო მასშტაბურ პატივგებასო (ბატონ ფრიდონს ახლახან ზედიზედ გარდაეცვალა ორი უახლოესი ადამიანი — **თ.ე.**ძ, — შენიშნა ბატონმა თამაზმა და ხუმრობით დასძინა, — სამაგიეროდ, ხუთი წლის შემდეგ ამას უთუოდ გამოვასწორებთო...

სხდომათა დარბაზის დიდი „მრგვალი მაგიდა“ მოფენილი იყო ჩემი მშობლიური „საქართველოს რესპუბლიკის“ ცალებით: აკადემიური საბჭოს ყოველ წევრს ადგილზე, მისთვის გამოყოფილ, სახელმწიფოს მიერ ჯერ კიდევ გაუყიდავ სამაგიდო ფართზე გაზეთის 9 იანვრის ნომერი დახვდა, სადაც ასე ფართოდ, ასეთი ლამაზი „დიზაინით“, სახელოვან პიროვნებათა წერილებით აღინიშნა გამოჩენილი მეცნიერი-მედიკოსის, პარლამენტის ვიცე-სპიკერის, სმეა-ს პირველი ვიცე-პრეზიდენტის, სახელმწიფოპოლიტიკურ, საზოგადოებრივ, სამეცნიერო და საჟურნალო ასპარეზებზე დაუღალავად მოღვაწის, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას 65 წლის იუბილე...

**თამაზ ებანოიძე.**

## ინფორმაცია

### ილებენ უკანონო იარაღს

**ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი ე.წ. რესპუბლიკაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის ამოღებას აგრძელებს. ამის შესახებ სააგენტო „რეს“-ი იუწყება.**

**ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების ფაქტები, ჯერჯერობით, ძალიან იშვიათია.**

**— რესპუბლიკის ხელისუფლებამ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ჯერ კიდევ აგვისტოში მიმართეს მოსახლეობას, რომ უკანონოდ შენახული იარაღი რეგისტრაციაში გაეტარებინათ. ეს იარაღი საქართველოს აგრესიის დღეებში იარაღის საწყობებიდან აღრიცხვის გარეშე გაიცა. რეგისტრაციისთვის განსაზღვრული ვადა უკვე ამოიწურა და შსს-ს თანამშრომლებმა იარაღის ამოღების ბრძანება უკვე მიიღეს. ამ მიზნით რეიდები მიმდინარეობს, — განაცხადეს ე.წ. შსს-ში.**

ინტერპრესნიუსი

შპს „ტექნო ინვესტის“ ლიკვიდატორი ბ-ნი ზურაბ ნებიერიძე გაცნობებთ, რომ შპს „ტექნო ინვესტის“ დამფუძნებელმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული საზოგადოების ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რაც დააფიქსირა მ/წლის 12 იანვრის შესაბამისი ოქმით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულ პირებსა და შპს „ტექნო ინვესტის“ კრედიტორებს (ასეთების არსებობის შემთხვევაში)ძ. გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №14.

შპს „ტექნო ინვესტის“ ლიკვიდატორი ზ. ნებიერიძე.
ტელეფონი — 899 — 569-092.

## პატივმიგება

# ეკლესიის ბრძენი მესაჭე

**სენაკის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში ქართული საგალობლების საღამო გაიმართა. ღონისძიება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების 31-ე წლისთავს მიეძღვნა.**

სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს შუქმოსილი ადამიანი საქართველოს ეკლესიის ბრძენი მესაჭეა. დაუფასებელია უწმინდესისა და უნეტარესის წვლილი ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანთა სულიერი ცხოვრების ამაღლებაში.

საღამოზე სენაკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძრის, მენჯის მთავარანგელოზთა სახელობის მონასტრის, ძველი სენაკის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიის, სამუსიკო სკოლისა და სენაკის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრთან არსებულმა მგალობელთა ჯგუფებმა შეასრულეს საგალობლები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ნარმანია, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები...

**იოსებ გობეჩია,**
„სრ“ საკ. კორ. სენაკი




◉ მეგობრული შეძახილი

# უჟამო ჟამის მესიტყვე

**ეს ამბები აგერ ხდებოდა, ჩვენს თვალწინ – გუშინ, გუშინწინ... ვაი, რომ ეს ამბები ტრიალებს დღესაც ჩვენს გაუბედურებულ ქვეყანაში... ჰოდა, როგორც ყველა დროს, მემატიანე, მესიტყვე ხომ უნდოდა ამ უჟამო ჟამს?**! წერდნენ და წერენ, იღებდნენ და იღებენ, ინიშნავდნენ და ინიშნავენ, აღნუსხავდნენ და აღნუსხავენ ჩვენი კოლეგები ყოველივეს...

წერდა და წერს **ალვენ (ალეკო) ასლანიშვილიც** – ჩვენი მეგობარი და კოლეგა, ჭეშმარიტად გამორჩეული ჟურნალისტი, სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ზედმიწევნით მცოდნე, მისი დღევანდელობის დაფიქრებული და ანალიტიკური მკვლევარი, კალამბასრი პუბლიცისტი... ბოლო ხუთი წლის, ანუ „ვარდოსანთა“ სათავეში მოსვლის დღიდან, თითქმის ყოველკვირა „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი პუბლიცისტური, ზომიერი ირონიით ან მკაცრი სატირით, ისტორიული წიაღსვლებითა და ფაქტებით შეჯერებული, ჩამოქნილ-ჩამოძერწილი სტილით ნაწერი (მისი მეგობარ-კოლეგები რომ კარგად ვიცნობთ გაზეთის ფურცლებიდან) ნარკვევები ერთ კრებულად შეუკრავს, **„დღეები ჩვენი მღელვარებისა (ჟურნალისტური ქრონიკები)“** დაუქმევია და უტყუარ, პირუთვნელ მესიტყვედ გვევლინება უჟამო ჟამისა...

ალეკო ასლანიშვილის „ჟურნალისტური ქრონიკები“ ორიენტირი, ერთგვარი „საჯილდაო ქვაც“ კი უნდა იყოს ახალგაზრდა ჟურნალისტებისთვის, იმათთვის, ვისთვისაც ჟურნალისტიკა ბედისწერა გამხდარა და რომლებიც, დიახაც უნდა იღებდნენ სასიკეთო მაგალითს უფროსი კოლეგებისგან.

ასეთი სამაგალითო სწორედაც რომ არის წიგნის ავტორი, მისი ორმოცწლიანი მოღვაწეობა და, კონკრეტულად, ახლახან გამოცემული ჟურნალისტური ქრონიკების კრებული.

◉ ძვირფასი სილუეტები

# დემიკო

**ერთი, ბევრისთვის შესანატრი თვისება შევამჩნიე დემიკო ლოლაძეს, – გულუხვობა... იღებს და იღებს ფოტოკამერით დემიკო, იღებს ქუჩაში, იღებს შენობაში, იღებს სტადიონებზე, იღებს მეგობრულ ლხინში... ყველგან იღებს... ამზადებს უნატიფეს ფოტოსურათებს, თავისი საქმის დიდოსტატად გვევლინება და, რაც მთავარია, მერე ხელგაშლით, უსასყიდლოდ (ეს რა დავწერე, შეიძლება გამლახოს!) ურიგებს ხოლმე ფოტოებს მასზე აღბეჭდილ ნაცნობ-მეგობრებს...**

ეს ისე – სახალისოდ... ხოლო, მთავარი საქმე, და არა უკვე გატაცება, დემიკო ლოლაძისა არის ერთი-მეორეზე უკეთესი ფოტოალბომების შედგენა და გამოცემა ქართული ფეხბურთის დიდოსტატებზე.

ეს აღარ არის გატაცება, ეს უკვე მოწოდებაა ერთი, სახელოვან წინაპართა ნატეხი თბილისელი კაცისა, რომელმაც ქართული ფეხბურთის მემატიანის ტვირთი წამოიკიდა და, დღემდე, თითქმის ენთუზიაზმით ცდილობს შთამომავლობას შემოუნახოს იმ ფეხბურთელთა ხატება, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში უფროსი თაობის ადამიანების, მთელი საქართველოს საფიცარი პიროვნებანი იყვნენ.

და, დემიკო ლოლაძემ უკვე გამოსცა წიგნი-ალბომი მიხეილ მესხზე, ვლადიმერ ბარქაიაზე, სერგო კოტრიკაძეზე, გივი ჩოხელზე, მურთაზ ხურცილავაზე, ილია დათუნაშვილზე, ვიტალი დარასელიაზე, ნოდარ ახალკაცზე, დავით ყიფიანზე... სულ, ჯერჯერობით, 32 წიგნი-ალბომი, რომელთაც, სიამოვნებით ეცნობიან ფეხბურთის გულშემატკივრები... ახლახან კი გამოსცა შესანიშნავი წიგნი-ალბომი „შოთა იამანიძე“. აღსანიშნავია, რომ დემიკომ „მთავარ თემას“ მხოლოდ ერთხელ „უღალატა“ – ორი წიგნი მიუძღვნა ჩვენს




ეროვნულ გმირს ჟიული შარტავას...

ამასობაში კი, უკვე 65 წლისა გამხდარა დემიკო – მამულიშვილი, ნიჭიერი კალმის, გამჭრიახი თვალის, მხურვალე გულის კაცი, ჭირსა და ლხინში მეგობრების გვერდით მდგომი...

გავაცილეთ იმ დღეს საიქიოს სიბერეგამწარებული ჩვენი ჯიმშერ ენუქიძე, სანთელი დავუნთეთ, მიწა მივაყარეთ საფლავს, მერე ჭიქაც წავუქციეთ... არ შეჩერებულა დემიკო ლოლაძის ფოტოკამერა... მან კარგად იცის უკვდავება წამისა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მემატიანე იჭერს!

მოდი, და ნუ დააფასებ!



**სურათზე: ვინ დაუშლის ფეხბურთის ფანატს კულტურის სფეროშიც „შეჭრას“? ჰოდა, დემიკო ლოლაძემ თბილისის საოპერო თეატრში ფიცხლად გადაიღო სურათი ახლახან თბილისში ჩამოსულ ნინო სურგულაძესთან.**

◉ ექსპრომტად თქმული

## ბარაკ ობამას გაპრეზიდენტების გამო



**ხომ მიგვიყვანა უფსკრულთან**
**ჩვენმა ცალ-ცალკე ყოფამა,**
**ჯერ ბუშს შევთხოვდით შველას და**
**ახლა რიგშია ობამა.**
**თუ არ გაგვითბო გულები**
**სიყვარულმა და ძმობამა,**
**ხომ ვხედავთ – ღმერთიც ვერ გვშველის**
**და რას გვიშველის ობამა!**

◉ უგულისყურობა

## პრეზიდენტს კვერნაძის „ყველგანმავალი“ ელოდება



**სადღაც წავიკითხე, გურამ კვერნაძემ ახალი მოდელის ყველგანმავალი ავტომანქანა შექმნაო. ჩემი მეგობარი გურამი, ძირით ჩემი სოფლელი, მაღლაკელი, ხონში გაზრდილი, ქუთაისის ავტოქარხანაში ნამუშევარ-დაბრძენებული, ხოლო, მოგვიანებით, უკვე თბილისში ჩამოსული, ცნობილი ავტოკონსტრუქტორია, რომელმაც თავისი „კირკიტა“ ტვინით სატვირთო ყველგანმავალი ავტომანქანების რამდენიმე მოდელი შექმნა და ამით სამამულო სამხედრო მრეწველობას, დიახაც, გვერდით დაუდგა – გურამ კვერნაძის რამდენიმე მოდელის სამღერძა ყველგანმავალი დიდ სამსახურს უწევს ქართული ჯარის ნაწილებს.**



გურამი ფირმა „გასის“ მეპატრონეა, აწარმოებს ყველა მარკის ავტომანქანის დიაგნოსტიკას, ნაავარიევი მანქანების შეკეთება-განახლებას (სხვათა შორის, ამას ცოცხალი ადამიანებივით ასრულებენ ელექტროტექნიკური რობოტები, რომელიც თვითონ კონსტრუქტორის შექმნილია და ანალოგი არა აქვს) და სხვა ათას რამეს, რაც მანქანებთან არის დაკავშირებული.

**– ასეთი, რა ახალი მოდელი შექმენი-მეთქი?** – ვეკითხები გურამ კვერნაძეს, რომელსაც ფირმა „გასის“ ტერიტორიაზე შევხვდი.

– ეს მანქანა კარგა ხანია, რაც ავაწყვეთ, – მეუბნება გურამი, – მოდერნიზაცია კი შარშან ჩაუტარდა და იგი ამჟამად თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაშია.

როგორც ავტოკონსტრუქტორი ამბობს, ეს ყველგანმავალი საკმაოდ იაფი ჯდება. თუკი მსგავსი ტიპის უცხოური მანქანის აწყობას საშუალოდ 70 ათასი აშშ დოლარი სჭირდება, თითო MS 425-ის (ასე ჰქვია ახალ ყველგანმავალს) შექმნის ღირებულება 20 ათას დოლარს არ ცდება. თანაც, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული სამხიდიანი ავტომობილი უცხოურს რაიმეთი ჩამორჩება. პირიქით, მას არაერთი უპირატესობა აქვს. ქართული მთაგორიანი რელიეფისა და მოუწესრიგებელი გზებისთვის მისი მცირე გაბარიტები და სიმძლავრე, მისწრებაა. ორტონიანი ტვირთით მას 44-გრადუსიანი აღმართის დაძლევა შეუძლია, 20 კაცს იტევს და ამითაც უპირატესობა აქვს უცხოურ ყველგანმავალთან შედარებით.

**– კი, მაგრამ რა უშლის ხელს მის სერიულ წარმოებას,** – ვეკითხები გურამს.

– პრეზიდენტმა უნდა მოიცალოს, უნდა ჩაიბაროს, მან უნდა მისცეს სანქცია, ეს კი, როდის მოხდება, კაცმა არ იცის...

**– ჩვენ კი უცხოურ იარაღს და მანქანებს მივჩერებივართ...**

– რას იზამ, ასე გვირჩევნია ქართველებს... საკუთარს გვიან ვაფასებთ!..

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

◉ ღია ბარათი მურმან ტურავას!

## გვანცას შვილს რომ მოესწრები, გადარევა მერე ნახე, მურმან!

**ჩემო მურმან, 1999 წელს პირველად რომ გამოეცი მინიატიურების კრებული – „ჩემი გვანცა – ჩემი ჩიტბატონა“ და „საქართველოს რესპუბლიკაში“ ერთი-ორი თბილი სიტყვით გამოგეხმაურე, ცხადია, არ გამკვირვებია კრებულის პათოსი – შენი ზეაღტაცება პაწაწუნა შვილის გამო, ჩიტბატონასავით რომ შემოგიფრთხრიალდა ოჯახში, თავგზა დაგაკარგვინა, გადაგრია, და, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი მწერლად გაქცია (თუმცა ლიტერატურასთან ახლოს ყოველთვის იყავი), შესანიშნავი მცირე ზომის მოთხრობების ავტორი გაგხადა.** მაინც რა მისხალ-მისხალ აღნუსხე შენი „ჩიტბატონას“ ყოველწამიერი, ყოველდღიური ქცევა-მოქმედება, სიხარული, სიცელქე... როგორ დახატე და ჩააგვირისტე ყოველივე... ახლახან უფრო სრული კრებული გამოგიცია შენი „ჩიტბატონასი“, ჩემო მურმან, ისევ გულისხმიერი ადამიანები – ვანო ჩხარტიშვილი, კახმეგ კუდავა და ემზარ კვიტაიშვილი დაგდგომიან გვერდით. მეც ერთ-ორ თბილ სიტყვას კვლავ გეუბნევი, ოღონდ, უკვე... ოთხი წლის ანანოს ბაბუ!




აბა, ჩემო მურმან! თურმე, შვილიშვილი ყოფილა, რაც ყოფილა! შენი არ იყოს პოეტად, პროზაიკოსად მაქცია ჩემმა ანანომ, მოგონებების წერა დამაწყებინა... ჰოდა, შენი გვანცა რომ შვილიშვილს გაჩუქებს, გადარევა მერე ნახე!

ღმერთმა მოგასწროს!

ჭადრაკი

# 12 ქალისა და 14 კაცის მონაწილეობით

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკეთა ეროვნული ჩემპიონატი. ქალთა პირველობაში 12 მანდილოსანი ასპარეზობს, ვაჟებში კი 14 მონაწილეა. ისინი წრიული სისტემით ხვდებიან ერთმანეთს.**



მესამე ტურში მამაკაცთა შვიდივე პარტია ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: კოტე შანავა – ლევან ფანცულაია, დავით მალალაშვილი – დავით არუთინიანი, ინგა ჭარხალაშვილი – გიორგი მარგველაშვილი, ლევან ბრეგაძე – მერაბ გაგუნაშვილი, დავით ბენიძე – გიორგი ბაღათუროვი, შოთა აზალაძე – თორნიკე სანიკიძე, მიხეილ მჭედლიშვილი – გაიოზ ნიგალიძე. სამი ტურის შემდეგ 2-2 ქულით ფანცულაია, ბაღათუროვი, აზალაძე და სანიკიძე დაწინაურდნენ.

ქალთა მესამე ტურში ნაზი პაიკიძემ სალომე ძელია დაამარცხა, სოფიკო ხუხაშვილმა – სოფიკო გურამიშვილი, ხოლო ქეთი წაწალაშვილმა მერი არაბიძეს სძლია. დანარჩენ სამ შეხვედრაში (მაია ლომინეიშვილი – მირანდა მიქაძე, ნონა გაფრინდაშვილი – მარიამ დანელია, სოფიო გვეტაძე – ნინო ხურციძე) მეტოქეები დაზავდნენ. მანდილოსნებში 2,5-2,5 ქულით პაიკიძე და ხურციძე მეწინავეობენ.

ჭიდაობა

# გზა ევროპისკენ ბაქოდან დაიწყო

**აზერბაიჯანის დედაქალაქში მუშვიგ ისაევის ხსოვნის ტურნირზე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა სამი ოქროს და ოთხი ვერცხლის მედალი მოიპოვეს.** ყველა ორთაბრძოლის მოგებით პირველ ადგილებზე გავიდნენ ხვთისო იორამაშვილი (გორიძ, ზურაბ იაკობაშვილი (ყვარელიძ და ლევან ქელეხსაშვილი (ხაშურიძ. მეორე ადგილებს დასჯერდნენ რაულ შაკულ-ოღლი (ქარელიძ, გიორგი ტალახაძე (ხაშურიძ, ალექსანდრე ჯაჭვაძე (გარდაბანიძ და ომარ გუსოშვილი (გორიძ.



ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თამაზ ზენდიანიშვილმა გვითხრა, რომ ბაქოს ტურნირი ქართველი მოჭიდავეებისთვის ევროპის პირველობისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო. ამ შეჯიბრებას კი ივლისში სერბეთი უმასპინძლებს.

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**რამდენიმე დღის წინათ გაუწყეთ, რომ თბილისის დინამო შარშანდელი რუსული აგრესიისადმი პროტესტის ნიშნად მოსკოვში მიმდინარე დსთ-ს თასის გათამაშებაზე არ გაემგზავრა (თუ ზემდგომებმა არ გაუშვეს? – რედ. და იცით, ვინ ასპარეზობს ჩვენს თანამემამულეთა ნაცვლად ჩრდილოურ მანეჟებში?**

ესაა ტურკუს ინტერი. მართლაც რომ საოცარი ფაქტია. დავიჯეროთ, ფინელებს პატრიოტიზმი ან თავმოყვარეობა აკლიათ, ისტორიული მტრის ბუნაგში რომ ჩავიდნენ.

და კიდევ – რამდენიმე დღეში თბილისში ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი იწყება, სადაც მონაწილეობაზე თანხმობა უკვე შემოთვალეს რუსებმა. გაგიგიათ ცალმხრივი ბოიკოტი? ეს ისე, სხვათა შორის.

* * *

**იტალია. XIX ტური.** ატალანტა – ინტერი 3:1, ლაციო – იუვენტუსი 1:1, მილანი – ფიორენტინა 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** ინტერი – 43, იუვენტუსი – 40, მილანი – 37 ქულა.

**ბომბარდირი:** დი ვაიო (ბოლონიაძ – 14 გოლი.

**ესპანეთი. XIX ტური.** ბარსელონა – დეპორტივო 5:0, რეალი – ოსასუნა 3:1, სევილია – ნუმანსია 1:0.



**ლიდერთა ჯგუფი:** ბარსელონა – 50, რეალი, სევილია – 38-38 ქულა.

**ბომბარდირი:** ეტოო (ბარსელონაძ – 18 გოლი.

**ინგლისი. XXII ტური.** ბოლტონი – მანჩესტერი 0:1, ლივერპული – ევერტონი 1:1, ჩელსი – სტოკი 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** მანჩესტერი, ლივერპული – 47-47, ჩელსი – 45 ქულა.

**ბომბარდირი:** ანელკა (ჩელსიძ – 14 გოლი.

კალათბურთი

# ბრძოლები აწი ნახეთ

**კატალონიის დედაქალაქში მოეწყო ევროლიგის II ჯგუფური რაუნდის კენჭისყრა, რომელმაც ტოპ – 16 ასე გადაანაწილა:**

**„ა“ ჯგუფი.** ტაუგრესი, ოლიმპიაკოსი, მილანი, პროკომი.

**„ბ“ ჯგუფი.** ბარსელონა, რეალი, მაკაბი, ალბა.

**„გ“ ჯგუფი.** უნიკახა, რომა, პანათინაიკოსი, პარტიზანი.

**„დ“ ჯგუფი**. ცსკა, სიენა, ულქერი, ციბონა.

შეგახსენებთ, რომ „ოთხთა ფინალში“, რომელსაც მაისში ბერლინი უმასპინძლებს, ჯგუფებში გამარჯვებულნი გაითამაშებენ კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ჯილდოს. ამდენად, ამთავითვე შეიძლება დიდი ალბათობით ითქვას, რომ გადამწყვეტი ეტაპი გერმანიის წარმომადგენლის გარეშე ჩაივლის – I ჯგუფური ბატალიებიდან სენსაციურად გასული „ალბა“ ხომ



კვარტეტში ესპანურ გრანდებთან და არანაკლებ მრისხანე მაკაბისთან ერთად მოხვდა, თუმცა, წურც იმას დავივიწყებთ, რომ ალემანებმა კიდევ ერთი პირენეული გუნდი ხუვენტუდი უკვე ჩამოიცილეს გზიდან.

დავძენთ, რომ სიკვდილის ჯგუფად მონათლული „ბ“ ჯგუფის სტარტზე მადრიდში ერთმანეთს შეურიგებელი მოწინააღმდეგენი – რეალი და ბარსელონა შეხვდებიან (28 იანვარიძ.

ინტერნეტიდან

## სპორტლოტომ გაამილიონერა

**ალბათ, სლოვაკეთის მოქალაქე არც კი დაიჯერებდა, სიზმარშიც რომ ენახა – მილიონერი გახდიო. თუმცა ეს სინამდვილეში მოხდა ასე. კვირას თერთმეტი მილიონი ევრო მოიგო სპორტლოტოში სლოვაკეთის მცხოვრებმა.**

სლოვაკურ Loto-ში დაფიქსირდა ჯეკპოტი – მოგება შეადგენდა 11 მილიონ 2 674 ევროს. გამარჯვებულმა ფსონი ინტერნეტის საშუალებით შეიტანა.

ინტერნეტის საშუალებით სპორტლოტოს მხოლოდ მონაწილეთა 2 პროცენტი თამაშობს. სლოვაკეთის ისტორიაში პირველად მოგება ხვდა ინტერნეტ-მოთამაშეს, თუმცა ბედნიერის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.





## ისევ ოკეანეში გავიდნენ

**კვირას სინგაპურიდან მეოთხე ეტაპის სტარტი აიღო იალქნიანი იახტებით დედამიწის გარშემო რბოლის Volvio Ocean Race ფლოტილიამ. მან სინგაპურიდან ჩინურ ცინდაომდე 2500 საზღვაო მილი უნდა გადალახოს. როგორც ამბობენ, ის ძალზე სახიფათო იქნება და მეიახტეთა დიდი ამტანიანობა სჭირდება, შკიპერებიდან კი – უდიდესი ყურადღება.**

შკიპერთა პრესკონფერენციაზე, რომელიც სტარტის წინადღეს გაიმართა, მთავარი საკითხი იყო, თუ როგორ გაიარონ ეს დიდი მანძილი გუნდებისა და იახტების შენარჩუნებით. ყველა შკიპერი იმაზე შეთანხმდა, რომ ამ ეტაპზე მთავარია არა სიჩქარე, არამედ იახტების დაუზიანებლად შენარჩუნება. თურმე ცინდაოში ძალზე მოკლე შესვენება იქნება, ხოლო ცინდაოდან რიო-დე-ჟანეიროში გადასვლისთვის მათ 12 300 საზღვაო მილის გავლა მოუწევთ.

## ავსტრალიელებს გაახარებს

**ავსტრალიელი მკითხველები, განსაკუთრებით მამაკაცები, მოუთმენლად მოელიან ჟურნალის FHM მორიგ ნომერს. მას ხომ პირველ რიგში ცნობილი ამერიკელი მოდელი მარიზა მილერი დაამშვენებს. ის ხომ მართლაც მშვენიერ ფორმაშია.**

მარიზა ძალზე პოპულარული მოდელია. ის ხშირად ხვდება ცნობილი ჟურნალების, მათ შორის Maxim და Sports illustratad, ფურცლებზე. რაც მთავარია, ეს ქალიშვილი დიდ პატივს სცემს სპორტს. ის გადაიღეს ერთ-ერთ რეკლამაში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ამერიკულ ფეხბურთს.



მარიზა ჯერ კიდევ სკოლაში თამაშობდა ფრენბურთს. ისე რომ, სპორტისადმი სიყვარული დღემდე არ განელებია.

„მე ვეთაყვანები სპორტს, – თქვა მან, – ადრეული ბავშვობიდან მიყვარდა სერფინგი. 2004 წელს კი მეორე ადგილიც კი დავიკავე ერთ-ერთ ტურნირზე. ახლა ძალზე მომწონს კრივი. ისე რომ, სამოდელო ბიზნესი რომ არ ამერჩია, აუცილებლად წარმატებული სპორტსმენი ვიქნებოდი“.

# კოსმოსში კიდევ ერთხელ? არავითარ შემთხვევაში!

**რაც წლები გადის, მით უფრო შორსაა ჩვენგან ის დრო, როცა ახლა უკვე ლეგენდად ქცეული ამერიკული „აპოლო-11“-ის ეკიპაჟის წევრმა ნეილ არმსტრონგმა მთვარეზე პირველი ნაბიჯი გადადგა და ქრესტომატიულად ქცეული სიტყვები წარმოთქვა: „კაცის ერთი პატარა ნაბიჯი კაცობრიობის უზარმაზარი ნახტომია“. დრომ აჩვენა, რომ კაცობრიობის ეს პირველი ელჩი, უამრავი ცდუნების მიუხედავად, ამ მაღალი მისიის ღირსი პიროვნება გამოდგა.**



ნეილ არმსტრონგი, მაღალი, მშვიდი, მუდამ მომღიმარი და ერთობ მორიდებული კაცი ახალგაზრდობაში... ლუდის დიდი ტრფიალი ყოფილა, რამაც საგონებელში ჩააგდო მისი ბიოგრაფები. სხვა მხრივ კი იგი თანატოლებისგან არაფრით გამოირჩეოდა, თუ არა ფრენისადმი უსაზღვრო სიყვარულით: მფრინავის მოწმობა მან მანქანის მართვის მოწმობაზე ბევრად ადრე მიიღო, ხოლო მის ოთახში მუდამ აუარება ავიაციის წიგნი და თვითმფრინავის ნახატი იყო.

მისი მეუღლის თქმით, ნეილის საუბრის ჩვეულებრივი სტილია... ხმის ამოუღებლობა, თუკი ის თავს გიქნევთ ანდა, უბრალოდ, გიღიმით, ეს გაცხოველებული საუბარია, ხოლო თუკი ის „დიახს“ იტყვის, ეს უკვე ცხარე პოლემიკად უნდა მიიჩნიოთ.

– როცა მან მთხოვა ცოლად გავყოლოდი, მაშინვე დავთანხმდი, რადგან ვშიშობდი, რომ ამ ფრაზის გამეორებას კიდევ რამდენიმე წელიწადი უნდა დავლოდებოდი, – იცინის მისს არმსტრონგი.

საგულისხმოა, რომ წლების წინათ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში, ჟურნალისტის შეკითხვაზე, გაფრინდებოდა თუ არა კოსმოსში კიდევ ერთხელ, ნეილ არმსტრონგმა მისთვის ასე უცხო სიფიცხით უპასუხა:

– არავითარ შემთხვევაში!

# ისინი ზღვის პირას ცხოვრობდნენ

**ადამიანის ევოლუცია ეს, უმთავრესად, საჭმლის მონელების პროცესში მის ორგანიზმზე სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებათა ზემოქმედების შედეგია. სახეობათა მუტაციამ და ბუნებრივმა შერჩევამ, რომლებსაც ესოდენ დიდ როლს ანიჭებდა ჩარლზ დარვინი, „ჰომო საპიენსის“ წარმოშობაში მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლი შეასრულა, ამტკიცებენ ბრიტანელი მეცნიერები მაიკლ კროუფორდი და დევიდ მარში.**

მათი აზრით, თანამედროვე ადამიანის წინაპარმა ევოლუციური ნახტომის გაკეთება მრავალი სახეობის ცხიმის ხელმისაწვდომობის წყალობით შეძლო, რომლებიც ესოდენ საჭიროა ტვინის ქსოვილის „ასაშენებლად“. ამ ცხიმების საკმაო რაოდენობით მიღება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუკი თა-



თანამედროვე ადამიანის წინაპრები ზღვის პირას ცხოვრობდნენ და თევზით, ასევე სხვა ზღვის პროდუქტებით იკვებებოდნენ.

# მფრინავი ჰამბურგერი

**ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც ცნობილია, დიდად პოპულარულია ჰამბურგერები, რომლებსაც, სხვათა შორის, სირაქლემას ხორცითაც მოგართმევენ. აქ დიდი ხანია უამრავი მესირაქლემობის ფერმაა, რომლებსაც ამერიკელები „ფრთოსან ჰამბურგერებს“ უწოდებენ.** თანაც „საქმეში“ ყველაფერს იყენებენ: ხორცს – ჰამბურგერებში, ტყავს – ფეხსაცმლისა და ავტომანქანების დასაჯდომების გადასაკრავების წარმოებაში, კვერცხის ნაჭუჭებს (თითოეული დაახლოებით ორ კილოგრამს იწონისძ – სამკაულების გასაკეთებლად. მიუხედავად იმისა, რომ სირაქლემების წყვილი 80 ათასი დოლარი ღირს, მათი მოშენება ძალიან მომგებიანია: ერთ ჯერზე მამალი სირაქლემა 20 კვერცხს ჩეკავს. სიცოცხლით კი 70 წლამდე ცოცხლობენ.

# „კედლები ასე უნდა შეიწიოს...“



**დალასის საკონცერტო დარბაზში პირველად მოხვედრილი მსმენელი გაოცებული რჩება მას შემდეგ, რაც მუსიკის პირველსავე ხმებზე დარბაზის კედლები... მოძრაობას იწყებენ და მოძრავი პანელები დარბაზის სივრცის მოცულობას ან ზრდიან ან ამცირებენ.** საქმე ის არის, რომ აქ (ისევე, როგორც ამერიკის კიდევ ორი ათეული ქალაქის საკონცერტო დარბაზშიძ დამონტაჟებულია სპეციალური კომპიუტერი, რომელიც ასაწყობი ინსტრუმენტების პირველსავე ბგერებზე თავის მხრივ იწყებს დარბაზის „აწყობას“ საუკეთესო აკუსტიკური ეფექტის მისაღწევად. თანაც, მხედველობაში მიიღება არა მარტო შესასრულებელი ნაწარმოების ხასიათი, მუსიკოსთა რიცხვი, მათი განთავსება და ორკესტრის შემადგენლობა, არამედ დარბაზში მაყურებელთა რიცხვი და მათი სხვადასხვა უბანზე კონცენტრაცია.

# „სნუკერი“, „კარამბოლი“, „ალაგიორი“ და სხვანი

**სპორტული არხების მუდმივი მაყურებელი უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას, რომ ბოლო დროს ტელევიზია ბილიარდის ყველა სახეობის თამაშის მსხვილი ტურნირის რეპორტაჟს გადმოსცემს. სწორედ ამ გადაცემების წყალობით ახლა ჩვენშიც ძალიან პოპულარული გახდა მანამდე „უცხო ხილი“, არაჩვეულებრივად საინტერესო სნუკერი, არადა ჯერ კიდევ ახლო წარსულში, საბჭოურ პერიოდში, ბილიარდი ლამის კანონგარეშე, აზარტულ თამაშად იყო გამოცხადებული.**



ეს თამაში თავდაპირველადვე მეფეთა სპორტად იყო მიჩნეული. ამბობენ, რომ ბილიარდის დიდი ტრფიალები იყვნენ შოტლანდიის დედოფალი მარიამ სტიუარტი, საფრანგეთის მეფეები ლუდოვიკო XIV და შარლ IX, რომელიც 1572 წელს, წმინდა ბართლომეს ღამეს, როცა პარიზის ქუჩები ჰუგენოტების სისხლით ირწყვებოდა, თავს ბილიარდის თამაშით იქცევდა.

ბილიარდის გამოგონების პატივს XVI საუკუნის პირველ ნახევარში ლონდონელ მოგირავნე უილიამ კნიუს მიაწერენ, რომელიც მოცალეობისა და მოწყენილობის ჟამს დახლზე ბურთულებს, მისი ამქრის ნიშნებს, ხშირად აგორავებდა და მცირე კალათებში აგდებდა. ბილიარდის ჯოხის სახელწოდებაც „კია“, მისი სახელის არასწორად წარმოთქმის შედეგი უნდა იყოს.

# მეფის დაცვა



**ესპანეთის მონარქს ხუან კარლოს I, ისევე, როგორც მსოფლიოში მრავალ სხვა VIP-პერსონას, საგულდაგულოდ იცავენ. სამეფო დაცვის სამი რაზმი – ინფორმაციის სამსახური, საპატრულო ქვედანაყოფი და მხარდაჭერის ჯგუფი – მას სასახლე სარსუელაში, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ მოგზაურობისას იცავს. მათ ასევე მეფის ოჯახის წევრთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალებათ. თითოეულ რაზმს თავისი ფუნქცია აქვს, გარდა ამისა არიან „უხილავი“, „მიწისქვეშა დაზვერვის“ თანამშრომლებიც, რომლებიც მეფის გადაადგილების მარშრუტის გასწვრივ მიწისქვეშა კომუნიკაციებს ამოწმებენ.**

მეფის სასახლის სარსუელასა და მის გარშემო 10-კილომეტრიანი ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამეფო დაცვის ათასეულს აკისრია, რომელიც ასევე პასუხისმგებელია სასახლეში უცხოურ დელეგაციათა მიღება-გაცილებაზე.

როგორც კი ხუან კარლოს I სარსუელას სასახლეს ტოვებს, მის ირგვლივ დაცვის სამი რგოლი იქმნება – უშუალო, უახლოესი და შორეული. გადაადგილების მარშრუტის გასწვრივ პატრულირებენ ასევე სამოქალაქო გვარდიელები და პოლიციელები. სამეფო დაცვაში მთლიანად რამდენიმე ასეული კაცია, მაგრამ მისი უშუალო დაცვა უსაფრთხოების სამსახურის მხოლოდ ასამდე თანამშრომელს ითვლის. საგულისხმოა, რომ სამეფო დაცვაში მსახურობენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალბატონებიც, რომელთა ქვედანაყოფი უფლისწულების ელენესა და ქრისტინეს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ხუან კარლოსის დაცვის თანამშრომლები ზღვის ტალღისფერ კოსტიუმებში არიან გამოწყობილნი, სამსახურში მიღებისას კი თითოეულ მათგანს სამეფო სახლის ღერბიან ჰალსტუხის საბნევს აძლევენ.

# მარად უკვდავნი

**მიკრობების სამყაროში სიკვდილის ფენომენის შესწავლამ ბოლო დროს არა მარტო ბიოლოგების, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ, ფილოსოფოსების ყურადღებაც კი მიიპყრო და მეცნიერებს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის ფენომენისადმი ახალი მიდგომისკენ უბიძგა.** ინგლისურ ჟურნალ „ნიუ საიენსტს“ ერთ-ერთი სახეობის აერობული ბაქტერიების მაგალითი მოჰყავს, როცა ისინი, გარკვეული ზომის მიღწევის შემდეგ, ორად ისე იყოფიან, რომ „დედისა“ და „შვილის“ ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლებელია, რადგან ორივე ერთი ასაკისაა. ადრე არსებული „ინდივიდუმი“ გაქრა, მისი გაყოფის შედეგად წარმოშობილები კი ერთნაირად ნორჩები არიან. თანაც არც იმის თქმაა შესაძლებელი, რომ დედა-უჯრედი დაბერდა და დაიღუპა.



ამ ტიპის ბაქტერიებისთვის საერთოდ არ არსებობს დაბერებისა და სიკვდილის ფენომენის ანალოგი. ამდენად, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ბაქტერიები – ესაა სიცოცხლის ერთადერთი ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია უკვდავება. ეს იმიტომაა ასე, აღნიშნულია ჟურნალში, რომ უმაღლესი ორგანიზმები რომ არ კვდებოდნენ, არც ევოლუციას ექნებოდა ადგილი.

# შინაური პითონი

დიდი პითონი სათამაშო კი არა, არამედ ინდონეზიაში კუნძულ კალიმანტანზე სოფელ ბორეოში მცხოვრები ტოეს ოჯახის წევრია. პითონი ჯუნგლებში ნაპოვნი კვერცხიდან ამ ოჯახში გამოიჩეკა, იმთავითვე სამი წლის ქარიმ ტოეს სამეურვეო გახდა. ისინი განუყრელი მეგობრები არიან და ერთად ბანაობენ კიდეც, ხოლო ღამე ერთად ძინავთ.

პითონი რომ გაიზარდა და ხუთი მეტრის სიგრძეს გადააჭარბა, მისი ჯუნგლებში გაშვება გადაწყვიტეს, რაც ხუთმა კაცმა ძლივსძლივობით შეძლო. მაგრამ, წარმოიდგინეთ მთელი სოფლის გაოცება. პითონი ტყიდან უკან მობრუნდა, მას შემდეგ ადამიანებს აღარ შორდება.



უცხოური პრესის მიხედვით მოამზადა ოთარ ტურაბელიძე

რეიტინგი

# თეთრი სახლის რეკორდები

**ცნობილია, რომ დასავლეთში, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალზე უყვართ სტატისტიკური გამოთვლა-შედარებები. ეს, ბუნებრივია, არც ამ ქვეყნის პრეზიდენტის მორიგ არჩევნებზე დავიწყებიათ. სწორედ ახლა გამოითვალეს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე ბოლო ასი წლის განმავლობაში დიდწილად იმარჯვებდა ის კანდიდატი, რომელიც ხმის მიცემის დროს, უფრო... მძიმე იყო თავის მეტოქეზე.**

**გასული 100 წელიწადში ამერიკელებს მოუწიათ არჩევნების გაკეთება 26 წყვილს შორის, აქედან მხოლოდ შვიდჯერ დაირღვა ტრადიციული „ყველაზე მძიმეს“ პრინციპი. სტატისტიკოსებმა შენიშნეს, რომ ამომრჩევლებმა მხოლოდ ხუთჯერ აირჩიეს ყველაზე დაბალი კანდიდატი.**

**აი, როგორ გამოიყურება ამერიკელი სტატისტიკოსების მიერ შედგენილი რეიტინგი.**



ჯიმი კარტერი (1977-1981წ – 73კგ. 177 სმ.
ვუდრო ვილსონი (1913-1921წ – 77 კგ. –185 სმ.
კალვინ კულიჯი (1923-1929წ – 77 კგ. – 178 სმ.
რიჩარდ ნიქსონი (1969-1974წ – 78 კგ – 182 სმ.
დუაიტ ეიზენჰაუერი (1953-1961წ – 78 კგ. – 179 სმ.
ჯონ კენედი (1961-1963წ – 79 კგ. – 183 სმ.
ბარაკ ობამა (2009 – ?წ – 82 კგ. – 185 სმ.
რონალდ რეიგანი (1981-1989წ – 84 კგ. – 185 სმ.
ჰერბერტ გუვერი (1929-1933წ – 84 კგ. – 180 სმ.
ფრანკლინ რუზველტი (1933-1945წ – 85 კგ. – 189 სმ.
ჯორჯ ბუში-უმცროსი (2001-2009წ – 86 კგ. – 183 სმ.
ჯორჯ ბუში-უფროსი (1989-1993წ – 88 კგ. – 187 სმ.
ჯერალდ ფორდი (1974-1977წ – 88 კგ. – 183 სმ.
ჰარი ტრუმენი (1945-1953წ – 91 კგ. – 185 სმ.
თეოდორ რუზველტი (1901-1909წ – 91 კგ. – 178 სმ.
ლინდონ ჯონსონი (1963-1969წ – 91 კგ. – 191 სმ.
ბილ კლინტონი (1993-2001წ – 104 კგ. – 187 სმ.
უორენ გარდინგი (1921-1923წ – 109 კგ. – 183 სმ.
უილიამ ტაფტი (1909-1913წ – 151 კგ. – 183 სმ.

როგორც ჩანს, ყველაზე მძიმე პრეზიდენტი აშშ მთელს ისტორიაში იყო ობამამდე ასი წლის წინანდელი უილიამ ტაფტი – 151 კგ. თეთრ სახლში სპეციალურად მისთვის დააყენეს ძალზე ტევადი აბაზანა, ხოლო სურათებზე მას მხოლოდ სავარძელში მჯდომს გამოსახავდნენ, რათა დაეფარათ მისი განსაკუთრებული სისქელე.

ყველაზე მაღალი პრეზიდენტი იყო აბრამ ლინკოლნი – 194 სმ. იმის გათვალისწინებით, რომ არასოდეს იხდიდა თავის ძალზე მაღალ ცილინდრს, სადაც საქმიან ქაღალდებსა და სახელმწიფო დოკუმენტებს ინახავდა, ის თანამედროვეებს აუღაუდად მიაჩნდათ.

ყველაზე დაბალი პრეზიდენტი კი იყო ჯეიმს მედისონი – 154 სმ. ის ნაპოლეონის დროს პრეზიდენტობდა და სიმაღლეშიც ერთმანეთს არ გაექცნენ.

ახლა ამერიკაში იმაზეც ხუმრობენ, რომ ბარაკ ობამამ იმიტომ დაამარცხა ჯონ მაკკეინი, რომ მასზე მძიმე და მაღალი იყო. 170 სმ სიმაღლის მაკკეინი 75 კგ-ს იწონის.

მართალია, აშშ ახალ პრეზიდენტს ძალზე ახალგაზრდად მიიჩნევენ – ის 48 წლისა და 5 თვისაა, ამერიკის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი თეოდორ რუზველტია – ის არჩევისას 42 წლის და 10 თვისა იყო.

ხსოვნა

# გურამ ნაკაიძე

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე გურამ ნაკაიძე.

გურამ გერონტის ძე ნაკაიძე დაიბადა 1933 წელს ქ. თბილისში, საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეტალურგიის ფაკულტეტზე სპეციალობით „შავი ლითონების მეტალურგია“.



შრომითი საქმიანობა დაიწყო 1956 წელს აზერბაიჯანის მილსაგლინავ ქარხანაში (ქ. სუმგაითი)ძ ცვლის ოსტატად.

1967-1974 წწ. საქართველოს მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელი ინსტიტუტის „საქგიპრომეზის“ მთავარი ინჟინერია, 1974-1982 წწ. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი, ხოლო 1984-1991 წწ. თავმჯდომარის მოადგილე. 1982-1984 წწ. იყო კუბის რესპუბლიკის საგეგმო საბჭოს მრჩეველი-კონსულტანტი, 1991-1994 წწ. – მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრის პირველი მოადგილე, 1994-1995 წწ. – საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, 1995-1996 წწ. – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საპრობლემო ცენტრის დირექტორი, 1998 წლიდან შპს „ჯორჯია ინჟინირინგის“ აღმასრულებელი დირექტორი. უკანასკნელ წლებში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, იყო ეკონომიკის კათედრის პროფესორი.

გ. ნაკაიძე იყო ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო მოიცავდა მანგანუმის ფეროშენადნობთა წარმოების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პროგნოზირებისა და მართვის პრობლემებს. მისი საპროექტო საქმიანობა ეხებოდა შავი მეტალურგიის ობიექტების – რუსთავის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის მეტალურგიული ქარხნების და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დაპროექტებას. იყო რამდენიმე მონოგრაფიის და 30-მდე სტატიის ავტორი.

გ. ნაკაიძე – საქართველოს დამსახურებული ინჟინერი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, იყო, აგრეთვე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

გურამ ნაკაიძის, შესანიშნავი ინჟინრისა და სპეტაკი ადამიანის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ქართული საზოგადოების მეხსიერებაში.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის მეტალურგიისა და ქიმიური ტექნოლოგიის და ეკონომიკის განყოფილებები

გახსენება

# იური ჭანტურია



რა უცებ გასულა ორმოცი დღე. უღრუბლო ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა იური ნიკოლოზის ძე ჭანტურიას მოულოდნელი გარდაცვალება. ეს იყო საშინელი ელდა არა მარტო მისი ოჯახისთვის, ნათესავებისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისა თუ მეზობლებისთვის, არამედ ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც ოდნავი შეხებაც კი ჰქონია მასთან. რაფინირებული ინტელიგენტი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, დიდი ქველმოქმედი, უკეთილშობილესი პიროვნება, სპეტაკი ადამიანი, დიდი პროფესიონალი, ამავე დროს საოცრად თავმდაბალი, შესანიშნავი მეუღლე, სასიქადულო მამა, სამაგალითო ბაბუა, ნათესავების, ახლობლების და მეგობრების, მასთან დახმარების სათხოვნელად მისული უცხო ადამიანების მიმართაც უღარესად თბილი, ყურადღებიანი და სიყვარულით სავსე ადამიანი. – ასე იცნობდნენ მას.

დასანანია, რომ ასე მოულოდნელად დაესვა წერტილი ამ შესანიშნავი ადამიანის, ჭანტურიების გვარში გამორჩეული შვილის, ცხოვრებას, მაგრამ ყველას გვჯერა, რომ მის მიერ ღირსეულად განვლილ გზას ასევე ღირსეულად გააგრძელებენ მისი შესანიშნავი მეუღლე და საყვარელი შვილები, მისი შთამომავლობა.

ჩვენო ყველასთვის საყვარელო საამაყო ადამიანო! მე და ჩემს ოჯახს არასოდეს დაგვავიწყდება ის დიდი დახმარება, ის მამობრივი მზრუნველობა და სიყვარული, რაც გამოგიჩენიათ ჩვენს მიმართ. ყოველთვის აგინთებთ მონატრების სანთლებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული, იური ბიძია, ყველასთვის ძვირფასო ადამიანო, ამინ!

ნანული (ნანა) გუნია

მეუღლე მირიანი, შვილები ნანა, გოჩა ლუხუტაშვილები, შვილიშვილები მაკა, ქრისტინა ლუხუტაშვილები, მარიამ, გვანცა დენოსაშვილები, ძმები გურამ, ჯუმბერ კვიკვინიები, რძალი მირანდა მნაცაკანიანი, სიძეები გოჩა დენოსაშვილი, დათო თათვიძე, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და სხვა უახლოესი ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლეილა კვიკვინია-ლუხუტაშვილი

დაკრძალვა 22 I, 14 სთ. ქუთაისი, ბუხაიძის ქ. 19.



ყურადღება!

## ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზის“ (სოციალურ-პოლიტიკურ კვლევათა ცენტრი, შვედეთი) მკითხველებს

ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზის“ (სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან პროფესორები გიული ალასანია და ვლადიმერ პაპავა) წარმომადგენელი საქართველოში ჟურნალის ყველა მკითხველს სთხოვს (ვინც აქამდეც უფასოდ იღებდა აღნიშნულ ჟურნალსძ, 2008 წლის მე-6 ნომრის მისაღებად მოაკითხოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ბიბლიოთეკას.

ჟურნალში სათანამშრომლოდ საჰონორარო ანაზღაურებით ვიწვევთ კვალიფიციურ ავტორებს.

ახალი წლიდან ჟურნალი ხელმოწერითაც ვრცელდება.

ტელ: 899 53 76 16, 98 65 87




ინფორმაცია

## ჰოლანდიელი ექიმები დევნილებს მკურნალობენ

**ზუგდიდში** ჰოლანდიელი ექიმების დელეგაცია იმყოფება.

როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მედიაცენტრიდან იტყობინებიან, სამი ჰომეოპათი დევნილ ბავშვებსა და მოზრდილებს ორი დღის განმავლობაში უმკურნალებს და დაიგნოზს დაუსვამს.

გამოკვლევებს დევნილები ზუგდიდის დევნილთა პოლიკლინიკის ბაზაზე გაივლიან, კონტინგენტი წინასწარ არის შერჩეული.

ზუგდიდის დევნილთა პოლიკლინიკა აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროსა და ჰოლანდიური მხარის ერთობლივი გადაწყვეტილებით შეირჩა, ვინაიდან იქ დევნილთა დიდი რაოდენობაა.

გამოკვლევების მიმდინარეობას აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თენგიზ კვირტია ესწრება. მისი განცხადებით, აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრო აგრძელებს ჰოლანდიელ მედიკოსებთან საქმიანი ურთიერთობების ფორმატში მუშაობას.

ინტერპრესნიუსი

## ნამდვილი ამბავი

# პრეზიდენტი ორ პანაშვიდზე

**გამორჩენილ პოეტ ხუტა ბერულავას მეუღლე — ქალბატონი ნათელა გარდაიცვალა. ხუტას მეგობარ მწერალთა რამდენიმეკაციანი ჯგუფი ადრევე მივედით პანაშვიდზე, მივუსამძიმრეთ და ქუჩაში ჩამოვედით, სადაც რამდენიმე კაცი იდგა.**

იქვე, გვერდითი კორპუსის სადარბაზოსთანაც იდგა ხალხი — სომეხი კაცი გარდაცვლილა და იქაც პანაშვიდი იყო. უცებ ქუჩაში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დაცვა გაჩნდა. როგორც ერთ-ერთმა ნაცნობმა მცველმა მითხრა, ბატონ ედუარდს უნებებია ახალგაზრდობის მეგობრის ხუტა ბერულავას ჭირის გაზიარება.

მალე ქუჩაზე პრეზიდენტის ლიმუზინი შემოვიდა და იმ სადარბაზოსთან გაჩერდა. მანქანიდან პრეზიდენტი და პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი გადმოვიდნენ, თმები შეისწორეს და იმ სადარბაზოში შევიდნენ. მივხვდით, მისამართი შეეშალათ, მაგრამ ხომ არ დავუყვირებდით, საით მიდიხართ, აქეთ, აქეთო!

რამდენიმე წუთის შემდეგ ბატონები ედუარდი და ჯანსუღი გამოვიდნენ სადარბაზოდან, ჩვენკენ წამოვიდნენ, ხუტასთან ავიდნენ, მიუსამძიმრეს და დაგვტოვეს.

როგორც შემდეგ გავიგეთ, აი, რა მომხდარა:

პანაშვიდზე წამოსვლა რომ უნებებია, პრეზიდენტს ჯანსუღისთვის უკითხავს, ხუტას მისამართი თუ იციო. როგორ არ ვიცი, ასჯერ ვარ ნამყოფიო, უპასუხნია ჯანსუღს, მაგრამ, როგორც ჩანს, დავიწყნია და ასე აღმოჩნდა პრეზიდენტი ერთდროულად ორ პანაშვიდზე.

საინტერესო ის არის, რომ როცა მისამართარეული პრეზიდენტი იმ სომხის ბინაში შესულა და, მეტი რა გზა ჰქონდა, ჭირისუფლისთვის სამძიმარი უთქვამს, გარდაცვლილის ქვრივს მიცვალებულისთვის დაუტირებია, ჟორიკჯან, როგორ ყველას უყვარდი, აი, შენი ედიკაც მოვიდაო.

**ილია ზარამიძე**

## ყურადღება!

# ფრინველის გრიპისაგან ბუკლეტები დაგვიცავს?



**„მონკავშირს“ ფრინველის გრიპთან დაკავშირებით საინფორმაციო ბუკლეტები გადაეცა.**

საქართველოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის ფრინველის გრიპთან მიმართებაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ეპიზოოტური კეთილსაიმედოობა შენარჩუნებულია.

მოსახლეობაში დარიგებულია საინფორმაციო ბუკლეტები ფრინველის გრიპის საფრთხის, პროფილაქტიკური ღონისძიებებისა და ბიოუსაფრთხოების ზომებზე. გარდა ამისა, ფრინველის გრიპის დაავადების თავიდან აცილების მიზნით საინფორმაციო ბუკლეტები გადაეცათ საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაცია „მონკავშირს“.

გარდა ამისა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაძლიერებულია კონტროლი. ეროვნული სამსახურის რაიონულ სამმართველოში ფუნქციონირებს 24-საათიანი ცხელი ხაზი. საეჭვო შემთხვევის დაფიქსირების შემთხვევაში, ყველა რაიონი უზრუნველყოფილია საჭირო ტექნიკითა და სადეზინფექციო საშუალებებით.

**ინტერპრესნიუსი**

## ინფორმაცია

# სახალხო დამცველის ჰუმანიტარული ტვირთი

**სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა სოფელ გუგუთიანთკარში ჰუმანიტარული ტვირთი ჩაიტანეს. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული სოფლის მოსახლეობას მედიკამენტები, წიგნები და პირველადი მოხმარების საგნები ომბუდსმენის მოადგილემ სოფო ხორგუანმა გადასცა.**

— ამ ადამიანებმა გამოიარეს აგვისტოს საშინელი დღეები, თუმცა მათი მდგომარეობა ახლაც მძიმეა. ამ სოფელში თითქმის არ შემოდის არავითარი დახმარება. ამიტომ ვცდილობთ ადგილობრივებს ყოფა შეძლებისდაგვარად შევუმსუბუქოთ, — განაცხადა სოფო ხორგუანმა

გუგუთიანთკარი ბოლო სოფელია, რომელსაც ქართული პოლიცია აკონტროლებს.

# ფალსიფიცირებული და მავნე პროდუქციისგან დაუცველები ვართ



**საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე არსებულ უმძიმეს მდგომარეობას მიეძღვნა შპს „ბიოკოდექსში“ გამართული მრგვალი მაგიდა, რომელშიც მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ექსპერტები მონაწილეობდნენ.**

მრგვალ მაგიდაში მონაწილე ექსპერტებმა შეშფოთება გამოთქვეს საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე არსებული მდგომარეობით — ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე კატასტროფული მდგომარეობაა.

—სამომხმარებლო ბაზარი მავნე და ფალსიფიცირებული პროდუქციის შეღწევისაგან სრულიად დაუცველია, არ არის დაცული არც უვნებლობის და არც სანიტარიული მაჩვენებელი, — აცხადებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის პროფესორი, ექსპერტი ქეთევან დადიანი და დასძენს, რომ საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის პროდუქციის 80 % უხარისხო და ნორმებთან შეუსაბამოა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## განცხადება



**ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით, საავტომობილო გზების დეპარტამენტი მძღოლებს მოუწოდებს თავი შეიკავონ გაუმართავი და გაცვეთილი საბურავების მქონე ავტოტრანსპორტით მოძრაობისაგან; გამოიყენონ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები; დაემორჩილონ მოძრაობის დაწესებულ რეჟიმებს, საპატრულო პოლიციისა და საგზაო სამსახურების მოთხოვნებს.**

**ზამთრის პერიოდში, საავტომობილო გზების დეპარტამენტი, გზებზე ტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობისთვის საჭირო ღონისძიებებს სისტემატურად ახორციელებს. თუმცა, შეგახსენებთ, რომ დაწესებული რეჟიმებისადმი მძღოლების დაუმორჩილებლობა გზის გამწმენდით სამუშაოებს აფერხებს და სატრანსპორტო საცობების შექმნას უწყობს ხელს.**

- **გამოიყენეთ ზამთრის საბურავები!**
- **თან იქონიეთ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები!**
- **დაიცავით მოძრაობის დაწესებული რეჟიმი!**

**ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!**

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი:
sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87
(89932.85.76ძ.
ფაქსი: 98-65-87.

## კადრი



რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

ახალგაზრდა მამის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი პერიოდი ის დროა, როდესაც ბავშვი კი შეეძინა, მაგრამ პირმშო დედასთან ერთად ჯერ არ გამოუწერიათ სამშობიაროდან.

* * *



განცხადება: ნაპოვნია სინდისი. პატრონს ვთხოვ, დროულად წაიღოს, თორემ ღამით ძილს მიშლის...

* * *

მთელ მსოფლიოში ფოტოაპარატებს ყიდულობენ იმისთვის, რომ გადაიღონ ოჯახი, რუსეთში კი — ღრეობა.

* * *

კითხულობს ტიპი სამედიცინო წიგნში რაღაც დაავადების შესახებ. გული ულონდება — ყველა სიმპტომი ზუსტად ისეა აღწერილი, როგორც მას აწუხებს. სტატიის ბოლოს კი წერია: „ეს დაავადება მხოლოდ ცხენებს ემართებათ“.

— ღმერთო ჩემო, ეს როგორ, მე რა, ცხენი ვარ? — თავში ხელს იცემს ტიპი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.